

## ၂. ပုဂ္ဂနိုင်ရေး

ՀԱՅ-ԼՈՒԿԵԱՆ  
ՆՈՆՅԱՆ  
ՔԸՆԸՆ  
ՅՈՒՄԱՆ

00 3 00 ( 000 . 1966

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ГЕОЛОГИЧЕСКИЙ ИНСТИТУТ

Труды, новая серия, вып. 7

И. П. ГАМКРЕЛИДЗЕ

СТРОЕНИЕ СЕВЕРНОГО КРЫЛА  
РАЧИНСКО-ЛЕЧХУМСКОЙ СИНКЛИНАЛИ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1966

ს ი ძ ა რ თ ვ ი ლ რ ს ს ს რ მ ე ც ნ ე ი რ მ ბ ა თ ა პ კ ა ღ ე მ ი ა  
გ ი ღ ი ლ რ გ ი შ ი ა ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი  
შ რ ი მ ე ბ ი , ა ზ ა ლ ი ს ე რ ი ა , ნ ა კ ვ . 7

ც . გ ა მ ყ ა რ ი ლ ი

ჩ ა ჭ ა - ჩ ა ჩ ხ ე მ ი ს ს ი ნ კ ა ნ ი ს ჩ ა ღ ი ღ მ  
ვ ა თ ი ს ა გ ე გ ე დ ე ბ ა

გ ა მ ყ ა რ ი ლ რ გ ა „ მ ე ც ნ ე ი რ მ ბ ა თ ა „

თ ბ ი ლ ი ს ი

1966

554 (C41)

551.7+[016.3]

გ 198

ნაშრომში ახლებურად არის გაშუქებული საქართველოს ბელტისა და კავკასიონის სამხრეთი ფერდის დანაოჭებული სისტემის შეხების ზოლში მდებარე რაჭალეჩუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის სტრატიგრაფიის ზოგიერთი საკითხი, მათ შორის: ზედაიურული და ქვედაცარცული ნალექების ურთიერთობის საკითხი, პალეოგენური და ნეოგენური ტრანსგრესიების ხასიათი; ქვედაცარცულ ნალექებში გამოყოფილია ცალკეული ზონები. ღერალურად არის განხილული რაიონის ტექტონიკური იგებულება, დაღვენილია კიდური დანაოჭების გაფრცელება, მისი ხასიათი და წარმოშობის მექანიზმი.

რედაქტორი ა. ციგარე ლი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

შესწავლილი რაიონი კავკასიონის წინამთების ზოლში მდებარეობს და მდ. ცხენისწყლის მარჯვენა შენაკად ჭონოულისა და მდ. რიონის მარჯვენა შენაკად ლუხუნისწყალს შუა არის მოქცეული. ჩრდილო და სამხრეთი საზღვრები ნაკლებ მკაფიოდ.

რაიონი ძირითადად ორი მკვეთრად განსხვავებული ტიპის რელიეფით ხასიათდება: ჩრდილოეთით გამოიყოფა საწუალო და მაღალმთიანი მკვეთრი რელიეფის მქონე ზოლი, შექმნილი რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის პორფირიტული წყებისა და კირქვების სუბსტრატზე და სამხრეთით დაბალმთიან ზოლი, რომელიც სინკლინის გულის ქვიშიან-თიხიან ნალექებზე ვითარდება.

აღნიშნული რაიონი მდ. ცხენისწყლისა და მდ. რიონის მარჯვენა შენაკადების ლაჭანურის, ასკისწყლის, რიცეულისა და, ნაწილობრივ, ლუხუნისწყლის აუზებს მოიცავს. ეს მდინარეები ჩრდილო ზოლში შემცველ წყებებს მიმართების მართობულად ჰქვეთს და გარდიგარდმო ვიწრო და ღრმა ხეობებს ჰქმნის. სამხრეთ ზოლში ხეობები ფართოა და ტერასებით ხასიათდება.

მდ. ცხენისწყალი ფასის მთიდან (კავკასიონის სამხრეთი ფერდი) იწყება. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ის ჯერ სამხრეთისკენ მოედინება და ბაიონის პორფირიტული წყების ქანებს ჰქვეთს, შემდეგ კი ცარცისა და პალეოგენის ყირაზე დამდგარ წყებაში ღრმა და ვიწრო ე. წ. მურის კლდეკარს ჰქმნის. უფრო სამხრეთით მდინარეს ოლიგოცენისა და მოოცენის რბილ ქანებში ფართოდ გაშლილი ხეობა აქვს და სამხრეთ-დასავლეთისკენ მიედინება. აქ შექმნილ ცაგერის ტაფობში მდ. ცხენისწყლის ტერასებია განვითარებული. მდინარის მარჯვენა ნაპირზე კარგად ჩანს ჭალისზედა ტერასი (3-5 მ), ხოლო მარცხენაზე — II (70—75 მ) და III (140—150 მ) ტერასი. ტერასებზე დაფენილი ალუვიონი უმთავრესად ბაიონის პორფირიტული წყებისა და ლიასური ქანების ნატეხებისაგან შედგება.

მდ. ცხენისწყლის მნიშვნელოვანი მარჯვენა შენაკადია მდ. ჭონოულა, რომელიც სამეგრელოს ქედის სამხრეთი ფერდობიდან იწყება, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მოედინება და მდ. ცხენისწყალს საკვლევი ტერიტორიის სამხრეთი, სოფ. ზუბასა და სოფ. ლარჩევალს შუა, ერთვის. მდ. ჭონოულა ჰქმნის ფართო (0,5 კმ) და ბრტყელ ხეობას, რომელიც რიყნარით და საკმაოდ მოზრდილი ღვარცფული წარმოშობის კირქვის ლოდებით არის მოფენილი. ეს უკანასკნელნა ვანსაკუთრებით დიდი ჩაოდენობით გვხვდება სოფ. ქულბაქის ზემოთ. მდ. ცხენისწყლის აღმოსავლეთით ცაგერის ტაფობს ჩრდილოეთიდან განედური მიმართულების მაღალი სერი საზღვრავს, რომელიც ცარცული და პალეოგენური კირქვებით არის აგებული. მისი უმაღლესი წერტილია ფარელის მთა (1355 მ). სოფ. ორბელთან კირქვიან ზოლში იჭრება მდ. ლაჭანური. აქ ის სამხრეთ-დასავლურ მიმართულებას მკვეთრად ცვლის სამხრულზე და კირქვიან ზოლში მე-

რიდიანული მიმართების საქმაოდ ვიწრო ხეობას ჰქმნის, რომელსაც განსაკუთრებით მაღალი და ციცაბო მარჯვენა ნაპირი აქვს. მის თხემზე ორბელის ძველი ციხის ნანგრევებია შერჩენილი. ამ ნაპირს სამხრეთისეკენ საქმაოდ ამაღლებული მდ. ცხენისწყლისა და ლაჯანურის წყალგამყოფი სერი მიუყვება, რომელსაც დასავლეთიდან ცაგერის ტაფობი საზღვრავს, ხოლო აღმოსავლეთიდან ორბელ-ლაჯანის დადაბლებული ზოლი. ის მიოცენის ქვიშიანი ქანებით არის აგებული და მდ. ლაჯანურის ხეობისაკენ დამეწყვრას განცდის. აქ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე კარგად ჩანს ცოცვითი მეწყრებით შექმნილი რამდენომე საფეხური. ეს სერი სამხრეთიდან ლაბეჭინის მაღალი განედური სერით იფარგლება. ეს უკანასკნელი ამავე სახელწოდების ანტიკლინური ნაკვით არის შექმნილი და დასაგლური და აღმოსავლური მიმართულებით ანტიკლინის ღერძის დაძირვის გამო თანდათან დაბლდება. შუა ნაწილში ის მდინარე ლაჯანურით არის გავვეთილი, რომელიც აქ ძლიერ ვიწრო, კანიონისებურ გამკვეთ ხეობას ჰქმნის. ამ მონაკვეთზე ხეობა ტიბიურად ანტიცედენტურა. ხეობის ბუნებრივი შევიწროება აქ გამოყენებულია ლაჯანურჲესის თალოვანი კაშხალის ასაგებად.

ლაბეჭინის სერის ჩრდილოეთით განვითარებული ორბელ-ლაჯანის დადაბლებული ზოლის მორფოლოგიას, ძირითადად, სამხრეთისეკენ მომართული ცოცვითი მეწყრები განსაზღვრავს. მის აღმოსავლურ ნაწილში მდებარეობს ლაილაშის გრანდიოზული ( $4 \times 2$  კმ) მეწყრული ბელტი, რომელიც ლესხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის კირქვიანი ზოლიდან არის მოწყვეტილი.

აღმოსავლეთიდან ორბელ-ლაჯანის დადაბლებულ ზოლს, მისგან მაღლის გარდიგარდმო ამაღლებით (1100 მ) გათიშული ქვემო რაჭის გასწვრივი დეპრესია ესაზღვრება, რომელიც რაჭის სინკლინის ლერძულ ზოლს ემთხვევა და მესამეული ასაკის ქვიშიან და თიხიან ქანებზე არის განვითარებული.

ჩრდილოეთიდან მას ბაიოსის პორფირიტული წყებით და ცარცული კირქებით აგებული, ამაღლებული ზოლი აკრავს. პორფირიტებით სოჩიბის ქედია აგებული, ხოლო მის სამხრეთით მდებარე საელიოს განედური ქედი ცარცული კირქებითა შექმნილი. ეს უკანასკნელი სოფ. ლვიარის მიღმოებში იწყება და კლდისუბნისა და ხიდიკარის კლდეეარების გაცლით ხიხათის ქედს ებძის. ქედის სამხრული და ჩრდილო ფერდობები ციცაბოა და ზოგინ მაღალი კარნიზებით ხასიათდება. ჩრდილოეთით საელიოს ქედს შედარებით დაბალი ჩრდილოეთი ფრთის მეწყრული რელიეფის მქონე ზოლი მიუყვება, რომელსაც ზედა იურის თიხიან-ქვიშიანი ქანები ჰქმნის.

მდ. რიონის მარჯვენა შენაკადები: ასკისწყალი, რიცეულა და ლუხუნისწყალი ლეხუმის ქედის ფერდობიდან სამხრეთისაკენ მოედინება. აღმოსავლურ ნაწილში მდ. რიონი, ხოლო დასავლეთით მდ. რიცეულა და ასკისწყალი კირქვიან ზოლში ღრმა და ციცაბო ხეობებს ჰქმნის.

ქვემო რაჭის დეპრესიულ ზოლში მდ. რიონს ფართო ჭალა აქვს განვითარებული. მარჯვენა ნაპირზე კარგად ჩანს ჭალისა (2-3 მ) და მრავალრიცხვანი ჭალისზედა ტერასები. I ტერასი 15-20 მეტრს აღწევს და კარგად არის გამოსახული სოფელ კვაცხუთიდან თოთქმის სოფ. ბოსტანამდე, ასევე ს. ს. ჩორჯოს, ხვანჭეკარის, ტოლისა და ჭრებალოს მიღმოებში. მისი მაქსიმალური სიგანე 1 კმ-ს აღწევს.

მდ. რიონის ხეობის ძირზე კარგად ჩანს გამოზიდვის კონუსები, რომლებიც განსაკუთრებით კარგად კვაცხუთის, ძირაგეულის, ლვიარის, ბოსტანის, ჩორჯოს და ხვანჭეკარის ლელეთა შესართავებში არის წარმოდგენილი. ამ კონუსების

უმრავლესობა ძველია — მდინარის დონემდეა ჩატრილი და აქ ახალი კონუსების წარმოშობა მიმდინარეობს.

აღშინისტრაციული და საკვლევი ტერიტორია ცაგერისა და ამბროლაურის რაიონების ნაწილს მოიცავს, ის მჭიდროდ არის დასახლებული და დაქსელილია სამანქანო გზებით. მათი უმრავლესობა ჩრდილოეთიდან უერთდება მაგისტრალურ გზას, რომელიც რიონის ხეობას მიუკვება და რაიონს სამხრეთით ქალაქ ქუთაისთან, ხოლო ჩრდილოეთით ქ. ონთან აკაციებს.

აღნიშნული რაიონის გეოლოგიური შესწავლა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. კავკასიის პირველი მკვლევართაგანი ჰ. აბიხი, ზოგადად, ამ რაიონსაც ეხება (1858). ლეჩხუმი და რაჭა მას სინკლინურ დეპრესიად აქვს წარმოდგენილი. ლეჩხუმში ის გამოჰყოფს რუდისტებინ კირქვებს, ცარცს და ნუმულიტებიან ფორმაციას, მურსა და ორბელს შუა აბიხი აღნიშნავს მძლავრ, ნამარხებით მდიდარ, შუა მესამეულის „მოლასურ ქვიშაქვებს“. საკვლევი რაიონის აღმოსავლეთის ის იძლევა განედური მიმართების გეოლოგიურ ჭრილს, რომელიც სოფ. ქორთაზე გადის და შემდეგ კი მდ. რიონს მიუკვება. აქ, სოფ. ქორთასთან ის აღნიშნავს იურის ქვიშიან კირქვებს, უფრო დასავლეთით კი ცარცის ქვედა ნაწილს, რომელიც მისი აზრით ნეოკომისა და გოლტს შეესაბამება, და ზედა ნაწილს, რომელიც ტურონსა და სენონს მოიცავს. ქვედა ნეოკომის ძირზე, ქორთის დასავლეთით, აბიხი გამოჰყოფს კონგლომერატების დასტას და ამგვარად უწევებს ქვედა ცარცის ტრანსგრესიას.

რაიონის გეოლოგიურ აგებულებაზე უფრო ვრცელ ცნობებს იძლევა ე. ფავრი (1875). სტრატიგრაფიაში ფავრს ახალი თითქმის არაფერი უთქვამს, მაგრამ საყურადღებოა მისი გეოლოგიური ჭრილები. ჭრილი სოფ. ორბელთან. მართალია მეტად სქემატურია და არასწორად არის ნაჩვენები ტექტონიკური შეხება მიოცენსა და ნუმულიტიან კირქვებს შორის, მაგრამ კარგად არის შენიშნული სამხრეთით გადმობრუნებული ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის მიოცენური ნალექები და ყიჩებები დამდგარი ცარცული და ნუმულიტებიანი კირქვები. სოფ. ლაილაშთან ფავრს დამეტყრილი ბელტი ძირითად გამოსავლად აქვს მიჩნეული. მდ. ასკისწყლის ჭრილში მეტად სქემატურად, მაგრამ ზოგადად სწორად არის ნაჩვენები მეორადი ანტიკლინი ცარცულ ნალექებში. მიოცენისა და ცარცის ურთიერთობა აქაც არასწორად არის გაებული და მათი ტექტონიკური შეხება არის ნაჩვენები. ფავრის მიხედვით, სოფ. საღმელთან და მურის ჭრილში, სინკლინის ჩრდილო ფრთის ნეოკომი ძველ წყებაზე ნორმალურად არის განლაგებული და ორივე ჭრილში სამხრეთით არის გადმობრუნებული.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საკვლევი რაიონი გეოლოგიურად აღწერეს კავკასიის სამონ სამმართველოს გეოლოგებმა. 1875 წ. გამოვიდა ს. სომონვიჩის, ლ. ბაცევიჩისა და სოროკინის ნაშრომი, რომელიც ქუთაისის, ლეჩხუმის და სამეგრელოს ზოგიერთი რაიონის გეოლოგიას შეეხება. ეს ავტორები ლეჩხუმში პირველად გამოჰყოფნ ცარცსა და მესამეულს შორის გარდამავალ თევზიანი მეტრების წყებას და მიოცენს ორ ნაწილად ჰყოფნ: 1. მიოცენის ქვედა „ქვიშიანი ზონა“ (უსახელოს ქვიშაქვები) და 2. „მიოცენის ზედა ზონა“ (ქვიშიანი ლუმაშელის და კონგლომერატების ზონა). მათ მიერ შედგენილი 5-ვერსიანი რუკა ლეჩხუმის მხოლოდ ცენტრალურ ნაწილს მოიცავს. რუკას თან ჭრილებიც ერთვის. მურის ჭრილში ზედა მიოცენის წყება ტრანსგრესიულად ფარავს თევზიან მეტრების და ზედა ცარცის კირქვებს. წყებები ყირაზეა დამდგარი. ასეთივე სურათია ორბელის ჭრილში, მხოლოდ აქ შრეგები სამხრეთისკენ არის გადმობრუნებული.

მთელი საკვლევი ტერიტორიის პირველი, შედარებით სრული გეოლოგიური აღწერა მოცემულია ა. სოროკინის და ს. სიმონოვიჩის ნაშრომში (1887). მათ მიერ შედგენილ ქუთაისის გუბერნიის ნაწილის 5-ვერსიან გეოლოგიურ რუკაზე საკვლევ რაიონში, მდ. ლაჯანურის და ცხენისწყლის ხეობებში, გამოყოფილია ლიასური ფიქლებისა და ქვიშაქვების წყება. მდ. ლაჯანურის აღმოსავლეთი ლიასური ფიქლები გადაფარულია კიმერიკულ-ოქსფორდული ნალექებით (შემდეგ მიეკუთვნა ბაიოსის პორფირიტულ წყებას). მათ აქ მოსდევს გოლტი (ატტი და ალბი), რომლის ძირში ავტორები გამოჰყოფენ ურგონულ კაპროტინიან კირქვებს, ხოლო ზევით — კირქვებს, მერგელებსა და გლაუკონიტიან ქვიშაქვებს. გოლტის ნალექები მდ. ლაჯანურის დასავლეთით ტრანსგრესიულად ფარავს ლიასურ წყებას. საკვლევი რაიონის სამხრეთით ეს ავტორები გამოჰყოფენ სენომანურ გლაუკონიტიან კირქვებს, ქვიშაქვებს, მერგელებსა და თიხებს, ხოლო რაჭა-ლეჩხემის სინკლინის ჩრდილო ფრთაზე ამ ნალექებს არ აღნიშნავენ და გოლტი ტრანსგრესიული ტურონ-სენონის კირქვებით აქვთ გადაფარული. შემდეგ გამოყოფილია შუა ეოცენის ნუმულიტებიანი და ზედა ეოცენის თევზიანი წყებები. მათ მოსდევს ტრანსგრესიულად განლაგებული სარმატის თიხიანი ოოლითური კირქვები და კარბონატული ქვიშაქვები.

ე. ფურნიეს შრომაში (1895) და 10-ვერსიან გეოლოგიურ რუკაზე, ძირითადად ძველი მკვლევრების მონაცემებია განზოგადებული. აღსანიშნავია, რომ მას ლაილში ქვედა ცარცი ზედა ცარცად აქვს მიჩნეული, ხოლო ორბელის ჭრილში, მისი აზრით, ურგონულ კირქვებს უშუალოდ ზედა ცარცი მოჰყვება (უფრო სამხრეთით მას ატტი და გოლტიც აქვს ნაჩვენები). მიოცენი სარმატითა და მეოტით არის წარმოდგენილი. მეტად საყურადღებოა, რომ მდ. რონის ზემო ნაწილში და მდ. ცხენისწყალზე ე. ფურნიე შუა ეოცენის ტრანსგრესის აღნიშნავს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დასავლეთ საქართველოში სისტემატურ კვლევას აწარმოებდა ბ. მეფერტი. მან მნიშვნელოვნად განახლა ძველი მონაცემები საკვლევ რაიონშიც, რომლისთვისაც ის ნახევარვერსიან გეოლოგიურ რუკას იძლევა (1928, 1930). მეფერტი თავის შრომებში (1930, 1930 ა, 1934) აღნიშნავს ზედა იურის ფერადი წყების, ქვედატურონული კირქვების, მაიკობის წყებისა და ჩოკრაკის ტრანსგრესიისა და იძლევა რაიონის საქმაოდ დეტალურ ტექტონიკურ დახასიათებას. მაგრამ, ყველა დამსახურებასთან ერთად, ამ ავტორს ჰქონდა შეცდომები სტრატიგრაფიის და, განსაკუთრებით კი, ტექტონიკის საკითხებში. მისი არამოხდენილი ტექტონიკური წარმოდგენები ზოგჯერ ამასინჯებს ბუნებრივ მოვლენათა კანონზომიერებას, რაზედაც ა. ჯანელიძემ (1930, 1940) სამართლიანად მიუთითა.

ძირითადად მეფერტის მონაცემებს ეყრდნობა ი. კუზნეცოვი, რომელსაც ეკუთვნის 1937 წლის XVII საერთორისო გეოლოგიური კონგრესის რაჭის, ლეჩხემისა და იმერეთის ექსკურსიის აღწერა. მეფერტისა და სხვათა მონაცემების საფუძველზე ის გამოიქვამს ზოვიერთ მოსაზრებას ამ რაიონის ტექტონიკური განვითარების შესახებ. მისი წარმოდგენების კრიტიკული ანალიზი მოცემული აქვს ა. ჯანელიძეს (1940).

1940 წელს გამოვიდა ა. ჯანელიძის ნაშრომი, რომელიც ოქრიბის და მისი პოსაზღვრე რაჭის და ლეჩხემის ნაწილების გეოლოგიას შეეხება. შედარებით არასანგრძლივი გამოკვლევების შედეგად, რომელსაც ავტორი აღნიშნულ რაიონებში ატარებდა (1930—1933 წწ.), მან მოგვცა საკვლევი რაიონის ახალი სტრატიგრაფიული სქემა და გამოიცნო ამ ზოლის მეტად თავისებური ტექტონიკური ბუნება, რის შედეგად გამოჰყო დანაოჭების განსაკუთრებული სახე-კიდუ-

რი დანაოჭება. ა. ჯანელიძის მონაცემებზე უფრო დეტალურად ქვემოთ შევჩერ-დებით.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის და მოსაზღვრე რაიონების პალეოგენის, სტრა-ტიგრაფიისა და პალეოგეოგრაფიის დაზუსტების საქმეში მნიშვნელოვანი წვლი-ლი შეიტანა ი. კაჭარავაძე (1944).

საკვლევი რაიონის იურული ნალექების სტრატიგრაფიას თავის ნაშრომში იხილავს ი. კახაძე (1947) და ნ. ხიმშიაშვილი (1957).

ცარცული ნალექები დეტალურად შეისწავლეს მ. ერისთავმა (1946, 1952, 1960) და ა. ცაგარელმა (1946, 1951, 1954).

1955 წ. გამოქვეყნდა ე. ვახანიას ნაშრომი დასავლეთ საქართველოს ცენ-ტრალური ნაწილის გეოლოგიური აგებულების შესახებ, სადაც ივტორი საკვ-ლევ რაიონსაც ეხება.

ე. ვახანიამ და დ. პაპავაძე (1956) რაიონის გეოლოგიური შესწავლის საფუ-ძველზე შეადგინეს საკვლევი და მოსაზღვრე ტერიტორიის გეოლოგიური რუკა. ე. ვახანიამ (1956, 1957) გამოთქვა მოსაზრებები ლეჩხუმის გეოლოგიური აგებულების შესახებ.

1950-1953 წლებში რაიონი გეოლოგიურად შეისწავლეს რ. ლექვინაძემ და ვ. ედილაშვილმა (1956). შემდგომ ვ. ედილაშვილმა გამოთქვა მოსაზრებები საკვლევი რაიონის ტექტონიკის ხასიათის შესახებ (1959).

1959 წლს გამოვიდა ა. ლალიევის შრომა, რომელშიც ის რაჭა-ლეჩხუმის მაკების წყების სტრატიგრაფიასაც ეხება. ამ მკვლევარს რაჭა-ლეჩხუმის აუ-ზისათვის შედგენილი აქვს ოლიგოცენური და ქვედამიოცენური დროის პა-ლეოგეოგრაფიული რუკები.

ლეჩხუმის მიოცენური ნალექები 1957-1962 წლებში დეტალურად შეის-წავლა გ. ანანიაშვილმა (1961-1962).

საკვლევი რაიონის შესახებ არსებულ უახლეს მონაცემებზე, უფრო დე-ტალურად, ცალკეული საკითხების განხილვის დროს შევჩერდებით.

## სტრატიგიკული

იურული ნალექები

ბაიოსის პორციონალური ფაზები

ბაიოსის პორციონალური წყება უწყვეტად ვრცელდება რაჭა-ლეჩუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის გასწვრივ, ძლიერ დისლოცირებულია (მოელ რიგ უკუმშულ, სამხრეთისაკენ გადმოხრილ ნაოჭებს ჰქმნის) და ძირითადად პორციონალური წყებისა და მათი პიროვლასტოლითებისაგან შედგება.

1925 წელს ა. ჯანელიძემ დაასაბუთა, რომ რაჭის „პორციონალური“ წარმოადგენს ღანაოჭებულ ვულკანოგენურ-დანალექ წყებას, რომელიც უშუალოდ ებმის ზუბის რაიონის, და მაშასადამე, ოკრიბის ანალოგიურ წარმონაქმნებს. ავტორმა ამ ნალექებს პორციონალური სერია უწოდა და, სტრატიგიკული მდებარეობის მიხედვით, მისი ასაკი ბაიოსურად განსაზღვრა (1926). შემდგომ ეს შეხედულება მოლიანად დადასტურდა.

რაჭა-ლეჩუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის პორციონალური წყება დეტალურად აქვს აღწერილი ა. ჯანელიძეს მდ. რიცეულის ხეობაში, სადაც ის ზოგადად შემდეგ დასტურებს აღნიშნავს:

1. ზედალიასური ფიჭვები, დაქ. N, დაქ. კუთხე 80°;
2. პორციონალური ტუფბრექჩიები;
3. ტუფგვენური ქვიშაქვების და მუქი ფერის თიხაფიქლების მორიგეობა;
4. ტუფბრექჩიები და პორციონალური განფენები, შედარებით იშვიათი, თიხაფიქლების შუაშრებით;
5. მასიური ტუფბრექჩიები და სხვადასხვა სახის პორციონალური განფენები;

წყების საერთო სიმძლავრე ავტორის მიხედვით 3000 მეტრამდე აღწევს.

აღმოსავლეთით, მდ. რიონის ხეობაში, ბაიოსური წყების ანალოგიურ წარმონაქმნებზე განლაგებულია ტრანსგრესიული კალოვიური ნალექები, რომელთა ფუძე პორციონალური წყების გადარეცხილი მასალისგან არის შემდგარი. აქ დ. პაპავა (1957) ზოგადად აღნიშნავს:

1. მუქი თიხაფიქლები ქარსიანი ქვიშაქვების შუაშრებით — ზედა ლიასი;
2. ტუფქვიშაქვები და ტუფები თიხაფიქლების და ქარსიანი ქვიშაქვების წვრილი ქვარებით — 60 მ;
3. მასიური ტუფბრექჩიების და პორციონალური განფენების მორიგეობა (350-380 მ);
4. მასიური მკვრივი ტუფქვაშაქვები—50 მ;
5. ტუფბრექჩიების, შრეებრივი ტუფების და პორციონალური განფენების მორიგეობა — 700-1000 მ;
6. ტუფბრექჩიების, პორციონალური განფენების და ტუფქვაშაქვების მორიგეობა—700-750 მ; წყების საერთო სიმძლავრე—2000-2500 მ.

პორციონალური წყება მდ. რიცეულის დასავლეთით, მდ. ასკისწყლის ხეობაში შეისწავლეს რ. ლექვინაძემ, ვ. ედილაწვილმა და სხვებმა (1956). ეს ავტორები აქ ზოგადად გამოჰყოფენ:

- თიხა-ქვებისა და ქვიშაქვების მორიგეობა — ზედა ლიანი;
- შრეებრივი მომწვანო-მონაცრისფრო ქვიშაქვების, ტუფქვიშაქვების, ტუფქონგლომერა-ტებისა და ტუფბრექჩიების მორიგეობა 650-700 მ. დაქ. SO 160-190°, დაქ. კუთხი—45-60°;
- ტუფბრექჩიები ტუფქვიშაქვებისა და სქელშრებრივი ქვაშაქვების შეუშრებით — 200-220 მ. დაქ. SO 135°, დაქ. კუთხე 25°;
- მუქი ნაცრისფერი მასიური ქვიშაქვებისა და ტუფქვიშაქვების მორიგეობა — 650-700 მ. ქვედა ნაწილში დაქ. SO 200°, დაქ. კუთხე 40-45°, ზედა ნაწილში ჩვენ მიერ გზომილია დაქ. NO 15°, დაქ. კუთხე 25-30°;
- ქვედა ცარცის კირქვები.

წყების საერთო სიმძლავრე — 1500-2000 მ.

კიდევ უფრო დასავლეთით, სოფ. ლაილაშიძან მთა გორმალალისკენ მიმავალი საურმე გზის გასწვრივ, ბაიოსური ნალექების კარგი ჭრილი შიშვლ-დება (სურ. 1).

სოფ. ლაილაშიძის ჩრდილოეთით რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა სამხრეთისკენ არის გაღმობრუნებული. ჭრილის აღწერას ვიწყებთ ზევი-ფრთან. დასაწყისში, სოფ. ლაილაშიძის ზემოთ, ქვედა ნეოკომური კირქვებია გა-შიშვლებული (დაქ. NO 10-15°, დაქ. კუთხე 70-75°). შემდეგ მთის ფერდი, დაახლოებით 200-250 მ მანძილზე, დაფარულია დელუვიონით, რომელიც ქვი-შა-ქვებისა და ფიქლების ნატეხებისგან შედგება. უფრო ზემოთ კი, უკვე კარგად ჩანს:

- ტუფქვიშაქვები — 8-10 მ;
- მომწვანო-მონაცრისფრო ქვიშაქვები — 30-50 მ. დაქ. NO 30°, დაქ. კუთხე 25°;
- ქვიშაქვებისა და თიხიანი ქვიშაქვების მორიგეობა — 10 მ;
- მწვანე ქვიშაქვებისა და ფიქლების მორიგეობა — 25-30 მ. დაქ. NO 30°; დაქ. კუთხე 25°;
- ნაცრისფერი ქარისანი ქვიშაქვებისა და მუქი ფიქლების მორიგეობა — 30 მ;
- მწვანე ქვიშაქვებისა და ფიქლების მორიგეობა — 170-180 მ;
- მსხვილმარცვლოვანი ტუფქვიშაქვე — 12 მ;
- მიკროკონგლომერატი, შედგნილი ნაცრისფერი ქვიშაქვების ქვარჩვალებით — 3,5-4 მ;
- მომწვანო ქვიშაქვებისა და ფიქლების მორიგეობა — 30 მ;
- მასიური ტუფქვიშაქვები (სფერული გამოფიტვით) — 20 მ;
- მწვანე ქვიშაქვებისა და ფიქლების მორიგეობა — 5-6 მ. დაქ. NO 40°, დაქ. კუთხე 35°;
- ხარვეზი გაშიშვლებაში დაახლოებით 400-450 მეტრი. აქ პატარა გორაკია. მის ჩრდილო ფერდზე ისევ ჩანს გაშიშვლებები;
- მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვებისა და მოყავისფრო თიხიანი ქვიშაქვების მორიგეობა — 80-100 მ. დაქ. S, დაქ. კუთხე 45°;
- ამის შემდეგ ფერდი ისევ ნაყარით არის დაფარული დაახლოებით 150-200 მეტრის მანძილზე. შემდეგ შიშვლდება;
- მასიური ტუფბრექჩიები.

როგორც განხილული ჭრილიდან ჩანს, წყებაში კარგად არის გამოსახული სინკლინური ნაოჭი, რომლის ღრეული სადაც მე-11 და მე-13 დასტებს შუა უნდა გადიოდეს. ამავე დროს სინკლინის სამხრულ ფრთაში წყება თითქმის ორჯერ შეძლავისა ვიდრე ჩრდილო ფრთაში (სურ. 1). მაგრამ თუ მიუიღებთ მხედველობაში იმას, რომ სამხრეთით ამ წყებას უწუალოდ მოჰყვება ისევ ჩრდილო-თისკენ დაქანებული (გაღმობრუნებული) რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ქვედანეოკომური კირქვები, მაშინ ცხადი გახდება, რომ აღწერილ წყებაში გამოსახული სინკლინის სამხრული ფრთის ასეთი დიდი სიმძლავრე აქ ძლიერ დაკეცილი და სამხრეთისკენ გაღმოწოლილი ანტიკლინის არსებობით უნდა აიხსნას (აღნიშნულ მეორად ნაოჭებზე შრომის შემდეგ ნაწილში გვექნება ლაპარაკი).

ზემოაღწერილი ჭრილი გვიჩვენებს, რომ პორფირიტული წყების ზედა  
ნაწილი აქ ტერიგენული ნალექებით არის წარმოდგენილი (ტაბულა I). ამგვა-

5

N



სურ. 1. ჭრილი. სოფ. ლაილაშის ჩრდილოეთით. 1. მა-  
სიური ტუფბრექჩიები, 2. თხა-ფიქლების და ქვიშაქვების  
წყება—ბაიოსი, 3. ქვედანეოკომური კირქვები, 4. ბარემული  
კირქვები, 5. დელუვიონი, 6. წარმოდგენითი ხაზები

სურ. 1. ჭრილი. სოფ. ლაილაშის ჩრდილოეთით. 1. მა-  
სიური ტუფბრექჩიები, 2. თხა-ფიქლების და ქვიშაქვების  
წყება—ბაიოსი, 3. ქვედანეოკომური კირქვები, 4. ბარემული  
კირქვები, 5. დელუვიონი, 6. წარმოდგენითი ხაზები

ფირიტის განფენები მორიგეობს. მდ. ლაჯანურის ხეობაში თხაფიქლების და  
ქვიშაქვების სიმძლავრე 30-40 მ არ აღმატება. ონავ დასავლეთით ამ წყების  
სიმძლავრე 50-60 მეტრამდე აღწევს. მდ. ლაჯანურის მარჯვენა შენაკად მუხაუ-  
რისღელში კარგად ჩანს ნაცრისფერი ფიქლებრივი ქვიშაქვებისა და მოშავო  
ფერის ფიქლების მორიგეობა (დაქ. NO 40°, დაქ. კუთხე 45°), რომლებიც მი-  
მართებაზე (ერთი უწყვეტი გარშემოლების ფარგლებში) თანდათან იცვლება  
მსხვილმარცვლოვანი რქატყუარიანი ტუფქვიშაქვებით. უფრო დასავლეთით ფა-  
რელის წვერის მერიდიანზე, საურმე გზის გასწრივ შემდეგი ჭრილი შიშვლ-  
დება:

1. ლიასური ქვიშაქვები და ფიქლები;
2. ნაყარი—230-250 მ;
3. მუქი ნაცრისფერი ქარსიანი ქვიშაქვები მცირე სიმძლავრის (4-5 მ) პორფირიტის გან-  
ფენებით—130-150 მ;
4. ფხეირი ქარსიანი ქვიშაქვების და მოშავო ფერის ფიქლების მორიგეობა—100-120 მ.  
დაქ. NO 50°, დაქ. კუთხე 50°;
5. მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების, მუქი ნაცრისფერი ქარსიანი ქვიშაქვების და მუქი  
ფიქლების მორიგეობა პორფირიტის განფენებით—50 მ. დაქ. NO 45°, დაქ. კუთხე 55°;
6. მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების და მიკროკონგლომერატების მორიგეობა (კონგლო-  
მერატი იგებულია პორფირიტის ქვარგვალებით)—10-15 მ. მცირე ხარების შემდეგ;
7. ქვედ ცარცის კირქვები.

ამრიგად, პორფირიტული წყების ზედა ნაწილი აქაც ძირითადად ტერიგე-  
ნული ნალექებით არის წარმოდგენილი, რომლებთანაც პორფირიტის განფენე-  
ბი მორიგეობს. კიდევ უფრო დასავლეთით ეს წყება იცვლება ტიპიური პორ-  
ფირიტული წყებით. მდ. ცხენისტყვლის ხეობაშით ჯანელიძე აღნიშნავს 1200-  
1300 მ სიმძლავრის რქატყუარიანი, ანდეზინიანი და ლაბრადორიანი პორფირი-  
ტების, მათი ტუფების და ტუფლავების წყებას, რომელიც დასავლეთისკენაც  
გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ ბ. მეფერტი ლაჯანურ-ლაილაში-თაბორის ზოლის პორ-  
ფირიტული წყების ზედა ნაწილის ტერიგენულ ნალექებს, ოკრიბის მწვანე ქვი-  
შაქვების და ფიქლების წყების ანალოგით, ბათურად ათარილებდა (1930).  
1940 წელს ა. ჯანელიძემ დაასაბუთა, რომ ოკრიბის მწვანე ქვიშაქვებისა და

ფიქლების წყება ბაიოსის პორფირიტული წყების ნაწილს წარმოადგენს, ფაციესის, რომელსაც განსაზღვრული გავრცელება აქვს, და ასაკობრივად ზედა ბაიოსის უპასუხებს. ჩვენ შემთხვევაში ამ წყების შეცვლა პორფირიტული მიმართულებით ტიპიური პორფირიტული წყებით უდავოდ ამასვე მოწმობს. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ეს წყება ორიბის მსგავსად ზედაბაიოსად მოვიჩნიოთ? ი. კახაძე აღნიშვნავს, რომ მართალია ამ ზოლში (ლიგანური-ცხენისწყალი) პორფირიტული წყების ზედა ნაწილები გამდიდრებულია ტერიგენული მასალით, მაგრამ, ამავე დროს, აქ პორფირიტული წყების სიმძლავრე ძლიერ არის შემცირებული (0,5-1 კმ ნაცვლად 2,5-3 კმ-სა), რაც წეიძლება თავის მხრივ იმას მოწმობს, რომ აქ მისი ზედა ნაწილი ვერ გადაურჩა ზედაიურისწინა და ცარცისწინა გადარეცხვას და ამჟამად მისი მხოლოდ ქვედა ნაწილი არის შერჩენილი. მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის აღმოსავლურ ნაწილში ბაიოსურ წყებაში მრავალრიცხვანი მცირე მასშტაბის ნაოჭის არსებობისა და, ამავე დროს, ამ ნაწილში წყების მასიური, არაშრებრივი ხასიათის გამო, შესაძლებელია მისი ასეთი დიდი სიმძლავრე ერთგვარად მოჩვენებითც არის. ამასთან არც ის არის გამორიცხული, რომ სიმძლავრის ასეთი შემცირება ნაწილობრივ პირველადი მოვლენაც იყოს. სამწუხაროდ დღემდე, პალეონტოლოგიური საბუთების არ არსებობის გამო, ამ საკითხის გადაწყვეტა არ ხერხდება.

## ზედა იურა

ზედაიურული ნალექები რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის მხოლოდ აღმოსავლურ ნაწილშია გაშიშვლებული, ქვედა ცარცით იგებულ საელიოს ქედის ჩრდილო ფერდის გასწვრივ. აღმოსავლეთით ეს ნალექები შესწავლილ ზოლს ციილდება, ხოლო დასავლურ ნაწილში, სოფ. ძირაგეულის მერიდიანზე, ბაიოსურ და ქვედაცარცულ წყებებს შუა ისოლება. უფრო დასავლეთით ზედა იურა, მდ. რიცეულისა და ასკისწყლის ხეობები, მხოლოდ მცირე სიმძლავრის ფერადი წყების სახით არის წარმოდგენილი.

ა. ჯანელიძემ (1926, 1933, 1940) მდ. რიონის ხეობაში, სოფ. წესთან, ზედაიურული ნალექების სრული ჭრილი აღწერა. მან აქ „შეგროვილი ფაუნის შესწავლის საფუძველზე, გამოჰყო კალოვიური და დივეზური, ხოლო ზედა იურის დანარჩენი საროულების არსებობა, არგოვიულიდან კიმერიკულის ჩათვლით, სხვა, მეზობელ ჭრილებთან შედარების საფუძველზე დაადგინა. ზედაიურული ნალექების ამ ზოლში ა. ჯანელიძე სამ ძირითად ფაციეს არჩევს, რომლებიც შემდეგი თანმიმდევრობით ილექებოდა: თიხიან-ქვიშიანი, კარბონატული და ბოლოს ლაგუნური (ფერადი წყება).“

ეს ნალექები შემდგომ შეისწავლეს ი. კახაძემ (1947) და ნ. ხიმშიაშვილმა (1948, 1957). ნ. ხიმშიაშვილმა, სხვადასხვა ჭრილების შედარების საფუძველზე, ფაუნისტურად დაასაბუთა ზედა კალოვიურის (*Reineckeia anceps* -ის ზონის) არსებობა რაჭაში და დაადგინა ლუზიტანურის ტერიგენული (ქვიშიანი) ფაციესი მისი გავრცელების დასავლურ ნაწილში. გარდა ამისა, ზონები (*Peltoceras athleta*, *Quenstedticeras lamberti*, *Cardioceras cordatum*, *Aspidoceras perarmatum* და *Peltoceras transversarium*-ით), რომლებიც ა. ჯანელიძემ ქორთაში დაადგინა, მან რაჭის სხვა ჭრილებშიც გამოჰყო.

ზედაიურული ნალექები საკვლევ ზოლში ტრანსგრესიულად არის განლაგებული ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე და კალოვიური სართულით იწყება. კალოვიურის ფუძეში, საელიოს გადასავალზე და სოფ. წესის ჭრილში, კარგად

გამოიყოფა ბაზალური კონკლომერატი და მსხვილმარცვლოვანი თიხიანი ქვიშა-ქვები, რომლებიც პორფირიტული წყების გადარცხვის ხარჯზეა წარმოშობილი. ზევით მოდის მოცისფრო-მონაცრისფრო, ზოგჯერ მომწვანო ფერის ქვი-შაქვების, სფერული განწევრების მქნე თიხიანი ქვიშაქვების და რუხი თიხების მორიგეობა. ამ ნალექებში მდ. საჭაქვილესლელეს (მდ. რიონის მარჯვენა ჟენაკაღი სოფ. წესთან) მარცხენა შენაკაღში ნ. ხიმშიაშვილი აღნიშნავს: *Macrocephalites macrocephalus Schloth.*, *M. tumidus (Rein.)*, *M. macrocephalus var. canisarroi Gemm.*, *M. macrocephalus var. madagascariensis Lem.*, *Perisphinctes subtilis Neum.* და *P. pseudopatina Par. et Bonar.*, რომლებიც ქვედაკალოზიურის სახელმძღვანელო ფორმებია.

ასეთივე ნალექებში, უფრო ზევით, ამავე ჭრილში, და ასევე მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე სოფ. წესთან, ნ. ხიმშიაშვილი აღნიშნავს ზედაკალოზიურ *Macrocephalites transiens Wag.* და *Hecticoceras lunuloides Kill* მათ მოსდევს რუხი და ყვითელი ქვიშიანი თიხები, მექრივი ნაცრისფერი ქვიშა-ქვების შუაშრებით, რომლებშიც ნაპოვნია ოქსფორდული: *Trigonia perlata Ag.*, *Tr. clavellata Parec.*, *Pholadomya lineata Goldf.*, *Pleuromya varians Ag.*, *Astarte ovata Phill.*, *Lucina lirata Phill.*, *Astarte episcopalis Lem.*

ლუზიტანურ სართულს მიეკუთვნება მარჯნიანი ლია ნაცრისფერი მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები, ზოგან თიხის შუაშრებით, რომლებიც აღმოსავლეთით თანდათან თეთრ და ვარდისფერ კირქვებში გადაღის, მასში ნ. ხიმშიაშვილმა აღმოაჩინა ლუზიტანური მარჯნები: *Latimeandra goldfussi Kobbi* და *Montlivaltia subdispar Fr.* (ნ. ბენდუქიძის განსაზღვრა).

ლუზიტანურ ნალექებს თანხმობით მოჰყვება ფერადი წყება, წარმოდგენილი ფერადი თიხების, ქვიშიანი კირქვების, კვარციანი და არკოზული ქვიშაქვებისა და თაბაშირის შრების მორიგეობით. სოფ. წესის მიდამოებში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე და საელიოს გადასავალზე, ლუზიტანურ ნალექებს აგრძელებს:

1. ქვიშიანი კირქვების და წითელი თიხების მორიგეობა—40-60 მ;
2. არკოზული ქვიშაქვების და ჭრელი თიხების მორიგეობა—5-6 მ;
3. მუქი ნაცრისფერი ქვიშანი კირქვები—2,5 მ;
4. ნაცრისფერი გადოლომიტებული კირქვები—3 მ;
5. არკოზული ქვიშაქვები—15-20 მ;
6. წითელი ქვიშიანი კირქვების და თაბაშირის შრების (2-4 მ) მორიგეობა — 25-30 მ;
7. თხელშრებივი ლია ფერის კრისტალური კირქვები, რომლებიც ზევით თანდათან იცვლება სქელშრებივი გადოლომიტებული კირქვებით.

ფერადი წყება გაშიშვლებულია აგრძელებული რიცეულის ხეობაში, სადაც ისევ კარგად ჩანს მისი თანდათანი (უხარვეზო) გადასვლა ქვედა ცარცის კირქვებში. მდ. რიცეულის მარცხენა ნაპირზე, ძნელად მისაღვომ გაშიშვლებაში კარგად ჩანს:

1. ბაიოსის ტუფბრექჩიები; მცირე ხარვეზის შემდეგ.
2. რუხი მოწითალო თიხები მოვარდისფრო კირქვების (30-40 სმ) შუაშრებით 8-10 მ. დაქ. SW 200°, დაქ. კუთხე 75°;
3. მომწვანო ქვიშიანი კირქვებისა და თიხიანი კარბონატული ქვიშაქვების მორიგეობა — 18-20 მ. დაქ. SW 200°, დაქ. კუთხე 75°;

4. მომწვანო ქვიშიანი კირქვები—6-7 მ. ეს კირქვები თანდათან იცვლება ტლანქშრებრივი გადოლმიტებული კირქვებით. დაქ. SW 200°, დაქ. კუთხე 75°. ამ კირქვებში ფუძიდან 30 მეტრზე მ. ერისთავმა იპოვნა ვალანჯინური *Zeilleria abchazica* Nutz.

ფერადი წყების მცირე გამოსავალი არის აგრეთვე მდ. ასკისწყლის ხეობაში, საღაც მის მარცხენა ნაპირზე ბაიოსის მასიურ ტუფბრექჩიებს მოჰყვება წითელი და მწვანე თიხები დოლომიტის შრით, რომლებსაც თეთრი და ვარდისფერი თაბაშირის, თიხისა და დოლომიტის მორიგეობა აგრძელებს. ეს 20-25 მ სიმძლავრის წყება ძლიერ აშშუშნილია, დაწვრილნაოჭებულია და ზოგადად დაქანებულია S, დაქ. კუთხე 55-60°. ქვედა ცარცონ მისი შეხება აქ ტექტონიკურია.


ა. ჯანელიძე აღნიშნავს, რომ ვინაიდან განხილული ზოლის ფერადი წყება თანხმობით აგრძელებს ლუზიტანურ ნალექებს და კარგად გამოხატავს ტიტონურისწინა რეგრესიას, კიმერიკულად უნდა დათარიღდეს. ამავე დროს ა. ჯანელიძე (1940) მიუთითებს, რომ „რეგრესიული ფერადი წყება ანდური მოძრაობების მოწმეა, მაგრამ შესაძლებელია მისი დაგროვება უფრო გვიანაც გრძელდებოდეს, ე. ი. ტიტონურ დროს. ამ შემთხვევაში წყების ზედა ნაწილები შეიძლება ტიტონური ასაკის იყოს“. როგორც ზემოაღწერილი ჭრილები გვიჩვენებს, მდ. რიონის ხეობაში და მის დასავლეთით გვაქვს თანდათანი (უხარვეზო) გადასვლა ფერადი წყებისა ქვედა ცარცუში, რაც, როგორც ჩანს, იმაზე მიგვითოვთ, რომ აღმავალი მოძრაობა, რომელიც აქ ლუზიტანის ბოლოს დაიწყო, ისე შეიცვალა დაძირვით, რომ სრულ ემერსიას ადგილი არ ჰქონია, ე. ი. უნდა დავუშვათ, რომ ფერადი წყების ზედა ნაწილი და შესაძლებელია გადოლმიტებული კირქვების სულ ქვედა ნაწილი ტიტონურსაც შეიცავს. ამრიგად, ამ უბნებში ფერადი წყება, გამოხატავს რა უდავო რეგრესიას, ზედა ნაწილში ტრანსგრესიულ ნალექებსაც შეიცავს, რომელიც ბუნებრივია დაძირვისას, პირველ ხანებში, ისეთივე ხასიათისა (ლაგუნური), როგორიც მათ ქვეზმდებარე ნალექები. აქედან გამომდინარე, რიცეულისა და ასკისწყლის მცირე სიმძლავრის ფერადი წყება შესაძლებელია ტრანსგრესის დასაწყისს დავუკავშიროთ და ტიტონურად მივიჩნიოთ. ეს მოვლენა კიდევ უფრო ბუნებრივი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ ზედაიურული ნალექების ხასიათს მთელ ამ ზოლში.

ი. კახაძე (1947) აღნიშნავს, რომ: „В продольной долине Риона келловейское море с юга и севера ограничено сушей. Увеличение в келловее и оксфорде песчанистого материала на запад, в сторону Цеси, показывает, что в этом направлении море также органичировалось сушей“.

ზედაიურული ნალექების უკიდურესი დასავლური გამოსავლები შეისწავლა 6. ხიმზიაზგილმა (1957), რომელიც აღნიშნავს, რომ „С востока на запад наряду с сокращением общей мощности верхней юры, наблюдается смена известняковой фации лузитана песчанистой и повышение крупности зерна в отложениях различных ярусов верхней юры, особенно ярко выраженное в разрезах хребта Саэлио, где как литологический состав отложений верхней юры, так и найденная в них фауна указывает на мелководный, прибрежный характер осадков и близость суши“.

ამრიგად, ზედა იურის განმავლობაში ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ხმელეთით შემოფარგლული ზღვა თანდათან დასავლეთისკენ მიიწევდა. კამერიკულ დროს აღილი ჰქონდა აზევებას და რეგრესიული (ლაგუნური) ნალექების დაგროვებას. ტიტონურში იწყება მცირე დაძირვა, რომელიც ძირითადად არ სცვლის ნალექების ხასიათს, მაგრამ დასავლეთით (მდ. რიცეულის და ასკისწყლის ხეობები) იწვევს ლაგუნით სანაპირო ზოლის ნაწილობრივ

დაფარვას და ნალექების დაგროვებას. ვალახუინურ დროს იწყება რაჭა-ლეჩ-ხუმის დეპრესიის ინტენსიური დაძირვა და ზღვიური ნალექების წარმოქმნა.



ტაბ. I

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის შუა და ზედაიურული ნალექების სტრატიგრაფიული ჭრილების შედარებით ტაბულა. მასშტაბი 1:10000.

I—ჭრილი სოფ. წესის მიღმოებში, II—ჭრილი მდ. რიცეულის ხეობაში, III—ჭრილი სოფ. ლალაშის ჩრდილოეთით, IV—ჭრილი მდ. ცხენისწყლის ხეობაში.

1. მასიური კირქვები, 2. კირქვები თაბაშირის შუაშრეებით, 3. თიხების და კირქვების მორიგეობა, 4. ქვიშაქვები, 5. ტუფქვიშაქვები, 7. პორფირიტული წყება, 8. თიხაფინელები და ქვიშაქვები

## ცარცული ნალექები

### მგედა ცარცი

რაჭა-ლეჩხუმის ქვედა ცარცი დიდი ხანია ცნობილია. პირველ ცნობებს მის შესახებ გხვდებით ღიუბუა-დე-მონპერეს შრომებში (1843). შემდგომ ეს ნალექები შეისწავლეს: ჰ. აბიხმა, ე. ფავრმა, ს. სიმონოვიჩმა, ა. ფურნიემ, ბ. მეფერტს ამ სქემაზი ახალი თითქმის არაფერი შეუტანია.

ე. ფურნიემ, აღრე არსებული მასალების საფუძველზე, ქვედა ცარცის სტრატიგრაფიის პირველი, შედარებით სწორი სქემა შეადგინა. ის გამოკყოფდა ქვედა ნეოკომს, ბარემს (ურგონული ფაციისით), ატს და ალბს. ბ. მეფერტს ამ სქემაზი ახალი თითქმის არაფერი შეუტანია.

1939 წელს ქვედა ცარცი დეტალურად დაანაწილა ა. ჯანელიძემ. მან დაადგინა ქვედანეოკომურის ტრანსგრესია და რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში გამოკყო ბარემული საჩთულის ამონიტური ფაციები. უფრო გვიან ეს ნალექები შეისწავლა მ. ერისთავმა (1946, 1952), რომელიც რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში აღნიშნავს. ფაუნით შედარებით ღარიბ ვალანჯი-ნურ-პოტრიცულს, ხოლო ბარემულში (სოფ. კვაცხუთთან), ა. ჯანელიძის და

მის მიერ შესწავლილი ფაუნის საფუძველზე, გამოჰყოფს (ქვევიდან ზევით): *Pseudothurmannia anglicostata*-ს, *Holcodiscus caillaudi*-ს და *Heteroceras leenhardti*-ს პორიზონტებს. აპტურ ნალექებში, სოფ. მალთან, მ. ერისთავი გამოჰყოფს: ქვედა პორიზონტს, რომელიც შეიცავს *Colchidites aff. securiformis* Roux და *C. latecostatus* Roux-ს, შედას—*Deshayesites deshayesi* Leym და ზედას—*Cheloniceras martini* d'Orb. var. orientalis Jac. c.-თ. სოფ. ჩორჯოსთან მ. ერისთავი აღნიშნავს კლანსეურ პორიზონტს *Acanthoplitetes abichi*-თ.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში ქვედაცარცული ნალექები თოვქმის უწყვეტი ზოლის სახით არის გაშიშვლებული და ყველა ძირითადი სტრუქტურის შექმნაში მონაწილეობს. ქვედა ცარცუში გამოიყოფა რამდენიმე წყება, რომლებიც ქვევით ცალცალე არის განხილული.

ტლან ქშრე ებრივი გადთლოში ტებული  
და შრე ებრივი კაუიანი კირქვების წყება  
(ვალანჟინურ-ჰ-ჰრივული)

1940 წელს ა. ჯანელიძემ აღნიშნა, რომ რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში ცარცი ზრებბრივი გაღოლომიტებული კირქვებით იწყება, რომლებიც ოკრიბის კვარციანი ქვიშაქვების ანალოგია და ტრანსგრესიულადაა განლაგებული ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე. ვინაიდან ეს წყება ტრანსგრესიულია და დანაოჭების ანდურ ფაზისზე ახალგაზრდაა, ის ტიტონურზე ძველია არ უნდა იყოს. თუ დაუუშვებო, რომ ტრანსგრესია ტიტონურში დაიწყო, მაშინ წყების ქვედა პორიზონტები ტიტონურად უნდა დავათარიოთ. მაგრამ ტრანსგრესია შესაძლებელია უფრო გვიანაც დაწყებულიყო. ტყვარჩელის რაიონში ი. კაჭარავამ ტრანსგრესიული ცარცის ფუქეში იპოვნა ამონიტი *Spiticeras cf. negreli* Math. (ი. ჯანელიძის განსაზღვრა), რომელიც ქვედავალანური მიეკუთვნება. ამრიგად, ტრანსგრესია იქ ვალანური იწყება. ა. ჯანელიძემ გამოჰყავა მოსაზრება, რომ ვინაიდან რაჭის სინკლინის ცარცული ნალექები მჭიდროდ არის დაკავშირებული აფხაზეთის ასეთივე წარმონაქმნებთან, ტრანსგრესია აქაც ვალანური უნდა იწყებოდეს.


უფრო გვიან, მდ. რიცეულის ხეობაში, ცარცული წყების ქვედა ნაწილში მ. ერისთავემა აღნიშნა ქვედავალანური *Zeilleria abchazica* Nutz. და ჩათვალი, რომ რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ზოლში ტრანსგრესია ყველაგან ვალანური სართულით იწყება.

მაგრამ, როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის აღმოსავლეურ ნაწილში, სოფ. წესის მიდამოებსა და მდინარე რიცეულის ხეობაში, ზედა იურის ფერადი წყების ზედა ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული ქვედაცარცულ კირქვებთან, რომლებიც თანდათან ცვლის მას, და მათთან ერთად უთანხმოდ ფარავს ბაიოსის პორფირიტულ წყებას. ამიტომ ამ ნაწილში მცირე დაძირვა შესაძლოა ჯერ კიდევ ტიტონურში იწყებოდეს.

ქვედა ცარცის ქვედა ნაწილები რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში კარგად არის გაშიშვლებული. გავეცნოთ ამ ნალექების რამდენიმე ჭრილს.

მდ. რიონის ხეობაში, ხიდიკარის კლდეკარში, ქვედაცარცული ნალექები სამხრეთისკენაა დაქანებული. მდინარე ამ ნალექებს შერებრივობის მართობულად ჰქვეთს. აქ მდინარის მარცხენა ნაპირზე, გოგირდის აბანოების ზემოთ, კარგად ჩანს ზედა იურის ფერადი წყების თანხმობითი გადასვლა სქელშრეებ-

როვ გადოლომიტებულ კირქვებში (იხ. ზემოთ), ხოლო მარჯვენა ნაპირზე ფერად წყებას გაშიშვლებაში ხარვეზით მოჰყვება (სურ. 2):



სურ. 2. ჭრილი ხიდიკარის კლდეკარში. 1. ფერადი წყება, 2, 3 და 4. სქელშრეებრივი გადოლომიტებული კირქვები და შრეებრივი კირქვები—ვალანციურ-პოტრივული, 5, 6. ტლანგშრეებრივი კირქვები და შრეებრივი კირქვები—ბარემული, 7. შრეებრივი კირქვები მერგელის შუაშრეებით—აპტური, 8. მერგელოვანი კირქვები მერგელის შუაშრეებით—ალბური, 9. მაიკობის წყება—ოლიგოცენი

6. ხარვეზი—8-10 მ;

7. ტლანგშრეებრივი ზოგან მასიური მკვრივი კაჟიანი კირქვები. სიმძლავრე 60 მ.

ქვედა ნაწილში ნაპოვნია: *Phylloceras* cf. *ponticuli* (Roussseau), პირველ რიგში საყურადლებოა დასტა 5. მასში ნაპოვნი *Pseudothurmannia mortilletti* Pict. et Lor. ზედა პოტრივულსა და ქვედა ბარემულში გვხვდება, ხოლო *P. angulicostata* d'Orb. ბოლო დრომდე ქვედა ბარემულის ამავე სახელწოდების ზონის სახელმძღვანელო ნამარხად ითვლებოდა. მაგრამ უნიუმ და მორემ (1948) დამაჯერებლად გვიჩვენეს, რომ სტრატოტიპში ზედა პოტრივულშე განლაგებულია ურგონი *Requienia ammonia*-თი. ფრანგი გეოლოგების გამოკვლევების მიხედვით *Requienia ammonia* ჩნდება *Holcodiscus caillaudi*-ს ზონაში (გოგელი და სხვა). ამავე დროს *Pseud. angulicostata*-ს ზონაში ძლიერია პოტრივული ელემენტები, კერძოდ პოტრივული *Crioceratites*, მათ შორის *Crioceratites duvali* Lev. ჯგუფი, რომელიც ზედა პოტრივულისთვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე, როგორც მ. ერისთავი (1960) იღნიშნავს, ბორიულ პროგინუაში *Simbirskitidae*-ს ოჯახი *Crioceratites duvali* და *Pseud. angulicostata*-ს ზონების ექვივალენტებთან არის დაკავშირებული. მ. ერისთავი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ჩრდილო კავკასიაში, თურქმენეთში, ვოლგისპირეთში და საქართველოს უმეტეს ნაწილებში ცვლილება ნალექთლაგროვებაში ხდება სწორედ *Pseud. angulicostata*-ს და *Holcodiscus caillaudi*-ს ზონებს შუა. ამიტომ ბუნებრივია *Pseudothurmannia angulicostata*-ს ზონა ზედა პოტრივულს მიეკუთვნოს. ამრიგად, აღწერილი ჭრილის 1-5 დასტები ვალანციურ-პოტრივულად უნდა დათარიღდეს.

წყების საერთო სიმძლავრე 210 მეტრამდე აღწევს. დასტა 7-ში ნაპოვნი ფორმა უკვე ბარემულ სართულზე მიგვითოთებს.

აღწერილი წყება კარგად შიშვლდება აგრეთვე მდ. რიცეულის ხეობაში. აქ შრეები ისევ სამხრეთისკენ არის დაქანებული. (სურ. 3). ზედა იურის ფერადი წყება თანდათან გადადის:

1. სქელშრეებრივი ნაცრისფერი მკვრივი გადოლომიტებული კირქვები. დაქანება SW 190°, აძ. კუთხე 80°, სიმძლავრე 100 მ;

2. თხელშრეებრივი ფიქლებრივი მოცისურო-მონაცრისურო-მსხვევადი კირქვები, დაქ. SW 190°, დაქ. კუთხე 65°, სიმძლავრე 12 მ;

3. შრეებრივი ნაცრისფერი კირქვები. სიმძლავრე 70 მ;

4. ხარვეზი გაშიშვლებაში 285 30 მეტრი;

5. მოთეთრო - მონაცრისურო მსხვევადი ბელიტომორფული კირქვები კაუის ლინებით (10-15 სმ). აქ აღმოჩნდა: *Pseudothurmannia mortilletti* Pict. et Lor. ოდნავ ზევით—*P. cf. angulicostata* d'Orb., *Hibolites subfusiformis* Raspl., *Rhynchonella cherennensis* J. a. c. et Fall.

1. ტლანქშრეებრივ ძლიერ ნა-  
პრალოვან მცველი მოყავისფრო-  
ნაცრისფერ გადალომიტებულ  
კირქვებში. დაქ. SW 200°, დაქ.  
კუთხე 75°, სიმძლავრე—100 მ;

მ. ერისთავი ამ წყებაში ფუძი-  
დან 50 მეტრზე აღნიშნავს *Zei-*  
*lleria abchasica* Nutz.-s. შემ-  
დევ მოდის;


2. ასეთივე, მხოლოდ პორიანი  
კირქვები. სიმძლავრე 50 მ;

აქ მ. ერისთავმა იძოვნა *Hibo-*  
*lites cf. longior* Schw. და  
*Oxyteuthis cf. jasikowi* Lah.;

3. მუქი ტლანქშრეებრივი კა-  
შის ლიხანებანი კირქვები. სიმ-  
ძლავრე 70 მ;

ზედა ნაწილში აღმოჩნდა: *Pse-*  
*udothurmamnia cf. angulicos-*  
*tata* d'Orb.;

4. ხარები 60 მეტრი. დასაჭ-  
ყისში, ერთ ადგილას, მცირე სიმ-  
ძლავრის კირქვის შესის გამო-  
სვალი, მასში: *Spitidiscus seu-*  
*nesi* Kili.



სურ. 3. ჭრილი მდ. რიცეულის ხეობის გასწერივ; 1. პორ-  
ფირიტული წყება—ბაიოსი, 2. ფერადი წყება—ტიტონური, 3,  
4,5. ტლანქშრეებრივი გადალომიტებული კირქვები, პორი-  
ანი კირქვები და შრებრივი კაჟიანი კირქვები—ვალანენურ-  
ჰორივული, 6. შრებრივი კირქვები—ბარემული, 7. თხელ-  
შრებრივი მოყვითალო კირქვები—აპტური, 8. მერგელოვანი  
კირქვები და გლაციონიტიანი ქვიშაქვა—ალბ-სენომანური,  
9,10. მერგელოვანი კაჟიანი კირქვები, თიხები და შრებრი-  
ვი კაჟიანი კირქვები—ტურონულ-კამპანური, 11. მაიკობის  
წყება—ოლიგოცენი.

დასტა 1-ში ნაპოვნი ფორმა ქვედავალანქინურად თარიღდება. 2 და  
3 დასტები ფაუნის საფუძველზე ჰოტრივულს უნდა მიეკუთვნოს, ხოლო დასტა  
4 უკვე ბარემულია.

მდ. რიცეულის დასავლეთით, მეტად საყურადღებოა ს. ჩორჯოს მიდა-  
მოები. აქ მდ. ჩორჯოსლელეს მარცხენა ფერდზე, საურმე გზის პირას, კარ-  
გად ჩანს:

1. ტუფქვიშაქვების და პორფირიტების შორიგეობა. დაქ. SO 170°, დაქ. კუთხე 70°;

2. ტუფქუქები—100 მ;

3. კარბონატული თიხა—4 მ;

4. ქვიშიანი კირქვა. შიგ დაკუთხული ან სუსტად დამზადებული ბაიოსის პორფირიტუ-  
ლი წყების მასალა (ქვარგვალების დიამეტრი 1-5 სმ) დაქ. NW 350°, დაქ. კუთხე 60°. სიმძ-  
ლავრე—1,5 მ.

5. ქვიშიანი კირქვები —10 მ;

6. ბრექჩიისებური იგებულების კირქვები კირქვისავე ნაგორები მასალით (ქვარგვალების  
დიამეტრი 0,5—8 სმ).

7. ურუქრივი მკრივი პელიტრიტორფული კირქვები. სიმძლავრე—30 მ;


ზედა, ნაწილში აღმოჩნდა: *Lytoceras (Biasaloceras) sauclum* Druz c. და *Pseudothurmamnia*  
cf. mortilleti Pict. et Lort.;

8. ისეთივე კირქვები

დასტა 1 და 2 ბაიოსის პორფირიტულ წყებას ეკუთვნის, ხოლო 3, 4, 5 და  
6 ქვედა ცარცის ფუძის ფორმაციას წარმოაღენს. 7 დასტაში ნაპოვნი ფაუნა  
მის ზედაპორტრივულ ასაკზე მიგვითოთებს. ამრიგად, ამ ჭრილში, კარგად ჩანს  
ნეოკომის ტრანსგრესიული განლაგება ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე. აღნი-  
შნული ფაუნა და, ამავე დროს, ქვედა ნეოკომის ძლიერ მცირე სიმძლავრე  
(30-35 მეტრი) მიგვითოთებს, რომ აქ ტრანსგრესიულად ჰოტრივული (შესა-  
ლებელია მისი ზედა ნაწილი) არის განლაგებული.

კიდევ უფრო დასავლეთით, მდ. ლაჭანურის ხეობაში, ჭრილი შემდეგია:  
(სურ. 4).

1. თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. დაქ. NO 40°, დაქ. კუთხე 60°;  
2. მდ. ლაჯანურის მარჯვენა შენაკადის მუხაორის დელეში — კონგლომერატი აგე-  
ბული ბაიოსის მასალით. სიმ-  
ძლავრე—0,5 მ;



სურ. 4. სქემატური ჭრილი მდ. ლაჯანურის  
მარცხნა ნაპირის გასწორივ

1. ბაიოსის თიხები და ქვიშაქვები, 2. ტლანქშრეე-  
ბრივი გადოლომიტებული, ზევით კაუიანი კირქვები—  
ვალანჟინურ-ჰოტრივული, 3. შრეებრივი პელიტომო-  
რფული კირქვები—ბარემული, 4. კირქვებს და მე-  
რგელების მორიგეობა—აპტური, 5. მერგელები და თი-  
ხები—ალბური, 6. მიოცენური ქვიშაქვები, 7. დელუ-  
ვიონი, 8. წარმოდგნითი საზები

ამრიგად, აქაც ისევე, როგორც სხვა ზემოთ აღწერილ ჭრილებში, შეიძლება  
გამოყოფო გადოლომიტებული კირქვებისა და შრეებრივი კაუიანი კირქვების  
წყება (დასტები 3, 4, 5), რომელიც მოქცეულია ბაიოსის პორფირიტულ წყება-  
სა და ბარემულ კირქვებს შეუ და შეიძლება ვალანჟინურ-ჰოტრივულად და-  
თარილდეს. აქ ქვედა ნეოკომასა და ბარემულს შეუ საზღვრის დადგენა გაძნელე-  
ბულია და შესაძლებელია „კუნძიანი კირქვების“ (დასტა 5) ზედა ნაწილი ბარე-  
მულს ეკუთვნოდეს.

ამრიგად, რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ზოლში (ტაბულა II)  
ცარცული ნალექების ქვედა ნაწილში გამოყოფა მძლავრი (150-220 მ) ტლანქ-  
შრეებრივი გადოლომიტებული და შრეებრივი კაუიანი კირქვების წყება, რო-  
მელიც ვალანჟინურ-ჰოტრივულად თარილდება, აღმოსავლურ ნაწილში თანხ-  
მობით აგრძელებს კიმერიკულ-ტიტონურ ფერად წყებას და სხვაგან ყველგან  
უთანხმოდა განლაგებული ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე. ხვანჭეკარალვია-  
რის ზოლში ადგილი აქვს ქვედა ცარცის დაგვიანებულ ტრანსგრესისა (ტრან-  
გრესიულია ზედა ჰოტრივული).

### შრეებრივი პელიტომორფული კირქვების წყება (ბარემული)

რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში ბარემული სართული უმე-  
ტესად შრეებრივი პელიტომორფული კირქვებით არის წარმოდგენილი და საკ-  
მაოდ მდიდარ ფაუნას შეიცავს. ეს წყება ყველა ზემოთ აღწერილ ჭრილსა (ხი-  
დიკარი, რიცეულა, ჩორჯოსლელე, ლაგანური) და, ასევე, მდ. ასკისწყლის ხეო-  
ბაში თანდათან აგრძელებს ჰოტრივულ კირქვებს და მათ შეუ საზღვრის დადგე-  
ნა მხოლოდ ფაუნის საფუძველზე ხერხდება.

ხიდიკარის კლდეკარში ჰოტრივულ კაუიან კირქვებს, მცირე ხარვეზით  
გაშიშვლებაში მოჰყვება (სურ. 2):

- ტლანქშრეებრივი, ზოგან მასიური, მყერივი კაუიანი კირქვები. სიმძლავრე—60 მ;  
ქვედა ნაწილში ნატონი მილიკინი *Phylloceras cf. ponticuli* (Rousseau).
- შრეებრივი მუქი ნატონისფერი კირქვები, ზოგან მერგელის შეუშრით. სიმძლავრე—30 მ;  
აქ აღმოჩნდა: *Spitiidiscus seunesi* Kil., S. cf. fallacior Coquand, *Pulchellia* (Heinzia) *matura* Hyatt.
- ასეთივე კირქვები. სიმძლავრე—30 მ;

ამ დასტის სულ ზედა ნაწილში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპოვნია: *Astieridiscus cf. phasiensis Rouch.*, *Barremites hemiptichus Kiel.*, *B. cf. charrierianus d'Orb.*, *B. cf. subdifficilis Kar.*, *Rhynchonella malbosi Pict.* var. *tenuicostata Nutz.*, *Rh. multiformis Roem.* var. *rotundicosta Jac.* et *Fall.*

აგრეთვე, იმავე დანებული გზიდან უფრო მაღლა — *Cymatoceras radiatum Sow.*, *Protetragonites cf. crebrisulcatus Uhlig.*, *P. strangulatum d'Orb.*, *P. sp.*, *Anahamulina silesiaca Uhlig.*, *Costidiscus recticostatus d'Orb.*, *Pseudohaploceras douvillei (Fallot)*;

4. ასეთივე კირქვები, მერველის შუაშრებით. სიმძლავრე — 50 მ. სულ ქვედა ნაწილში აღმოჩნდა: *Matheronites cf. ridzewskyi Kar.* და სხვ.

1, 2 და 3 დასტებში ნაპოვნი ფაუნა მათ ბარემულ ასაქშე მიგვითითებს. დასტა 4 უკვე აპტის მიეკუთვნება. ამრიგად, ბარემულის სიმძლავრე აქ 130 მეტრამდე აღწევს. ამავე დროს დასტა 2-ში ნაპოვნი ფაუნის კომპლექსი საშუალებას იძლევა გამოყენოთ ბარემულის ქვედა — *Holcodiscus caillaudi-s* ზონა, ხოლო 3 დასტის ზედა ნაწილში ნაპოვნი ფორმები *Heteroceras leenhardtii-s* ზონის არსებობაზე მიგვითითებს.

მდ. რიცეულის ხეობაში (სურ. 3) ზედაპოტრივული კირქვების შემდეგ გაშიშვლებაში ხარვეზია — 60 მ, მაგრამ დასაწყისში, ერთ ადგილას, კარგად ჩანს:

1. მცირე სიმძლავრის შრის გამოსავალი, მას მოსდევს:

2. შრეებრივი, ზედან მერველოვანი კირქვები, სიმძლავრე — 40 მ;

აქ ნაპოვნია *Phyllopachyceras eichwaldi Kar.*, *Costidiscus nodosocostatus Kar.*, *Barremites cf. difficilis d'Orb.*, *B. hemiptichus Kiel.*, *B. ponticuli (Rousseau)*, *Pulchellia compressissima d'Orb.*, და რინბონელები.

3. შრეებრივი მოყვითალო პელიტომორფული კირქვები.

აქ ქვედა ნაწილში აღმოჩნდა აპტური *Matheronites cf. soulieri Mather.* და სხვ.

ამრიგად, 1 და 2 დასტები, მათში ნანახი ფაუნის საფუძველზე, ბარემულს ეკუთვნის. ამასთან შეიძლება გამოყენოთ ქვედა — *Holcodiscus caillaudi-s* ზონა, რომელზეც მიუთითებს 1 დასტაში ნაპოვნი ფორმა და ზედა *Heteroceras leenhardtii-s* ზონა, რომელსაც 2 დასტაში ნაპოვნი ფორმები *Costidiscus nodosocostatus Kar.* და *Pulchellia compressissima d'Orb.* ადასტურებს. ბარემულის სიმძლავრე, ამ ჭრილში, 100 მეტრს არ აღემატება.

მდ. ასკისწყლის ხეობაში მეორადი ანტიკლინის სამხრულ ფრთაში შივლდება (სურ. 5):


1. ტლანქშრეებრივი გადოლო-მიტებული კირქვები, რომლებიც ანტიკლინის თაღს აგებს. მათი ფუძე არ არის გაშიშვლებული.

2. შრეებრივი პელიტომორ-ფული მსხვერევადი კირქვები. ქვედა ნაწილში — *Barremites hemiptichus Kiel.* და *B. cf. charrierianus d'Orb.* ზედა ნაწილში კი *Costidiscus recticostatus d'Orb.* სიმძლავრე — 100-120 მ:

3. თეთრი ფერის პელიტომორ-ფული შრეებრივი კირქვები აპტური ფაუნის.

2 დასტა ბარემულს ეკუთ-ვნის. აქ მისი ზონებად და-ნაწილება არ ხერხდება.

უფრო დასავლეთით, მდ. ლაჯანურის ხეობაში (სურ. 4), ბარემულის ქვედა საზოგარი ნაკლებად მეტიონა. აქ „კუნძიან კირქვებს“ თანდა-თან აგრძელებს:



სურ. 5. სქემატური ჭრილი მდ. ასკისწყლის მარცხენა ნაპირის გასწრები.

1. ბაიოსის პორფირიტული წყება 2. ფერადი წყება.

3. ტლანქშრეებრივი გადოლომიტებული კირქვები — გალანქინურ-პოტრივული, 4. შრეებრივი პელიტომორფული კირქვები — ბარემული, 5. შრეებრივი კირქვები მერგელის შუაშრებით — აპტური, 6. მერგელების, თიხების და გლაუკონიტიან ქვიშაქვების მორიგეობა ალბ-სენომანური 7. თხელშრეებრივი კაუიანი კირქვები — ურონიულ-კონიკური, 8. მაიკონის წყება — ოლიგოცენი, 9. მიოცენის ქვიშაქვები, 10. შეცოცების ხაზი

1. შრეებრივი თეთრი ფერის პელიტომორფული კირქვები. სიმძლავრე—100 გ. ქვედა ნაწილში აღმოჩნდა: *Spitidiscus andrussowi* Kar., და *Duvallia binervia* Raspl. ეს წყება, მომდევნო წყებებთან ერთად, მეორადაც არის დანაოჭებული და ამიტომ, უფრო სამხრეთით, ხეობაში ანტიკლინების თაღურ ნაწილებში მისი მხოლოდ ზედა ნაწილებია გაშივლებული, სადაც ნაპოვნია: *Phyllopachyceras infundibulum* d'Orb., *Costidiscus recticostatus* d'Orb., *Barremites hemipitchus* K. I., B. cf. *subdifficilis* Kar., და ონთონელები.

2. თეთრი ფერის თხელშრეებრივი კირქვები, რომელიც მუქ ნაცრისფერ მერგელოვან ფიქლებრივ კირქვებთან მორიგეობს (აპტური ფაუნით).

ამ ჭრილში საზღვრის დადგენა ქვედა ნეოკომსა და ბარემს შუა გაძნელებულია. „შესაძლებელია „კუნძიანი კირქვების“ ზედა ნაწილი ბარემს ეკუთვნოდეს. დასტა 1 მთლიანად ბარემულს მიეკუთვნება. აქ კარგად გამოიყოფა ბარემულის ზედა *Heteroceras leenhardtii*-ს ზონა, რომელზეც დასტის ზედა ნაწილში ნაპოვნი ფაუნის კომპლექსი მიგვითითებს.

უფრო დასავლეთით, მდ. ცხენისწყლის ხეობაში, მურის კლდეკარში, კარგად ჩანს როგორ იცვლება ეს წყება ტლანჯშრეებრივი კრისტალური კირქვების წყებით, რომელიც ფაუნით მეტად ღარიბია. კიდევ უფრო დასავლეთით ბარემული მთლიანად მასიური (ურგონულის მსგავსი) კირქვებით არის წარმოდგენილი და მასში ხამიღებიც გვხვდება. სოფ. ქულბაქთან კარგად ჩანს მაღალი მერიდიანული მიმართების სერი, რომელიც ურგონული და მასთან უშუალო შეხებაში მყოფი აპტური კირქვებით არის აგებული.

ამრიგად, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში (ტაბულა II) გამოიყოფა შრეებრივი პელიტომორფული კირქვების წყება, რომლის სიმძლავრე 100-130 მეტრის ფარგლებში იცვლება და ფაუნის საფუძველზე ბარემულად თარიღდება. მასში გაიჩრევა ორი ზონა: ქვედა— *Holcodiscus caillaudi* და ზედა—*Heteroceras leenhardtii*.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის დასავლურ ნაწილში, დაახლოებით სოფ. ლუხვანის დასავლეთით, ბარემული უკვე ურგონული ფაციესით არის წარმოდგენილი.

## თხელშრეებრივი მერგელოვანი კირქვების წყება (აპტური)

ბარემული შრეებრივი კირქვები რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში თანდათან იცვლება თხელშრეებრივი მერგელოვანი კირქვების წყებით, რომელიც მდიდარი ფაუნის მიხედვით აპტურად არის დათარიღებული. ამ წყების ზედა საზღვარი ალბურ თიხებთან არამკაფიოთა და მისი დაზუსტება მხოლოდ ფაუნის საფუძველზე ხერხდება.

ამ ნალექებში, ყველა ზეპოთ ალერილ ჭრილში (ხილიკარი, რიცეულა, ასკისწყალი, ლაჭანური), შეგროვდა ფაუნა, რომელიც მათი სტრატიგრაფიულ ჰირიზონტებად დანაწილების საშუალებას იძლევა.

ხილიკარის კლდეებარში (სურ. 1) ბარემული ასკის შრეებრივ მუქ-ნაცრისფერ კირქვებს მოჰყვება:

1. ასეთივე, მხოლოდ მერგელოვანი კირქვები. სიმძლავრე 50 გ;

ამ დასტის სულ ქვედა ნაწილში აღმოჩნდა: *Matheronites cf. ridzewskyi* Kar., *Colchidites cf. ratschensis* Rouch., *Colchidites* sp., *Imerites cf. katscharawai* Rouch. და ტერებრატულები. შემდევ უფრო მაღლა (სტრატიგრაფიულად) *Ancyloceras* sp., *Toxoceratoides elegans* d'Orb., *Heteroceras* sp.

ხილიკარის დასავლეთით, საელიოს ქედზე, ასეთივე კირქვებში გვიპოვნეთ: *Ancyloceras helicooides* Rouch., *A. kutatisiense* Rouch., *A. cf. renauxii* d'Orb.

დასტის ზედა ნაწილში, არც ხილიკარში და არც საელიოს ქედზე, ფაუნა არ გვხვდება

2. მერგვლოვანი კირქვები და მერგვლები. ამ დასტაში მ. ერისთავი აღნიშნავს: *Acanthoplates multispinatus* A n t h - b.

1 დასტის ქვედა ნაწილში აღნიშნული *Matheronites cf. ridzewskyi* K a r. საქართველოში პირველადაა ნაპოვნი. ის ჩრდილო კავკასიაში ქვედა აპტის ქვედა ზონის სახელმძღვანელო ნამარხად ითვლება. აღსანიშნავია, რომ მასთან ერთად აქ გვხვდება იგრეთვე კოლხიდიტესები, რომლებიც საქართველოში ქვედა აპტის დამახასიათებელ გაფუფად არის მიჩნეული. ამგვარად, დასტის ეს ნაწილი ქვედა აპტის ქვედა — *Colchidites securiformis*-ის და *Matheronites ridzewskyi* ზონას უნდა მიეკუთვნოს. მის თავზე (ამ დასტაში) გამოიყოფა, იგრეთვე, *Ancyloceras*-ინი ჰორიზონტი, რომელიც შესაძლებელია *Deshayesites deshayesi*-ს ზონის ექვივალენტად ჩავთვალით, ხოლო დასტის სულ ზედა უფაუნო ნაწილი შეუა აპტს უნდა მიეკუთვნოთ.

დასტა 2-ში აღნიშნული ფორმა კლანსეურ ჰორიზონტზე მიგვითითებს.

უფრო დასაცლეთით, მდ. რიცეულის ხეობაში (სურ. 3), აპტური სართული მცირე სიმძლავრის (15 მ) შრეებრივი მოყვითალო პელიტომორფული კირქვებით არის წარმოდგენილი. მათ ქვედა ნაწილში ნაპოვნია: *Phylloceras aff. velleae* M., *Pseudohaploceras aff. matheroni* d' O r b., *Matheronites cf. soulieri* M a t h e r ., *Colchidites* sp., *Cheloniceras cornuelianum* d' O r b ., და რინხონელები და ტერებრატულები, უფრო ზევით კი — *Ancyloceras cf. kutatisiense* R o u c h .

დასტის სულ ზედა ნაწილში (5-6 მეტრი) ფაუნა არ გვხვდება.

ზევით მოდის მერგვლებისა და თიხების მორიგეობა, საღაც მ. ერისთავი აღმურ ფაუნას ასახელებს.

აქ აპტურ კირქვებში კარგად გამოიყოფა ქვედა ჰორიზონტი, რომელიც *Matheronites ridzewskyi*-ს და *Colchidites securiformis* ზონას შეესაბამება და ზედა *Ancyloceras kutatisiense*-ს ჰორიზონტი, რომელიც *Deshayesites deshayesis*-ს ზონის ექვივალენტია. ამ დასტის სულ ზედა უფაუნო ნაწილი, როგორც ჩანს, შეუა და ზედა აპტს მიეკუთვნება.

მდ. ასკისწყლის ხეობაში ბარემულ კირქვებს მოჰყვება (სურ. 5):

1. თეთრი ფერის პელიტომორფული კირქვები მერგვლის შეუშრეებით. სიმძლავრე — 30 მ;

ქვედა ნაწილში აღმოჩნდა: *Matheronites soulieri* M a t h e r o n ., *Colchidites cf. ratschensis* R o u c h ., *Imerites cf. tscholaschensis* R o u c h . უფრო ზევით კი — *Deshayesites dechyi* P a p p .

2. ასეთივე კირქვები. სიმძლავრე — 15 მ;

ქვედა ნაწილში ნაპოვნია *Cheloniceras cornuelianum* d' O r b . უფრო ზევით კი — *Cymatoceras cf. iskaltsithelensis* R o u c h . და *Phylloceras velleae* (M i c h e l i n ).

3. მოვარდისფრო მერგლოვანი კირქვები — 5 მ.

ამგვარად აქაც, ისევე როგორც სხვა ჭრილებში, ქვედა აპტში შეიძლება გამოვყოთ ქვედა ზონა (*Colchidites securiformis*) და ზედა *Deshayesites deshayesi* ზონა. შეუა აპტში (ამ ჭრილში) კარგად გამოიყოფა ქვედა ჰორიზონტი *Cheloniceras cornuelianum* d' O r b .-თ, რომელიც *Cheloniceras subnodosocostatum*-ის ზონას შეესაბამება და ზედა ჰორიზონტი, რომელიც, როგორც ჩანს, შეუა აპტში სულ ზედა *Colombiceras tobleri*-ის ზონას უნდა მიეკუთვნოს. დასტა 3 ზედა აპტს მიეკუთვნება.

მეტად მდიდარი ფაუნა აპტურ ნალექებში აღმოჩნდა მდ. ლაჭანურის ხეობაში. აქ ბარემულ კირქვებს მოსდევს (სურ. 4):

1. თეთრი ფერის თხელშრეებრივი კირქვები, რომლებიც მუქ ნაცრისფერ მერგლოვან ფიქლებრივ კირქვებთან მორიგეობს. სიმძლავრე — 27 მ;

ამ დასტის ქვედა ნაწილში აღმოჩნდა: *Cymatoceras radiatum* S o w ., *Matheronites cf. ridzewskyi* K a r ., *M. soulieri* M a t h e r o n ., *Mesohibolites minareticus* K r i m g ., *M. uhligi* S c h w e t z . უფრო ზევით — *Ancyloceras dichotomum* R o u c h ., *A. cf. sahoriensis*

Rouech., A. cf. phasiense Rouech., *Ancylloceras* sp., *Heteroceras* sp., *Cheloniceras cornuelianum* d'Orb. და რინჩონელები და ტერებრატულები.

კიდევ უფრო ზევით—*Deshayesites dechyi* Parap. დასტის სულ ზედა ნაწილში კი ნაპოვნია *Philoceras* cf. *goreti* Kii., *Colombiceras subpeltoceroides* Sinz. და *Neohibolites inflatus* Stol;

2. მოვარდისფრო მერგელები—3,5 მ;
3. ალბური მერგელები და თიხები.

როგორც დავინახეთ აპტური აქაც გამოიყოფა ქვედა აპტის ორივე ზონა, ხოლო შუა აპტში (ამ ჭრილში) კარგად გამოიყოფა შუა აპტის სულ ზედა — *Colombiceras tobleri*-ის ზონა. მოვარდისფრო მერგელები (დასტა 2), როგორც ჩანს, აქაც ზედა აპტს უპასუხებს. აღსანიშნავია, რომ სოფ. ჩორჯოს მიღმოებში აპტური კირქვების სულ ზედა ნაწილის მოვარდისფრო მერგელების დასტაში, მ. ერისთავი აღნიშნავს კლანსეური ჰორიზონტისთვის დამახასიათებელ *Acanthoplites abichi* Anth.-ს.

ამრიგად, როგორც განხილული ჭრილები გვიჩვენებს, აპტური კირქვების ზედა ნაწილში, თითქმის ყველგან, კარგად ჩანს მცირე სიმძლავრის მოვარდისფრო მერგელების დასტა, რომელშიც (ხილიკარის კლდეკარში და სოფ. ჩორჯოსთან) მ. ერისთავი კლანსეურ ფაუნას აღნიშნავს. ამიტომ ბუნებრივია, რაჭა-ლეჩხეულის სინკლინის ჩრდილო ფრთის აპტური კირქვების ზედა ნაწილში აღნიშნული მოვარდისფრო მერგელების დასტა ყველგან კლანსეურ ჰორიზონტს მივაკუთვნოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლანსეური ჰორიზონტის აპტური სართულისაღმი მიკუთვნება ბოლო დრომდე არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი. კლანსეური ჰორიზონტის სახელწოდება პირველად, *Diadochoceras nodosocostatum*-ის ზონის აღსანიშნავად, ბრეისტროფერმა შემოიღო. ეს ზონა 1907 წ. დააღინა ფაკობმა, რომელმაც მის დამახასიათებლად ქალაქ კლანსეურის ფაუნა მიიღო. კლანსეურის ფაუნა უფრო აღრე იყო ცნობილი და დ' ორბინის მიხედვით (1842) ალბურში იყო მოთავსებული. 1904-1907 წლებში ეს ფაუნა დეტალურად შეისწავლა ფაკობმა და დ' ორბინის კვალად ალბურად ჩათვალა. ოგმა (1907-1911) ეს ჰორიზონტი აპტს მიაკუთვნა, რაღდან მისი აზრით ეს ფაუნა ძალიან ჰგავს ზედა აპტის ფაუნას და მკაფიოდ განსხვავდება ზევით მდებარე შრეების, ე. ი. *Leymeriella tardefurcata* -ს ზონის ფაუნისაგან. უფრო გვან მ. ერისთავმა (1945) საქართველოს აპტის და ალბის ფაციისებისა და აგრეთვე, კლანსეური ფაუნის შესწავლის საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ კლანსეური ჰორიზონტი ზედა აპტს უნდა მიეკუთვნოს. 1947 წელს ბრეისტროფერმა დაამტკიცა, რომ პარიზის აუზში ალბურის სტრატოტიპი *Leymeriella tardefurcata* -ს ზონით იწყება, ხოლო კლანსეური აქ არ გვაქვს. მითითება იმაზე, რომ დ' ორბინის ალბური ფორმების სიაში კლანსეური *Ammomites* (*Diadochoceras*) *nodosocostatum* d'Orb. არის მოყვანილი, ბრეისტროფერს გაუგებრობად მიაჩნდა: დ' ორბინიმ ეს სახე სხვა გეოლოგების მასალიდან აღწერა, რომლებიც გადალექილი კლანსეური ფაუნის ზემცველ ნალექებს შეკვეთით ალბთან აიგივებდნენ. ამავე დროს კლანსეური ფაუნის ანალიზი დამაჯრებლად მიგვითითებს მის მჭიდრო კავშირზე გარგაზული ქვესართულის ფაუნასთან (ბრეისტროფერი, 1947; მ. ერისთავი, 1946, 1962).


ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ კლანსეური აპტს უნდა მიეკუთვნოს და ალბის დასაწყისად კი *Leymeriella tardefurcata*-ს ზონა უნდა იქნეს მიჩნეული.

ზემოთქმულის საფუძველზე საკვლევი ზოლის თხელზრებრივი მერგელოვანი კირქვების წყება (სიმძლავრე 15-50 მ) შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქვედა აპტი (ბელულური ქვესართული) ა) *Matheronites ridzewskyi*-ს და *Cochlidites securiformis*-ის ზონა.  
 ბ) *Deshayesites dechyi*-ს და *Deshayesites deshayesi*-ის ზონა.  
 შუა აპტი (გარგაზული ქვესართული) ა) *Cheloniceras subnodosocostatum*-ის ზონა.  
 ბ) *Cheloniceras tobleri*-ის ზონა

ზედა აპტი (კლანსეური ქვესართული)  
 მერგელოვანი კირქვების, მერგელებისა და რუხი  
 თიხების წყება (ალბური)

აპტურ კირქვებს საკვლევ ზოლში მოჰყვება მერგელებისა და თიხების წყება, რომელიც ლითოლოგიურად ქვედა ცარცის სხვა წყებებისაგან განსხვავდება და რელიფშიც მკაფიოდ გამოიჩინა. ეს წყება ფაუნით შედარებით ღარიბია და ძირითადად აუცელინებით და ბელემნიტებით ხასიათდება.



ტაბ. II

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ქვედაცარცული ნალექების სტრატიგრაფიული ჭრილების შედარებით ტაბულა. მასშტაბი 1:5000.

I ჭრილი ხიდიკარის კლდეებში, II ჭრილი მდ. რიცეულის ხეობაში, III ჭრილი სოფ. ჩორჯოს მიდამოებში, IV ჭრილი მდ. ასკისწყლის ხეობაში, V ჭრილი მდ. ლაგანურის ხეობაში.

1. თხებების, და შერგელების შორიგეობა, 2. თხელშრეებრივი კირქვები, 3. შრეებრივი კირქვები კაუის ლინზებით, 1. მასიური და ტლანქშრეებრივი კირქვები, 5. კირქვები თაბაშირის შეაშრებით, 6. ქვიშაქვების და თიხაფიქლების მორიგეობა, 7. პორფირიტული წყება, 8. გლაუკონიტიანი ქვიშაქვა, 9. კაუის ლინზები

მდ. რიონის ხეობაში, ხიდიკარის კლდეკარში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე აპტურ კირქვებს მოჰყვება (სურ. 2):

1. შრეებრივი მერგელოვანი კირქვები მერგელის შუშრეებით — 20-25 მ.

ამ დასტაში მ. ერისთავი აღნიშნავს: *Acanthoplites multispinatus* Anth. ოდნავ ხევით კი-Beudanticeras beudanti Brongn. და *Puzosia* sp.;

2. შრეებრივი მერგელოვანი კირქვები კაუის მცირე სიმძლავრის (5-10 სმ) ლინზებით. სიმძლავრე—15-20 მ. აქ ვიმოვნეთ: *Cleoniceras cleoni* d'Orb.;

3. ტრანსგრესიული ოლიგოცენი (მაიკობის წყება).

1 დასტაში აღნიშნული *Acanthoplites multispinatus* Anth. კლანსეურ ჰინობიზნებზე მიგვითითებს, ხოლო Beudanticeras beudanti Brongn.-ის შემცველ კირქვებს მ. ერისთავი *Leymeriella tardefurcata*-ს ზონის ექვივალენტად

თველის (1946). დასტა 2-ში აღნიშნული ფორმი უმტკესად შუა ალბში გვხვდება. ალბის ზედა ჰორიზონტები აქ გადარეცხილია.

უფრო დასავლეთით ალბური სართული მერგელებით და რუხი თიხებით არის წარმოდგენილი. მდ. რიცეულის ხეობაში კარგად ჩანს (სურ. 3):

1. აპტური მერგელოვანი კირქვები;
2. მერგელოვანი კარქვებისა და მერგელების მორიგეობა—10 მ. ზედა ნაწილში მ. ერის-თვის აღნიშნავს *Phylloceras velleae* Mich., *Neohibolites* sp.;

3. წინ წყების უსწორმასწორო ზედაპირზე კარგად ჩანს „კიბეები“, ამოვსებული მსხვილ-მარცვლოვანი ქვიშით, რომელშიც ლავური ქანის ნაგორები ქვებიც გვხვდება. შემდეგ გლაუკონიტანი ქვიშაქვა—2,5 მეტრი;

4. მერგელოვანი კირქვები კარგის კონკრეციებით და მცირე სიმძლავრის (10-15 მ) თიხის შეები—10-20 მეტრი.

დასტა 2-ს მ. ერისთავი (1946), ა. ცაგარელი (1954), ე. ვახანია (1956) ალბს იყუთვნებენ, ხოლო გლაუკონიტან ქვიშაქვებს კი (დასტა 3)—სენომანს.

უფრო დასავლეთით, სოფ. ჩორჭის მახლობლად, მდ. ჩორჭისღელეს ხევში, კარგად ჩანს რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ნალექები გადმობრუნებული სამხრეთისაკენ. აქ აპტურ მერგელოვან კირქვებს მოჰყვება:

1. მოვარდისფრო შერგელები — 4 მ. მათში მ. ერისთავი აღნიშნავს: *Acanthoplites abichi* Antsh.-b;

2. მოცისფრო მერგელებისა და რუხი თიხების მორიგეობა—25 მ.

ამ დასტას შუა ნაწილიდან მ. ერისთავი მიუთითებს: *Aucellina aptiensis* d'Orb. და *A. gryphaeoides* Sow.

3. გლაუკონიტანი ქვიშაქვა.

*Acanthoplites abichi* კლანსეური ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი ფორმაა, ხოლო დასტა 2-ში ნაპოვნი ფორმები შუა ალბზე მიგვითითებს. ე. ი. ამ დასტას ქვედა ნაწილი ქვედა ალბს უნდა მიეკუთვნოს.

მდ. ასკისწყლის ხეობაში, მის მარცხენა ფერდზე, კარგად ჩანს:

1. თხელშრებრივი მერგელოვანი კირქვები (აპტი);

2. შერგელებისა და რუხი თიხების მორიგეობა—40 მ;

3. გლაუკონიტანი ქვიშაქვა—2 მ.

2 დასტას დაახლოებით შუა ნაწილში ვიპოვნეთ: *Neohibolites spiniformis* Krimg., *N. cf. minimus* List., *N. cf. pinguis* Stoll., რომლებიც ამ დასტას ალბურიად ათარიღებს.

მდ. ასკისწყლის დასავლეთით, მდ. ლაგანურის ხეობამდე, ალბური თიხებისა და მერგელების მცირე გამოსავლები არის სოფ. გენდუშის მიღმამოებში და აგრეთვე სოფ. ლაილაშის ჩრდილოეთით. დანარჩენ უბნებზე ეს წყება ტრანსგრესიულად პალეოგენით ან მიოცენით არის გადაფარული.

მდ. ლაგანურის ხეობაში, მის მარჯვენა ნაპირზე, კარგად ჩანს მეორადი ნაწები უკერძნილი აპტური, ალბური და ზედაცარცული ნალექებით. აქ აპტურ მერგელოვან კირქვებს მოჰყვება:

1. მერგელებისა და რუხი თიხების მორიგეობა. სიმძლავრე, ტექტონიკური მიზეზების გამო, ნაოჭების სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა (30-70 მ).

ამ დასტას ქვედა ნაწილში ვიპოვნეთ: *Mesohibolites brevis* Schweg., *Neohibolites minor* Stoll., *Aucellina aptiensis* d'Orb., *A. caucasica* Buch., (აუცელინები განსაზღვრავ. კოტეტიშვილმა). უფრო ზემოთ კი—*Neohibolites stylionoides* Renng.

2. გლაუკონიტანი ქვიშაქვა—0,5 მ.

1 დასტას ქვედა ნაწილში ნაპოვნი ბელემნიტები ქვედა ალბზე მიგვითითებს, ხოლო *Neohibolites stylionoides*—საქართველოში შუა და ზედა ალბში გვხვდება.

უფრო დასავლეთით, მურის ღელეში (მდ. ცხენისწყლის მარცხენა შენაკადი), ა. ცაგარელი მდიდარ ვრაჟონულ ფაუნას ასახელებს (1951). აქ ა. ცაგარელი აღნიშნავს: *Ancellina aff. gryphaeoides* Sow., A. cf. parva Stol., A. aptiensis (d'Orb) Pom p., A. nassibiantzi Sok., *Neohibolites ultimus* d'Orb., *Pervinquieria* cf. *inflata* Sow., P. cf. *spinosa* (Perv.), *Pervinquieria* sp., *Hamites* sp.

ვრაჟონულის სისქე 4-5 მეტრს არ აღემატება.

მურის დასავლეთით, სოფ. ვესოსთან, ალბური წყება უნაბარხოა და ძირითადად მერგელებით არის წარმოდგენილი. მერგელებით და თხელშრეებრივი კირქვებით ალბი წარმოდგენილია აგრეთვე უფრო დასავლეთითაც, სოფ. ქულბაქამდე.

ამრიგად, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში კლანსეური პორიზონტის მოვარდისფრო კირქვებს თანხმობით აგრძელებს ალბური მერგელოვანი კირქვების, მერგელებისა და რუხი თიხების წყება, რომელიც ძირითადად ბელემნიტებითა და აუცელინებით არის დახასიათებული და მათ საფუძველზე ზოგან (ლაგანური, ასკისწყალი, ხიდიკარი) სამ ნაწილად იყოფა, ხოლო მურის ღელეში და სოფ. ჩორჯოსთან მის ზედა ნაწილში, ფაუნის საფუძველზე, ვრაკუნული გამოიყოფა.

#### ზედა ცარცი

რაჭისა და ლეჩხუმის ზედა ცარცს განიხილავენ ჸ. აბიხი, ე. ფავრი, ს. სიმონვიჩი, ა. სოროკინი, ლ. ბაცევიჩი, ე. ფურნიკ (იხ. შესავალი ნაწილი).

უფრო ვეიან ზედაცარცული ნალექები ზეისწავლეს ბ. მეფერტმა (1930, 1930 ა) და ა. ჯანელიძემ (1940).

ბ. მეფერტი თვლიდა, რომ რაჭისა და ლეჩხუმში სენომანური გლაუკონიტიანი ქვიშაქვები გადარეცხილია და ტრანსგრესიულად არის გადაფარული ზედაცარცული კირქვებით. გამოლითადა რა იქიდან, რომ „მთავრის“ წყება (რომელიც მისი აზრით აქ ზოგან არ არის) ტრანსგრესიულია (ჭუთაისი, ჭყვიში, შქმერი) ასკვნიდა, რომ ამ რაიონს ტრანსგრესიამ ზედა ტურონში მიაღწია. ამ მოვლენის სულ სხვაგვარი ინტეპრეტაცია წამოაყენა ა. ჯანელიძემ (1940). ა. ჯანელიძის აზრით რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრულ ფრთაში სენომანური გლაუკონიტიანი ქვიშაქვები რეგრესიულია, ხოლო ზედა ცარცის კირქვები, რომლებიც უშუალოდ ქვედა ტურონულით იწყება, ტრანსგრესიულად, თუმცა უხარვეზოდ არის მათზე განლაგებული. სენომანური რეგრესია გამოსატულია აგრეთვე სინკლინის ჩრდილო ფრთაში, მაგრამ გაცილებით უფრო სუსტად. აქ მერგელოვანი კირქვების წყებაში გლაუკონიტიანი ქვიშაქვის რამდენიმე შრეა, რაც ამ მიმართულებით ფაციესის ცვლას და ზღვის ოდნავ გათხელებას მოწმობს მხოლოდ.

ზედაცარცული ნალექები შემდგომ დეტალურად ზეისწავლა ა. ცაგარელმა (1946, 1951, 1954), რომლის ახალი მონაცემები საკეთო აღასტურებენ ა. ჯანელიძის კონცეპციას. რაჭისა და ლეჩხუმის ზედა ცარცს, მისი პალეოგენთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ი. კაჭარავაც (1944) იხილავ.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში ზედაცარცული ნალექები გაშიშვლებულია სოფ. საკოპალიანოდან მდ. ლაგანურამდე, სოფ. ლაილაშისა და თაბორის მიდამოებში, მდ. ასკისწყლის მარცხენა ფერდზე და ასევე, უწყვეტი ზოლის სახით სოფ. ხვანჭეარიდან სოფ. კვაცხუთამდე. დანარჩენ უბნებზე ეს ნალექები ტრანსგრესიული წყებებითაა გადაფარული.

ამ ზოლის ზედაცარცული ნალექები ნამარხებით ღარიბია, მაგრამ ზოგან მაინც შეიცავს სახელმძღვანელო ფორმებს, რაც მათი სტრატიგრაფიულ ერთეულებად დანაწილების საშუალებას იძლევა.

რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის დასავლურ ნაწილში მდინარე ცენტრული ზედა ცარცის სრულ ჭრილს აშენებს. აქ ცარცის შუა ნაწილის რბილი ქანები ცუდად არის გაშიშვლებული. ოლბური თიხები და მერგელები კარგად ჩანს მხოლოდ მურის ლელეში (ცენტრულის მარცხენა შენაკადი). მათში ა. ცაგარელი ვრაკონულ ფაუნას ასახელებს (*Aucellina aff. gryphaeoides* Sow., *A. cf. parva* Stol., *A. aptiensis* Pom p., *Neohibolites ultimus* d'Orb., *Pervinquieria cf. inflata* Sow., *P. cf. spinosa* Per v.).

ამ ფაუნის შემცველ თიხებს და მერგელებს თავზე ადევს ასეთივე 6-7 მ სიმძლავრის დასტა, რომლის ქვედა ნაწილში ა. ცაგარელმა იძოვნა: *Aucellina aff. gryphaeoides* Sow. და *A. krasnopoleskii* Pavl.

აქედან *A. krasnopoleskii* Pavl. ქვედა სენომანურის დამახასიათებლად ითვლება. ამ დასტას ზედა ნაწილში ზედა სენომანურიც უნდა ვიგულისხმოთ. მურის კლდეკარში აღნიშნულ დასტას მოჰყვება (სურ. 6.):

1. თეთრი ფერის თხელშრებრივი კირქვები—15 მ. დაქ. NW 330°, დაქ. კუთხე 70° (გადმობრუნებულია);

2. მოწითალო ფერის შრებრივი კირქვები—20 მ. მურის ლელეში თეთრ და წითელ კირქვებს შუა შეიმჩნევა მცირე სიმძლავრის (1,5-3 მ) მანდელშტაინური ტუფბრექჩიების შრე. ზედა ნაწილში ა. ცაგარელი აღნიშნავს კონიაკურ მოწითალო კირქვების *Inoceramus involutus* Sow. ქვედა ნაწილში კი—ზედატურონული 1. *schlönbachii* Böhml-s ტიპის ნიუარებს;

3. შრებრივი თეთრი ფერის პელიონორფული კირქვები, შერგელის შუაშრებით — 170 მ.


ეს წყება დაწვრილნაოჭებულია და ზოგადად დაჭანებულია ჩრდილოეთისაკენ (დაქ. კუთხე 60-70°).

მის ზედა ნაწილში ა. ცაგარელი აღნიშნავს *Inoceramus balticus* Böhml-s;

4. ტლანჯშრებრივი მუქი ნაცრისფერი წვრილყრისტალური კირქვები კაუს კონკრეციებით—100 მ.

ამ წყებიდან ი. კაჭარავა (1944) აღნიშნავს მასტრიხტულ *Belemnitella mucronata* Schi. წყების ზედა ნაწილში კი—*Echinocorys ovatus* Leske და *Pycnodonta vesicularis* Lam.-L.

5. მასიური კრისტალური კირქვები კაუს კონკრეციებით 120—130 მ.  
ზევით კირქვები პალეოგენური ფაუნით.



სურ. 6. ჭრილი მურის კლდეკარში

1. ალბ-სენომანური თიხები და მერგელები, 2. ტურონულ-კონიაკური კირქვები, 3. სანტონურ-კაბანური, 4. მასტრიხტული, 5. დანიური, 6. დანიურ-პალეოცენი, 7. ქვედა ოცენი, 8. შუა ეოცენი


ლეთით, სოფ. ორბელთან, მასტრიხტული სართული თეთრი ფერის შრებრივი კირქვებით არის წარმოდგენილი. მათში ი. კაჭარავა აღნიშნავს: *Conulus cf. subrotundus* Mant., და *Belemnitella mucronata* Schloth.-s.

ამრიგად, განხილულ ჭრილში სენომანურ თიხებს და მერგელებს მოჰყვება ტურონულ-კონიაკური (დასტები 1 და 2) და სანტონურ-კაბანური (დასტა 3). დასტა 4 ეკუთვნის მასტრიხტულს, ხოლო დასტა 5 მოქცეულია მასტრიხტსა და ბალეოცენს შუა და ამიტომ დანიურს უნდა მივაკუთვნოთ.

უფრო აღმოსავ-

მდ. ლაჯანურის მარჯვენა ფერდზე, ორბელის ციხესა და მდ. ლაჯანურის მარჯვენა შენაკად მუხაურისლელეს შუა, კარგად ჩანს (სურ. 7);

1. ალბ-სენომანური თიხები და მერგელები, გაშიშვლებული მუხაურის ლელეში—50 მ;
2. თეთრი ფერის თხელშრებრივი კირქვები—15 მ;
3. მოწითალო კირქვები კაფის ლინზებით—30 მ;
4. თეთრი ფერის პელიტომორფული კირქვები წითელი კაფის ლინზებით—70 მ;
5. თეთრი ფერის თხელშრებრივი კირქვები რუხი ფერის კაფის ლინზებით—100 მ. ამ დასტის ზედა ნაწილში ვიპოვნეთ *Belemnitella mucronata* Schloth.;
6. თხელშრებრივი ნაცრისფერი პელიტომორფული კირქვები—70 მ;
7. მოყავისფრო ტლანქშრებრივი კრისტალური კირქვები — 40 მ;
8. კირქვის ბრექჩია-კონგლომერატი—3 მ (ქვარგალების  $d=2.5$  სმ);
9. მოყავისფრო ტლანქშრებრივი კრისტალური კირქვები—50 მ.



სურ. 7. ჭრილი მდ. ლაჯანურის მარჯვენა ფერდზე.

1. ბარემული, 2. აპტური 3. თიხები და მერგელები-ალბ-სენომანური, 4. თხელშრებრივი კირქვები-ტურონულ-კონიკური, 5. თხელშრებრივი კირქვები წითელი კაფის კონკრეციებით-სანტონური, 6. თხელშრებრივი კირქვები რუხი კაფის კონკრეციებით-კამპანურ-მასტრინტული, 7. კრისტალური კირქვები-დანიური, 8. კონგლომერატი, 9. კრისტალური კირქვები—ბალეოცენი, 10. ქვიშანი კირქვები—შუა ეოცენი, 11. კრისტალური კირქვები—შუა ეოცენი, 12. მერგელები—ზედა ეოცენი, 13. ნაყარი.

დასტა 2 და 3 ძლიერ ჰეგვს მურის კლდეკარის ტურონულ-კონიაკურ კირქვებს და ისინი აქაც წეიძლება პირობითად ტურონულ-კონიაკურად დავათარილოთ. ასევე დასტა 4 შესაძლებელია სანტონურად მივიჩნიოთ. დასტა 5 ზედა ნაწილში წეიცავს მასტრინტულ *Belemnitella mucronata* Schloth.-ს, ამიტომ ამ დასტის ზედა ნაწილი შეიძლება მასტრინტულს მივაკუთვნოთ. მასტრინტულსავე, პირობითად, ვაკუთვნებთ დასტა 6-ს, რადგან ოდნავ დასავლეთით მსგავს კირქვებში ი. კაჭარავამ იძოვნა მასტრინტული ფორმები. მომდევ-ეო კრისტალური კირქვები (7 დასტა), რომლებიც თანხმობით მოჰყვება მასტრინტულ კირქვებს, დანიური უნდა იყოს. მას გადარეცხვის ნიშნით თავზე აღევს ასეთივე კირქვები, რომლებიც პალეოცენს უნდა მივაკუთვნოთ.


კიდევ უფრო აღმოსავლეთით, ზედა ცარცი შიშვლდება სოფ. ლაილაშთან. აქ სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაღალ ფერდზე, კარგად ჩანს რაჭალეხებუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა, გადმობრუნებული სამხრეთისაკენ. აქვე პატარა მშრალ ხევში შიშვლდება:

1. ალბური თიხები და მერგელები აუცელინებით. მათ შორის: *Aucellina aptiensis* d'Orb., *A. caucasica* Buch., *Aucellina* sp. (განსაზღვრა გ. კოტეტიშვილმა);
2. გლაუკონიტიანი ქვიშაქვა—1 მ;

3. მერგელების და თიხების მორიგეობა—3 მ. დაქ. NO 40°. დაქ. კუთხე 30°.
  4. მტრედისფერი შრებრივი კაჟიანი კირქვები—40 მ;
  5. თეთრი ფერის თხელშრებრივი კირქვები წითელი კაჟის კონკრეციებით—30 მ.
- ამის შემდეგ გაშიშვლებები არ ჩანს. ფერდის ძირში აქა იქ ჩანს ქვიშიანი კირქვები შუაეოცენური ნუმულიტებით და ტერებრატულებით.

ამრიგად, ამ ჭრილში ალბური წყების ზედა ნაწილში კარგად ჩანს გლაუკონიტიანი ქვიშაქვის შრე, რომელსაც თავზე ისევ მერგელოვანი დასტა აღევს, რის შემდეგ, ყოველგვარი უთანხმოების გარეშე, მოდის ტიპიური ტურონული კირქვები. ამიტომ დასტები 2 და 3 სტრატიგრაფიული მდებარეობით სენომანურს უნდა მივაკუთვნოთ. დასტები 4 და 5 ფაციალური მსგავსებით შეიძლება ტურონულ-კონიაკურ-სანტრონურად დავათარილოთ. ამ ჭრილში ცარცი სრული არ არის: მისი ზედა ნაწილი გადატეცხილია.

ზედა ცარცი გაშიშვლებულია აგრეთვე სოფ. თაბორთან. აქ, საწისქვილეოელის მარჯვენა ფერდზე, წისქვილებთან კარგად ჩანს (სურ. 8):



სურ. 8. ჭრილი მდ. საწისქვილეოელის გასწროვ

1. აპტური მერგელოვანი კირქვები,
2. თიხების და მერგელების მორიგეობა—ალბურ-ქვედა სენომანური,
3. თიხიანი მერგელების და გლაუკონიტიანი ქვიშაქვების მორიგეობა—ზედა სენომანური,
4. თხელშრებრივი თეთრი ფერის კირქვები შავი კაჟის ლინზებით—ტურონულ-კონიაკური,
5. ქვიშიანი კირქვები—შუა ეოცენი,
6. კრისტალური კირქვები—შუა ეოცენი

გორც ჩანს, კონიაკსაც უნდა შეიცავდეს შუა ეოცენით ითარება.

მდ. ასკისწყლის ხეობაში, სოფ. ტოლასთან, მეორადი ანტიკლინის სამხრულ ფრთაში კარგად ჩანს:

1. ჩრდილოეთისაკენ დაჭანებული ალბური თიხები და მერგელები (სიმძლავრე 50 მ) (იხ. სურ. 9);
2. გლაუკონიტიანი ქვიშაქვა—2 მ;
3. მერგელების და თიხების მორიგეობა—5 მ;
4. თხელშრებრივი კაჟიანი კირქვები—40—45 მ;
5. კრისტალური კირქვები—2 მ;
6. ქვიშიანი კირქვები შუა ეოცენური ნუმულიტებით და ტერებრატულებით.

1. რუხი თიხების და მერგელების მორიგეობა—80 მ. დაქ. N, დაქ. კუთხე 70°. მათში *Aucellina aptiensis* P o m p., *Inoceramus concentricus* Par k., *Ammonites* sp. (განსაზღვრა მ. ერ ისთავემა):

2. ასეთივე დასტა—2,5-3 მ. მასში ა. ცაგარელმ იაღვნა: *Aucellina* cf. *aptiensis* P o m p., *A. gryphaeoides* S o w., *A. parva* S t o l., *A. krasnopolskii* P a v l.;

3. თიხინი მერგელების და გლაუკონიტიანი ქვიშაქვების (1 მ) მორიგეობა—5-6 შ;

4. თხელშრებრივი თეთრი ფერის პელიტომორფული კირქვები შავი კაჟის ლინზებით 65-10 მ. ეს კირქვები კარგად არის გაშიშვლებული საწისქვილელის მარცხენა ნაბირზე. დაქ. NO 10°, დაქ. კუთხე—55°. მათში ა. ჯანელიძემ იაღვნა ზედატურონული *Inoceramus* cf. *cuvieri* S o w.;

5. მომწვანო ფერის ქვიშიანი კირქვები შუაეოცენური ნუმულიტებით და ტერებრატულებით.

დასტა 1 ნაპოვნი ფაუნის საფუძველზე ალბს უნდა მივაკუთხოთ. დასტა 2-ში ნანახი ფორმები მას ქვედასენომანურად ათარიღდებს. დასტა 3 სტრატიგრაფიული მდებარეობით შეიძლება ზედასენომანურად მიეიჩნიოთ, დასტა 4 ტურონულია და ზედა ნაწილში, რო-

ამრიგად, აქ თითქმის ისეთივე სურათია, როგორიც თაბორთან (საჭისჭვილელელში). დასტა 1, როვორც ჩანს, ალბურის და ქვედასენომანურს უპასუხებს, დასტები 2 და 3—ზედასენომანურს, 4 დასტა კი ტურონულ-კონიაკურად უნდა მივიჩნიოთ. მომდევნო კრისტალური კირქვები 5 და ქვიშიანი კირქვები 6 უკვე პალეოცენს ეკუთვნის.

აღმოსავლეთით, სოფ. ხვანჭეკარასთან, ზედა ცარცი მეორადად არის დანაოჭებული. აქ ალბ-სენომანური თიხებისა და მერგელების წყების წყების მოჰყვება თხელშრეებრივი კაუიანი კირქვების წყება, რომლის სიმძლავრე 200-220 მეტრს უდრის. ამ წყების ქვედა ნაწილში ვიძოვნეთ: *Inoceramus cf. anglicus* Sow. და *Chlamys* sp. აქ ზედა ცარცი

ტრანსგრესიული ოლიგოცენით იფარება. მაგრამ, როგორც ჩანს, მისი მხოლოდ ზედა ნაწილი უნდა იყოს გადარეცხილი (დანიური კრისტალური კირქვები).


ხვანჭეკარის აღმოსავლეთით ზედა ცარცი უწყვეტად ვრცელდება სოფ. კვაცუთამდე, სადაც ტრანსგრესიული ოლიგოცენის ქვეშ იფარება.

ამ ზოლში, სოფ. ჩორჯოსთან, ა. ცაგარელი აღნიშნავს ერაკონულ თიხებს და მერგელებს, რომელთაც გლაუკონიტიანი ქვიშაქვის შრე მოსდევს. ეს უკანასკნელი იფარება ტურონული თიხიანი მერგელებით და წრეებრივი კაუიანი კირქვებით, რომელთა ქვედა ნაწილში ა. ცაგარელმა იძოვნა ქვედატურონული *Inoceramus cf. hercynicus* Petr. გლაუკონიტიანი ქვიშაქვები სტრატიგრაფიული მდებარეობით აქაც სენომანურს უნდა მივაკუთვნოთ.

მეტად საყურადღებოა სოფ. ღვარის მიდამოები. აქ ღვიარისლელის მარცხენა ფერდზე, ღვარიდან სოფ. კლდისუბნისუკენ მიმავალი გზის პირას, კარგად ჩანს სამხრეთისაკენ გაღმობრუნებული რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ნალექები. უშუალოდ გზის პირას შიშვლდება ალბური თიხები და მერგელები. მის ქვეშ (სტრატიგრაფიულად კი ზევოთ) გამოდის 7,5-8 მ სიმძლავრის გლაუკონიტიანი ქვიშაქვები. მათში კარგად ჩანს ირიბი შრეებრივობა (სურ. 10). გლაუკონიტიანი ქვიშაქვები ზედა ნაწილში მსხვილმარცვლოვანი ხდება და მიკროკონგლომერატში გადადის.

გზის ქვემოთ შიშვლდება თხელშრეებრივი კირქვები, სადაც ვიძოვნეთ ქვედატურონული *Inoceramus cf. labiatus* Schloth.

ამრიგად, ამ ჭრილში კარგად ჩანს საკმაოდ მძლავრი (7-8 მ) გლაუკონიტიანი ქვიშაქვების დასტა, რომელიც სტრატიგრაფიული მდებარეობით და სხვა ჭრილებთან ანალოგით აქაც სენომანურს უნდა მიეკუთვნოს. ღვიარის ღე-




სურ. 2. ჭრილი სოფ. ტოლას ჩრდილოეთით

1. თიხები და მერგელები—ალბურ-ქვედა სენომანური;

2. გლაუკონიტიანი ქვიშაქვები, მერგელები და თიხები ზედა სენომანური, 3. თხელშრეებრივი კაუიანი კირქვები — ტურონულ-კონიაკური, 4. კრისტალური კირქვები — შუა ეოცენი, 5. ქვიშიანი კირქვები — შუა ეოცენი, 6. მაიკობის წყება, 7. მიოცენის ქვიშაქვები

ლის აღმოსავლეთით, მდ. რიცეულის ხეობაში, სამხრეთისკენ დაქანებულ აღ-  
ბურ მერგელოვან კირქვებს გადარეცხვის ნიშნით მოჰყვება გლაუკონიტიანი  
ქვიშაქვის შრე, მერგელოვანი კირქვები და თიხები კაუის კონკრეციებით. მათ-



სურ. 10. სქემატური ჭრილი სოფ. დევიარის გან მისყვება მცირე სიმძლავრის (2-7  
მახლობლად

1. აღბური თიხები და მერგელები, 2. სე- რომელიც ბევრ ჭრილში რამდენიმე  
ნომანური გლაუკონიტიანი ქვიშაქვები და შრითაა წარმოდგენილი და უმეტესად  
მიკროკონგლომერატები, 3. ტურონული ზევიდან ისევ მერგელებით და თიხებით  
თხელშრებრივი კირქვები

ში ე. ვახანიამ იპოვნა ქვედატურონუ-  
ლი *Inoceramus cf. laevius Schlo-  
th.* ამ დასტას თანდათან აგრძელებს  
180—200 მეტრის სიმძლავრის თხელ-  
შრებრივი კაუიანი კირქვების წყება,  
რომლის ზედა ნაწილში, ოდნავ აღმო-  
სავლეთით, ა. ცაგარელი აღნიშნავს  
მასტრიხტულ *Belemnita mucronata Schloth.*-ს.

ამრიგად, ზემოთ განხილული ჭრი-  
ლები გვიჩვენებს, რომ რაჭა-ლეჩხუმის  
სინკლინის ჩრდილო ფრთაში აღბური  
თიხებისა და მერგელების წყებას ყველ-

მ) გლაუკონიტიანი ქვიშაქვების დასტა,  
ნომანური გლაუკონიტიანი ქვიშაქვები და შრითაა წარმოდგენილი და უმეტესად  
მიკროკონგლომერატები, 3. ტურონული ზევიდან ისევ მერგელებით და თიხებით  
თხელშრებრივი კირქვები

იფარება. სოფ. თაბორთან და მურის

ლელეში, გლაუკონიტიანი ქვიშაქვების

ქვეშმდებარე დასტაში, კარგად გამოიყოფა ქვედასენომანურის აუცელინებია-  
ნი პირიზონტი და ამრიგად, ხარვეზის არასტებობის გამო, გლაუკონიტიანი  
ქვიშაქვების დასტა აქ ზედა სენომანურს უნდა მიგაკუთხენოთ. სხვა ჭრილებშიც,  
სტრატიგრაფიული მდებარეობით აღბურ თიხიან მერგელებს და ქვედატურო-  
ნულ კირქვებს შუა, მცირე სიმძლავრის თიხების, მერგელებისა და გლაუკო-  
ნიტიანი ქვიშაქვების დასტა სენომანურად უნდა მიგიჩნიოთ. ამასთანავე, ზო-  
გიერთ ჭრილში (ჩორჯო, მდ. რიცეულა) თიხიან-მერგელოვანი წყება ზედა  
ნაწილში ქვედატურონულ ფაუნას შეიცავს. მომდევნო ზრებრივი ზოგჯერ  
მოწითალო კაჟიანი კირქვების ქვედა ნაწილი ასევე ქვედატურონულს უნდა  
მივაკუთვნოთ (ლვიარა), ბოლო ზედა—ზედა ტურონს. ამ უკანასკნელის არსე-  
ბობა ფაუნისტურად სოფ. თაბორის და მურის ჭრილებში დასტურდება. კო-  
ნიაკურ, სანტონურ და კამპანურ სართულებს პირობითად ვაკუთვნებთ თხელ-  
შრებრივი კაჟიანი კირქვების წყებას (სიმძლავრე 150—200 მ), რომელიც მო-  
ქცეულია ტურონულ და მასტრიხტულ წყებებს შუა. მასტრიხტული კირ-  
ქვები ფაციესურად ყველგან ერთნაირად არ არის წარმოდგენილი. კერძოდ,  
მურის კლდეკარში მას მიეკუთვნება 100 მ სიმძლავრის ტლანქშრებრივი მუ-  
ქი ნაცრისფერი კირქვები, რომლებიც შეიცავს *Belemnita mucronata Schloth.*-ს და *Echinocorys ovatus Lescle.* უფრო აღმოსავლეთით კი, მასტ-  
რიხტული თეთრი ფერის თხელშრებრივი სანტონურ-კამპანურის მსგავსი  
კირქვებით არის წარმოდგენილი და იქაც შეიცავს *Belemnita mucronata*-ს.  
ზედა ცარცის სულ ზედა ნაწილი რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა-  
ში (მის დასავლურ ნაწილში) წარმოდგენილია ტლანქშრებრივი ზოგან მასი-  
ური კრისტალური კირქვებით, რომლებიც ფაუნას არ შეიცავს, მაგრამ სტრა-  
ტიგრაფიული მდებარეობით (მასტრიხტულსა და პალეოცენს შუა) დანიურად  
უნდა დათარიღდეს.

## პალეოგენური ნალექები

რაჭა-ლეჩხუმის პალეოგენური ნალექები შეისწავლეს: ჰ. აბიხმა, ე. ფავრმა, ს. სიმონოვიჩმა, ა. სოროკინმა, ლ. ბაცევიჩმა, ე. ფურნიემ, ბ. მეფერტმა, ა. ჭანელიძემ, ი. კაჭარავამ, ა. ლალიევმა (იხ. შესავალი ნაწილი).

ი. კაჭარავამ, ამ ნალექების დეტალური კვლევის საფუძველზე, შეადგინა ქვემო რაჭისა და ლეჩხუმის პალეოგენური ნალექების დეტალური სტრატიგრაფიული სქემა (1944).

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრულ ფრთაში, სარეწყელას კლდეკარში, ი. კაჭარავა (1962) პალეოგენის შემდეგ დასაყრდენ სტრატიგრაფიულ ერთეულებს გამოჰყოფს:

1. პალეოცენი — ა) პელეციპოდებიანი კირქვები,  
ბ) მიკროფორმამინიფერებიანი კირქვები,  
გ) მუნჯი ტლანჯურებრივი კრისტალური კირქვები,  
დ) უქანონერობისებიანი კირქვები. საერთო სიმძლავრე 60-70 მ;
2. ჭველა ეოცენი — არშალებიანი კირქვები. სიმძლავრე—5 მ;
3. შუა ეოცენი (ლუტეციური) —  
ა) ნუმულიტებიანი და დისკოციკლინებიანი კირქვები,  
ბ) კირქვები ზღვის ზღარბებით და ტერებრატულებით. სიმძლავრე—20-25 მ;
4. ზედა ეოცენი — ა) ლიროლებისიანი ჰორიზონტი—40 მ,  
ბ) ფორამინიფერებიანი მერგელები—10 მ,  
გ) ქვიშიანი კირქვები (აღვის წყება)—20 მ;
5. ოლიგოცენი—ზედა თევზიანი ჰორიზონტი—100 მ.

ნალექების ასეთივე თანამიმდევრობა შეიმჩნევა რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში—მურის კლდეკარში (ნახ. 6), იმ განსხვავებით, რომ აქ არ ჩანს სარეწყელას პელეციპოდებიანი კირქვები და დანიურ კრისტალურ კირქვებს უშუალოდ მიკროფორმამინიფერებიანი კირქვები მოჰყვება, რომელთაც აქ კრისტალური კირქვების (სიმძლავრე 70 მ) ზედა ნაწილი უჭირავს. ი. კაჭარავა აღნიშნავს, რომ პელეციპოდებიანი კირქვები აქ, როგორც ჩანს, ფაციალურად არის შეცვლილი. მურის ჭრილში ძლიერ არის ზემცირებული არშიაცინი კირქვების სიმძლავრე (70 სმ. ნაცვლად 5 მეტრისა). შუაეოცენური კირქვების სიმძლავრე 10-12 მეტრს არ აღემატება და აქ მასზე უშუალოდ მაიკობური თიხები არის განლაგებული.

მურის აღმოსავლეთით ორბელის გადასავალისკენ მიმავალი სამანქანო გზა არამდენჯერმე ჰქვეთს პალეოგენურ ნალექებს. დასაწყისში კარგად ჩანს მიკროფორმამინიფერებიანი კირქვები, რომლებიც სამხრეთისკენ არის გაღმობრუნებული (დაქ. N, დაქ. კუთხე 45°).

სოფ. ჩხერიელთან, გზის პირას, ი. კაჭარავა (1944) ზოგადად აღწერს შემდეგ ჭრილს:

1. პალეოცენური კირქვები;
2. რბილი ზოგან მომწვანო მერგელები—7 მ;
3. ქვიშიანი მუქი ნაცრისფერი თიხები თევზის ქერცლებით.

ითვალისწინებს რა უფრო აღმოსავლეთით ფაუნისტურად დადასტურებული აღვის წყების და აგრეთვე აღვის წყებაში უნამარხო მერგელების შუაშრების არსებობას, ი. კაჭარავა ამ ჭრილში უნამარხო მერგელების დასტა 2-ს აღვის წყების ფაციალურ სახესხვაობად მიიჩნევს. ამრიგად, ამ ჭრილში პალეოცენის კირქვებს უშუალოდ ეხება ზედა ეოცენის ზედა ნაწილი. როგორც ნაშრომის შემდეგ ნაწილში დავინახავთ, ეს მოვლენა სტრატიგრაფიული ხარვეზის არსებობაზე არ მიუთითებს და ვერტიკალური ნასხლეტით არის გამოწვეული.

3. ე. გამურელიძე

უფრო აღმოსავლეთით თევზიანი მერგელების თავშე კარგად გამოიყოფა რამდენიმე მეტრი სიმძლავრის მერგელებისა და მოყვითალო ქვიშაქვების დასტა, რომელშიც ა. კაჭარავა საკმაოდ მდიდარ, აღვის წყებისთვის დამახასიათებელ ფაუნას აღნიშნავს. აღვის წყებას აქ უშუალოდ მაიკოპის ტიპის თიხები მოჰკვება, სადაც (მერგელის შუაშრიცან) ე. ვახანია აღნიშნავს: *Abra cf. bosqueti* Sem., *Leda chadumica* Korobk., *Linopsis* sp., *Phacoides cf. bat-pachinicus* Korobk. და სხვ., რომლებიც აქ ხადუმის ჰორიზონტის არსებობაზე მიგვითითებს.

სოფ. ორბელის მიდამოებში, ორბელის ციხის ჩრდილოეთით, მთავარი სამანქანო გზიდან მუხაურის ღელეში (მდ. ლაგანურის მარჯვენა შენაკადი) მიმავალი საურმე გზის გასწვრივ შემდეგი ჭრილი შემჩნევა (სურ. 7):

1. თეთრი ფერის თხელშრეებრივი ბელიტომორფული კირქვები რუხი ფერის კაუს ლინზებით — 100 მ. ამ დასტის ზედა ნაწილში ვიძოვნეთ: *Belemnitella mucronata* Schloth.;

2. ასეთივე კირქვები — 70 მ;
3. მოყავისფრო ტლანქშრეებრივი კრისტალური კირქვები — 40 მ;
4. კირქვის ბრექჩია-კონგლომერატი — 3 მ (ქვარგვალების  $d=2-5$  სმ);
5. მოყავისფრო ტლანქშრეებრივი კრისტალური კირქვები — 50 მ;

6. ქვიშიანი კირქვა — 5 მ. აქ ნაპოვნია: *Nummulites irregularis* Desh., *-Discocyclina* sp. (6. სალუქვაძის განსაზღვრა) აგრეთვე *Terebratula hilarionis* Menegh., *T. hilarionis* Menegh. var. *carneariformis* Popov., *T. hilarionis* Menegh. var. *gibba* Popov.;

7. მოყავისფრო ტლანქშრეებრივი კრისტალური კირქვები (ისეთივე როგორც 3 და 5 დასტის) — 20 მ;

8. ქვიშიანი კირქვა. ხილული სიმძლავრე — 7-8 მ. აქ ნაპოვნია: *Nummulites atacicus* Lem., *N. irregularis* Desh., *N. cf. murchisoni* Brun., *Discocyclina* sp., *Asterodiscus* sp. (6. სალუქვაძის განსაზღვრა) და ტერებრატულები;

9. ნაყარი — 25 მ;
10. მომწვანო ქვიშიანი კირქვები შუაეოცენური ტერებრატულებით — 8-9 მ;
11. თევზიანი მერგელები (მეორადი დანაოცებული). შემდეგ გამოვლივართ მთავარ გზაზე. ამ გზიდან ქვემოთ, სოფ. ორბელში, კარგად ჩანს მეორადად დანაოცებული მერგელები და მათთან ერთად:
12. თხელშრეებრივი მუქი ნაცრისფერი ქვიშიანი კირქვები — 20-25 მ. უფრო ქვემოთ (დასავლეთით), ცარცითა და პალეოგენით აგებული მაღალი კარნიზის ძირში, უწყლო ხევი მოვსებულია კირქვის ლოდნარით და გაშიშვლებები არ არის. მაგრამ ოდნავ დასავლეთით კარგად ჩანს.
13. მოყავისფრო-ნაცრისფერი თევზიანი თიხების გამოსავალი.

დასტა 1 (მისი ზედა ნაწილი) ფაუნის საფუძველზე შეიძლება მაასტრიხტულს მიეკუთვნოს. მაასტრიხტულს პირობითად უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ასეთივე კირქვების დასტა 2. მომდევნო კრისტალური კირქვები, დასტა 3, ძლიერ ჰევას მურის კლდეკარის დანიურ კირქვებს და შესაძლებელია დანიურად მივიჩნიოთ. ამ დასტას კონგლომერატით უფრო შემდეგი ასეთივე კრისტალური კირქვები (სიმძლავრე — 50 მ), რომლებიც, თავის მხრივ, შუაეოცენური ასაკის ქვიშიანი კირქვებით (დასტა 6) ითარება. ამიტომ შესაძლებელია დავუშვათ, რომ მურის კლდეკარის მიკროფორამინიფერებიანი და არშიაციანი კირქვები აქეთ (ორბელისკენ), ფაციალურად კრისტალურ კირქვებში გადაღის და ამრიგად დასტა 5 პალეოცენ-ქვედა ეოცენს უნდა მივაკუთვნოთ. აქ ეს წყება დანიურ კირქვებზე ტრანსგრესიულად არის განლაგებული.

შუა ეოცენი მოიცავს 6, 7, 8, 9, 10 დასტებს და მისი სიმძლავრე ამ ჭრილში 50-60 მეტრს აღწევს. აღსანიშნავია, რომ სარეწკელის და მურის ჭრილების-

გან განსხვავებით, შუა ეოცენში გვაქვს საკმაოდ სქელი (20 მ) კრისტალური კირქვები.

დასტა 12 მართალია ნამარხებს არ შეიცავს, მაგრამ ფაციალურად ძალიან ჰვავს ამ ზოლის აღვის წყების ნალექებს, ამასთან ერთად მოქცეულია თევზიან მერგელებსა და თევზიან თიხებს (ოლიგოცენი) შუა და ამრიგად, სტრატიგრაფიული მდებარეობითაც აღვის წყების უპასუხებს.

მეტად საინტერესო სურათი ჩანს მდ.ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ორბელთან. აქ ლაჯანურის მეორადი ანტიკლინის თალურ ნაწილში და მის სამხრულ ფრთაში ზედაცარცულ კირქვებს, რომელთა ზედა ნაწილი (მაასტრინიტული და დანიური) გაღარეცხილია, უშუალოდ იღევს მწვანე ძლიერ კარბონატული ქვიშაქვებისა და ქვიშიანი კირქვების წყება, რომელიც მეტად საყურადღებო მყროფაუნას შეიცავს. ეს მიკროფაუნა განსაზღვრა მ. კაჭარავაშ. სოფ. ორბელში, ზედაცარცული კირქვების კარნიზებიდან დაახლოებით 20-25 მეტრში, ამ ნალექებში აღმოჩნდა: *Gaudryina dalmatica* Lieb., *Eponides triumphi* Nutt., *Globigerinella* cf. *mica* Coll., *G. bulloides* d'Orb., *G. eocaena* Gumbel., *Globigerinoides conglobatus* H. B. Brady, *Acarinina pentamerata* Subb. var. *interposita* Subb., *A. crassaformis* Subb., *Anomalina mantaensis* G. et. M. ჩამოთვლილი ფორამინიფერები შუა ეოცენის ზედა—*Acarinina crassaformis*-ის ზონაზე მიგვითითებს. ამრიგად, ამ ნალექების შუაეოცენური ასაკი ეჭვს არ იწვევს და, მაშიაძამე, ამ ჭრილში შუა ეოცენი ტრანსგრესიულად არის განლაგებული ზედა ცარცუზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული უფრო ჩრდილოეთით, ლაჯანურის სინკლინის გულში ტრანსგრესიულად პალეოცენია განლაგებული (სურ. 7). მდ. ლაჯანურის აღმოსავლეთით პალეოცენური ნალექები საკმაო მანძილზე ტრანსგრესიული წყებების ქვეშ იფარება.

პალეოგენი ისევ ჩნდება სოფ. ლაილაშის აღმოსავლეთით. ის კარგად არის გაშიშვლებული სოფ. თაბორთან. აქ საწისქვილელელის მარცხენა ნაპირზე კარგად ჩანს (სურ. 8):


1. თხელშრებრივი თერტიული ფერის პელიტომორფული კირქვები შავი კაჟის ლინზებით, მათში ა. განელიძე აღნიშნავს ტურონულ *Inoceramus* cf. *cuvieri* Sow. (განსაზღვრა ა. ცაგარელმა) 65-70 მ. დაქ. NO 10<sup>o</sup>, დაქ. კუთხე 55<sup>o</sup> (გადმობრუნებულია);
2. თიხის 5 სმ-ის სიმძლავრის შრე კირქვის წვრილი ქვარგვალებით;
3. მომწვანო ფერის ქვიშიანი კირქვები—20 მ. ამ დასტის ფუძეში ვაბოვნეთ: *Nummulites irregularis* Desh; *Discocyclina* sp. (განსაზღვრა სალუქვაძემ), ასევე *Terebratula hilarionis* Menegh. var. *fallax* Popch. *T. hilarionis* Menegh. var. *carneaeformis* Popch;
4. მცერივი მოყვისფრო კრისტალური კირქვები—2 მ;
5. ქვიშიანი კირქვები თიხიანი ქვიშაქვის შუაშრებით.

მასში ბევრია ნუმულიტები და ტერებრატულები. სიმძლავრე—10 მ.

ამრიგად, როგორც ჭრილიდან ჩანს, აქ ლაჯანურის ანტიკლინის ჭრილის მსგავსად ტურონული (კონიაკური?) კირქვები ტრანსგრესიულად იფარება შუაეოცენური ქვიშიანი კირქვებით. შუა ეოცენში გამოიყოფა კრისტალური კირქვების დასტი, მაგრამ აქ მისი სიმძლავრე ძლიერ არის შემცირებული.

უფრო აღმოსავლეთით შუაეოცენური ნალექების მცირე გამოსავალი შემჩნევა სოფ. ზედა უონსის ჩრდილოეთით, სადაც შუა ეოცენი უშუალოდ აღ-

ბურ თიხებზე და შერგელებზე არის განლაგებული და, თავის მხრივ, ტრანსგრე-  
ნიული თევზიანი თიხებით იფარება. შუა ეოცენი აქ წარმოდგენილია სურ. 5-6  
3 სიმძლავრის მომწვანო ქვიშიანი კირქვებით, რომლებშიც ბევრია ნუმულიტე-  
ბი და ტერებრატულები. კიდევ უფრო აღმოსავლეთით, სოფ. ტოლაძე, პალე-  
ოგენი მხოლოდ ოლიგოცენით არის წარმოდგენილი, რომელიც ტრანსგრესიუ-



რაზ. III

რაჭა-ლეჩხემის სინკლინის ჩრდილო ფრთის ზედაცარცული და პალეოგენური  
ნალექების სტრატიგრაფიული კრიოლების შედარებითი ტაბულა. მასშტაბი 1:5000.

I ჭრილი მურის კლდეებრში, II ჭრილი მდ. ლაგანურის მარჯვენა ფერდზე ორ-  
ბელის ციხესა და მუხაურის ლელეს შუა, III ჭრილი სოფ. თაბორთან, IV ჭრი-  
ლი სოფ. ტოლასთან, V ჭრილი მდ. რიცეულის ხეობაში.

1. ქვიშაქვები, 2. თიხები, 3. თხელშრეებრივი კირქვები, 4. მერგელები, 5. კრის-  
ტალური კირქვები, 6. თიხების და მერგელების მორიგეობა, 7. ქვიშიანი კირქვე-  
ბი, 8. გლაუკონიტიამი ქვიშიქვა, 9. კაჟის ლინზები.

ლადაა განლაგებული ქვედაცარცულ ნალექებზე. სოფ. ტოლასთან, მდ. ასკის-  
წყლის მარცხენა ფერდზე, კარგად ჩანს სამხრეთისკენ გადმობრუნებული ცარ-  
ცული და პალეოგენური ნალექები, რომლებიც აქ საკმაოდ მაღალ კანიზს  
ჰქმნიან (ნახ. 9), აქ შიშვლდება:

1. თხელშრეებრივი კაჟიანი კირქვები—40-45 მ;
2. კრისტალური კირქვები—2,5-3მ;

3. მომწვანო ქვიშიანი კირქვები—7-8 მ. აქ ნაპონია: *Nummulites atacicus* Ley m.  
N. cf. irregularis Desh., N. cf. nitidus de la Harpe, N. murchisoni Brun. (6. სა-  
ლუქვაძის განსაზღვრა) და ტერებრატულები: *Terebratula hilarionis* Menegh., *T. hilario-  
nis* Menegh. var. gibba Popch., *T. hilarionis* Menegh. var. carneiformis Popch.

- ოღნავ დასავლეთით, მდ. ასკისწყლის მარცხენა ნაპირზე, ამ დასტას მოჰყება:
4. რუხი ფერის შესვილმარცვლოვანი ქვიშაქვები კუის ქვარგალებით (0,5-2 სმ).
  5. თევზიანი თიხები.

როგორც ვხედავთ, ამ ჭრილში თხელშრეებრივ კაუიან კირქვებს, რომლებიც ტურონული ასაკისაა, უშუალოდ მოჰყება რამდენიმე მეტრი სიმძლავრის კრისტალური კირქვები, რომელთაც თავზე შუაეოცენური ქვიშიანი კირქვები ადევს. როგორც სხვა ჭრილებში დავინახეთ, კრისტალური კირქვები გვხედება როგორც პალეოცენ-ქვედა ეოცენში ისე შუა ეოცენში. ვინაიდან ორბელის აღმოსავლეთით ტრანსგრესიულად ყველგან შუა ეოცენი არის განლაგებული, ბუნებრივია მცირე სამძლავრის კრისტალური კირქვები აქ შუა ეოცენს მივაუთვნოთ და ამ უკანასკნელის ტრანსგრესიული განლაგება დავუშვათ. მეორე ხარვეზი შეიმჩნევა თევზიანი თიხების (ოლიგოცენის) ქვეშ, სადაც არ ჩანს თევზიანი მერგელები და აღვის წყება. ოლიგოცენის ძირში კარგად გამოიყოფა მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების დასტა, რომელიც მის ფუძის წარმონაქმნად უნდა მიგიჩნიოთ.

ეოცენური და ოლიგოცენური ნალექები აქედან უწყვეტად გრძელდება აღმოსავლეთით, სადაც, სოფ. მეორე ტოლასთან, ასკისწყლის კიდური ნაოჭის (სინკლინის) გულს აგებს.

კიდევ უფრო აღმოსავლეთით ოლიგოცენური ნალექები უშუალოდ ბაიოსის პორფირიტულ წყებაზეა განლაგებული.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის აღმოსავლურ ნაწილში (ხვან-ჭყარა-მუხლის ზოლში) პალეოგენი მხოლოდ ოლიგოცენური თიხებით არის წარმოდგენილი, რომელიც ტრანსგრესიულად ფარავს ცარცის სხვადასხვა პორიზონტებს. აქ მაიკოპის წყება, რომელიც ზედა ნაწილში, როგორც ჩანს, ქვედა მილცენაც შეიცავს (ა. ლალიევი, 1959), მეტად მძლავრია (250-300 მ). სოფ. შუხლთან ამ წყების ძირში კვარციანი ქვიშაქვების დასტა გამოიყოფა.

ამრიგად, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში შეიძლება გამოვყოთ (იხ. ტაბულა III):

1. პალეოცენ-ქვედა ეოცენი—მიკროფორმამინიცერებიანი და მუნჯი კრისტალური კირქვები;
2. შუა ეოცენი—ნემულიტებიანი და ტრეჩიტულებიანი ქვიშიანი კირქვები, კრისტალური კირქვების შუაშრებთ (დასტებით);

3. ზედა ეოცენი {  
ა — თევზიანი მერგელები  
ბ — აღვის წყება}

4. ოლიგოცენი — თევზიანი თიხები (მაიკოპის წყება).

ამასთან, როგორც ზემოთ განხილული ჭრილებიდან ჩანს (ტაბ. III), რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის დასავლურ ნაწილში (სოფ. ორბელის მიღამოები) კარგად არის გამოხატული პალეოცენური ტრანსგრესია, რომელიც განვითარების მაქსიმუმს შუა ეოცენში აღწევს. მეტად მკაფიოა აგრეთვე ოლიგოცენური ტრანსგრესია.

## ნეოგენური ნალექები

### მიოცენი

რაჭა-ლეჩხუმის მიოცენურ ნალექებს, ჰ. აბიხის შემდეგ, ამ რეგიონის ყველა მკვლევარი აღნიშნავს.

1926 წ. რაჭაში ა. ჯანელიძემ აღნიშნა სპანიოდონტელებიანი შრეები. 1928 წ. ი. კაჭარავა იკვლევს ამბროლაურის მიღამოების მესამეულ ნალექებს. ავტორი აღწერს მაიკოპურ, ჩოკრაკულ, კარაგანულ და სარმატულ ნალექებს.

ჩიკჩაქული ჰორიზონტის არსებობას ის პირველად ასაბუთებს პალეონტოლოგიურად. ბ. მეფერტი (1930) დეტალურად ეხება რაჭა-ლეჩებუმის მიოცენურ ნალექებს, ადასტურებს ჩიკჩაქული, კარაგანული და სარმატული ნალექების არსებობას, გამოჰყოფს ფოლასებიან ზრებს და ყურადღებას ქცევს ამ წარმონაქმნების ფაციალურ ცვლას ჰორიზონტული მიმართულებით.

1930—1933 წლებში ა. ჯანელიძე (1940) უარყოფს უსახელოს ქვიშაქვების შუალოგოცენურ ასაქს (მ. მეფერტი, 1930 წ.), და ახლი პალეონტოლოგიური მასალის საფუძველზე მას ჩიკჩაქულად ათარიღებს. ამავე დროს ა. ჯანელიძე არ გამორიცხავს, ლეჩებუმის ზოგ უბანში, ჩიკჩაქულის ქვეშ მიოცენის უფრო ძველი ჰორიზონტების არსებობას.

ე. ვახანია (1948, 1955, 1957) რაჭისა და ლეჩებუმის მიოცენური ნალექები-სათვის იძლევა ახალ სტრატიგრაფიულ სქემას. იგი ტიპიურ მაკობის თიხებსა და ჩიკჩაქულ ნალექებს შუა გამოჰყოფს საყარაულოს, კოწახურისა და თარხნულ ჰორიზონტებს. რაჭიში, ხენებული ავტორი, საყარაულოსა და კოწახურის ანალოგებს გულისხმობს ფაუნისტურად დადგენილი თარხნული შრეების ქვეშ, მაკობის წყების ზედა ნაწილში.

რაჭა-ლეჩებუმის მიოცენურ ნალექებს, უფრო ძველ წარმონაქმნებთან ერთად, იკვლევენ ვ. ედილაშვილი და რ. ლექვენაძე (1950—1955 წწ.), რომლებიც აზუსტებენ ამ ნალექების სტრატიგრაფიის ზოგიერთ საკითხს.

1959 წ. ა. ლალიევს თავის შრომაში მოყავს მიოცენური ნალექების რამდენიმე დეტალური ჭრილი, სადაც დაზუსტებულია ამ ნალექების სიმძლავრეები და შეგროვილია ახალი მოლუსური ფაუნა. მკვლევარს რაჭა-ლეჩებუმის აუზი-სათვის შედგენილი აქვს ოლიგოცენური და ქვედამიოცენური დროის პალეოგეოგრაფიული რუკები.

1957-1961 წლებში ლეჩებუმისა და რაჭის მიოცენური ნალექები დეტალურად შეისწავლა გ. ანანიაშვილმა (1962), რომლის უახლეს მონაცემებსა, ძირითადად, და საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით ვიძლევით ამ ნალექების მოკლე დახასიათებას.

მიოცენური ნალექები რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში თითქმის ყველგან თიხიან-ქვიშიანი ფაციესით არის წარმოდგენილი. ლეჩებუმში მიოცენი სრულად არის წარმოდგენილი მდ. ცხენისწყალსა და ლაგანურს შუა. ამ მდინარეთა წყალგამყოფის გასწვრივ გ. ანანიაშვილი ზოგადად შემდეგ ჭრილს აღწერს:

1. ტიპიური მაკობური წყება — 100 მ;
2. კარბონატული შავი ქვიშიანი თიხები — 5 მ. აქ ნაპოვნია: *Pectunculus cf. deshayesi* Mayer, *Pectunculus* sp., *Nucula burdigalica* Coss. et Peyr., *Area cf. turonica* Duj., *Cardium multicostatum* Broc. c., *Leda fragilis* Chemn.;
3. ქვიშაქვების თიხიანი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა — 120 მ. დაქ. NO 20°, დაქ. კუთხე 45-50° (გადმობრუნებულია);
4. სხელშრებრივი თითქმის მასიური ქვიშაქვებისა და ქვიშიანი თიხების მორიგეობა — 70-80 მ. დაქ. N, დაქ. კუთხე 60°;
5. თხელშრებრივი კარბონატული ქვიშაქვებისა და ქვიშიანი თიხების მორიგეობა — 22 მ. დაქ. N, დაქ. კუთხე 60°, აქ შეგროვილია: *Nucula nucleus* L., *Leda subfragilis* M. Högn., *Lima skeliensis* Merkli, *Natica* sp. და სხვ.;
6. თხელშრებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა — 24 მ;
7. მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები, რომლებიც ზევით მიკროკონგლომერატში და შემდგა კონგლომერატში გადადინა — 2 მ.

ეს ჭრილი ოღწერილი აქვს აგრეთვე ე. ვახანიას (1955) და ა. ლალიევს (1959). დასტა 1-ის ფუძეში ვ. ვახანია აღნიშნავს ხადუმის ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ ფაუნას (იხ. ზემოთ). ამრიგად, დასტა 1-ის მაიკოპური თიხები ამ ჭრილში მთელ ოლიგოცენს უნდა მოიცავდეს. დასტა 2 შეიცავს საყარაულოს ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ ფაუნას. გ. ანანიაშვილი საყარაულოს პირობითად მიაკუთვნებს დასტა 3-საც. დასტა 4, ხარვეზის არ არსებობს გამო, ასევე პირობითად კოწახურს მიეკუთვნება. დასტა 5, ფაუნის საფუძველზე, შესაძლებელია თარხნულად მივიჩნიოთ, ხოლო დასტა 6 და 7, სტრატიგრაფიული მდებარეობით, უთუოდ ჩიკრაკი უნდა იყოს.

მიოცენის უფრო ზედა ჰორიზონტები კარგად არის გაშიშვლებული ოდნავ დასავლეთით, ჩხუტელისფერობის გასწვრივ. აქ გ. ანანიაშვილი აღნიშნავს:

1. კარბონატული თხელშრებრივი ქვიშაქვების, ქვიშიანი თიხებისა და კონგლომერატების მორიგეობა—230-250 მ. დაქ. NO 10°, დაქ. კუთხე 45° (გაღმობრუნებულია);

აქ ნაპონია: *Meretrix rudis Poli* var. *taurica* *Zhizh.*, *Leda fragilis Chemn.*, *Bittium digitatum Zhizh.*, *Nassa cf. inornata Zhizh.*, *Donax tarchanensis (Andrus)* *Bajari*.

2. თხელი და სქელშრებრივი ქვიშაქვების, მიკროკონგლომერატების და კონგლომერატების მორიგეობა—100 მ. აქ შეგროვილია ღიღი რაოდენობით *Spaniodontella pulchella Baily*;

3. სქელშრებრივი ქვიშაქვების და თიხიანი ქვიშაქვების მორიგეობა. აქაც — *Spaniodontella pulchella Baily*—62 მ;

4. მომზანონაცრისფერი წერტილმარცვლოვანი სქელშრებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა—130-150 მ. მიმართ. OW. დაქ. კუთხე, 90°

აქ ნაპონია: *Barnea bulgarica Toula*, *Ervilia dissita Eichw.*, *Barnea ustjurtensis Sinz.*, *B. cubanica Zhizh.*, *Corbula sp.*;

5. მუქი ნაცრისფერი თიხების და თხელშრებრივი ქვიშაქვების მორიგეობა. თიხებში — *Ervilia dissita Eichw.* var. *andrussovi Koles.*, *Tapes naviculatus R. Hoegn.* მიმართ. OW, დაქ. კუთხე 90°. სიმძლავრე 10 მ:

შემდეგ გაშიშვლებები არ ჩანს.

დასტა 1 სტრატიგრაფიული მდებარეობით და ფაუნის საფუძველზე ჩიკრაკს მიეკუთვნება.

დასტა 2 და 3 კარაგანულია, 4 კონკურად თარიღდება, ხოლო დასტა 5 ფაუნის მიხედვით აშკარად სარჩმატულია.

ზემოთ ოღწერილი ნალექები დასავლეთით სოფ. საკოპალიანომდე გრძელდება. უფრო დასავლეთით კი, სოფ. ქულბაქის მიღამოებში, ჩიკრაკული ნალექების ქვეშ მაიკოპის წყება არ ჩანს და ცარცის სხვადასხვა ჰორიზონტებზეა განლაგებული. ჩხუტელის აღმოსავლეთით სოფ. ორბელიამდე მიოცენური ნალექები სრულად არის წარმოდგენილი. სოფ. ორბელთან, მდ. ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე, შუალედურ ქვიშიან კირქვების მოჰყვება მცირე სიმძლავრის (30-40 მეტრი) მაიკოპური თიხები, რომლებიც უშუალოდ ჩიკრაკული-კარბონატული თხელშრებრივი ქვიშაქვებით ითარება. უფრო აღმოსავლეთით, ჩიკრაკულ ქვიშაქვებსა და ცარცის შუა არ ჩანს მაიკოპის წყება, თუმცა მათ უუა აქ რჩება ვიწრო ზოლი, რომელიც ცარცული კირქვების ნაყარით არის დაფარული და ამიტომ შესაძლებელია მცირე სიმძლავრის მაიკოპის წყების არსებობა კიდევაც დავუშვათ. სოფ. თაბორთან, მდ. საწისქვილელელეს მარცხენა ნა-

პირზე, ჩოკრაკული თხელშრეებრივი თიხიანი ქვიშაქვები უწყალოდ ეოცენურ ნალექებზე არის განლაგებული.

სოფ. თაბორის აღმოსავლეთით ჩოკრაკული ქვიშაქვები ქვედა ცარცის სხვადასხვა ჰორიზონტებს ეხება.

სოფ. გენდუშის დასავლეთით, გველისთავის მიდამოებში, გ. ანანიაშვილი აღნიშნავს 150-160 მეტრი სიმძლავრის თხელშრეებრივი მოყვითალო-მოყავისურო კარბონატული კირქვებისა და ქვიშიანი თიხების წყებას, რომელიც ჩოკრაკულ ფაუნას შეიცავს. მას მოპყვება 80-100 მეტრის სიმძლავრის სპანიონინტელებიანი ქვიშაქვებისა და თიხიანი ქვიშაქვების წყება, რომელიც, თავის მხრივ, კონკური სქელშრეებრივი ქვიშაქვებითა და ქვიშიანი თიხებით იყარება. მთელი ეს წყება გადმობრუნებულია სამხრეთისკენ და დაქ. NO 20-40°, დაქ. კუთხე 30-40°.

სოფ. გენდუშთან, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის მიოცენური ნალექების გარდიგარდო აზევების გამო (იხ. შემდეგ ნაწილში), მაიკოპის წყების საქმაოდ ფართო გამოსავალი შეიმჩნევა, მაგრამ უფრო აღმოსავლეთით მდ. ასკისწყლამდე. სინკლინის ჩრდილო ფრთაში ჩოკრაკული ქვიშაქვების ქვეშ, სულ რამდენიმე მეტრის მაიკოპის წყება არის გაშიშვლებული.

სოფ. ტოლის აღმოსავლეთით მაიკოპურ თიხებზე, უშუალოდ სარმატული ნალექებია განლაგებული. მდ. ასკისწყლის ხეობაში, სოფ. ჭრებალოსთან, გ. ანანიაშვილი სარმატული ნალექების შემდეგ ჭრილს აღწერს:

1. კარბონატული სქელ-და თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და მოცისფრო თიხების მორიგეობა. შუა ნაწილში კონგლომერატის შუაშრეება—100-130 მ;

ამ დასტის ქვედა ნაწილში ნაპოვნია: *Tapes aksayicus* B o g., *Abra* cf. *reflexa* (E i c h w.) *Trochus* cf. *albomaculatus* (E i c h w.), *Cardium* sp. უფრო ზევით—*Cardium* cf. *loweni* S i n z. ზედა ნაწილში კი—*Mactra eichwaldi* L a s k., *Ervilia dissita* E i c h w. var. *andrussovi* K o l e s., *Donax dentiger* E i c h w., *Cardium* cf. *transcarpaticum* M e r k. et N e w e s s k., *Trochus* sp. და სხვ.,

2. ცისფერი თიხების, თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. დახლოებით შუა ნაწილში, კონგლომერატის (0,1-0,3 მ) რამდენიმე შუაშრე—100-120 მ.

აქ გ. ანანიაშვილი აღნიშნავს: *Cardium* cf. *kishinevense* K o l e s., *C.* cf. *loweni* S i n z.. *C. ingratum* K o l e s., *Maetra subvitaliana* K o l e s., *Bulla ustjurtensis* E i c h w., *Trochus* sp. ზევით გაშიშვლებები არა ჩანს.

დასტა 1 ფაუნის საფუძველზე მიეკუთვნება ქვედა სარმატს, ხოლო 2—შუა სარმატს.

სარმატული ნალექების ქვეშ, ქვედა და შუა მიოცენი სოფ. ბოსტანას აღმოსავლეთით ისევ ჩნდება. აქ, სოფ. ძირაგეულსა და ევალენის შუა, ა. ლალიევი (1959) ზოგადად გამოპყოფს:

1. თიხები მაიკოპის პანიტუსის 190-200 მ, დაქ. NO, დაქ. კუთხე 30-35°;
2. თიხები, ნაცრისფერი ფურცლოვანი ქვიშაქვები. ზედა ნაწილში მუქი თიხები მერგალის შუაშრეებით—100-110 მ, დაქ. 45°;
3. ნაცრისფერი ქვიშაქვები დეტრიტუსით და *Cardium*-ის ნატეხებით—20-25 მ;
4. ნაცრისფერი ქვიშაქვები ჩოკრაკული ფაუნით.

დასტა 1-ს ა. ლალიევი აკუთვნებს შუა და ზედა ოლიგოცენს, დასტა 2-ს პირობითად, ქვედა მიოცენს, დასტა 3-ს თარხნულს, ხოლო დასტა 4 ჩოკრაკულად თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ამ ზოლში ჩოკრაკი წარმოდგენილია ნაცრისფერი ქარსიანი ქვიშაქვებით, რომელთაც სფერული განწევრება ახასიათებს (სიმძლავრე 100-150), კარაგანული სართული კი — სქელშრეებრივი მოცისფრო-მონაცრისფრო სპანიოლონტელებიანი ქვიშაქვებით (სიმძლავრე 100 მ).

ამრიგად, როგორც განხილული ჭრილებიდან ჩანს, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში შუა სარმატის ჩათვლით მიოცენის ყველა პორიზონტი გვხვდება.

სინკლინის დასავლურ ნაწილში კარგად გამოიყოფა ქვედა მიოცენის ქვიშიანი ფაციესი, ხოლო აღმოსავლეთით ქვედა მიოცენი მაიკოპური თიხებით არის წარმოდგენილი. შუამიოცენური ნალექები დასავლეთით წარმოდგენილია ძირითადად ქვიშაქვებით, თიხებით და კონგლომერატებით, ხოლო სინკლინის აღმოსავლურ ნაწილში კი. თიხებით და ქვიშაქვებით. სარმატულ ნალექებში ჟემზენვა მასალის გაუხეშება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ამავე დროს საკვლევ ზოლში ცხადად არის გამოხატული ტრანსგრესია: ზოგან ქვედა მიოცენი და ხშირად ოლიგოცენიც ტრანსგრესიული ჩოქრაკით არის გადაფარული. საყურადღებოა, რომ ტოლა-ბოსტანას მონაკვეთზე ჩოქრაკული ტრანსგრესია განვითარების მაქსიმუმს მხოლოდ სარმატულში აღწევს.

### ძარღვული სხეულები

დასავლეთ საქართველოს ძარღვული ქანები დეტალურად შეისწავლა ნ. სხირტლაძემ (1943), რომელიც ოქრიბაში და ქვემო რაჭაში ტეშენიტური ქანების რამდენიმე გამოსავალს აღწერს. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრულ ფრთაში ნ. სხირტლაძე აღნიშნავს ნიკორწმინდის, პატარა ონის, ქვედა შავრის, ხონჭიორისა და ჟყვიშის ტეშენიტებს, რომლებიც ქვედაცარცულ, პალეოგენურ და შუამიოცენურ ნალექებში შრეძარღვების სახითა შეჭრილი. სინკლინის ჩრდილო ფრთაში ა. ჯანელიძემ (1940) აღნიშნა ოლიგოცენურ თიხებში შეჭრილი შრეძარღვი, რომელიც ნ. სხირტლაძის (1943) აზრით თავისი მინერალოგიური შედგენილობით ტეშენიტებთან სიახლოვეს იჩენს და შესაძლებელია გენეტურად დაკავშირებული იყოს მასთან ახლოს მდებარე ჭყვიშის ტეშენიტთან.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის გეოლოგიური კვლევისას, ჩვენ საშუალება მოგვეცა წევგესწავლა ტეშენიტების გამოსავლები და გამოგვეტანა ზოგიერთი დასკვნა მათი წოლის ფორმისა და პეტროგრაფიული ბუნების შესახებ.

შესწავლილი გამოსავლები სოფ. გენდუშისა და უოშის მიღამოებში, მდ. ხელეშურისა და უოშისლელის სათავეებში შიშვლდება. სოფ. გენდუშის მიღამოებში ქანი მეორადი მცირე მასშტაბის ანტიკლინის (სურ. 12) თაღში დაიკის სახით არის შეჭრილი. აქ ის მაიკოპის წყებას და ჩოქრაკულ ქვიშაქვებს ჰკვეთს და მისი სიმძლავრე 15-20 მეტრს აღწევს. მიმართებით დაიკი დაახლოებით 100 მეტრზე ვრცელდება.


ოდნავ ჩრდილოეთით, აღნიშნული ნაოჭის ჩრდილო ფრთაში, კარგად ჩანს რამდენიმე შრეძარღვი შეჭრილი ჩოქრაკულ ნალექებში. აქ ჩოქრაკულ ქვიშაქვებთან, რომლებიც დაქანებულია NO 40°, დაქ. კუთხე 30°, მორიგეობს ათამდე შრეძარღვი. მათი სიმძლავრე 1-2,5 მეტრის ფარგლებში მერყეობს. კონტაქტები შემცველ ქანებთან მაკროსკოპიულად მკვეთრია და გვერდითი ქანი შეუცვლელია. მაგრამ მიკროსკოპში, როგორც ზედა, ისე ქვედა კონტაქტში, კარგად ჩანს გვერდითი ქანების „შეჭმა“ და მისი ქსენოლითები შეჭრილ ქანში (სურ. 11). დასავლური მიმართულებით, შრეძარღვების რიცხვი თანდათან კლებულობს და მაღალი გადასასვლელის აღმოსავლურ ფერდზე ჩოქრაკულ ქვიშაქვებში მხოლოდ ერთი, საკმაოდ მძლავრი (15-30 მ), შრეძარღვი არის შეჭრილი. ის დასავლეთისკენ თითქმის ერთ კილომეტრზე ვრცელდება.

სოფ. გენდუშის აღმოსავლეთით შრეძარლვი მაიკოპურ წყებაშია მოთავსებული, დაქანებულია SW 220°, დაქ. კუთხე 70° და თითქმის მდ. ასკისწყლის ხეობამდე ვრცელდება.



სურ. 11. გენდუშის შრეძარლვის ზედა კონტაქტი ჩოკრაკულ ქვიშაქვებთან. ნიკ. გამ.

მაკროსკოპიულად გენდუშის დაიკი ღია ფერის მსხვილმარცვლოვანი ქანით არის წარმოდგენილი, ხოლო შრეძარლვის ქანები მკვრივი მოშავო ფერია.



მიქროსკოპში დაიკის შესწავლა შემდეგს გვიჩვენებს: მიკროსტრუქტურა ქრისტალურ-მარცვლოვანი, ზოგან ოფიტურია (სურ. 13 და 14). პლაგიო-კარბონატებისად გაცეოლითებულია. საღ მარცვლებს კარგად ემჩნევა ტკეჩვალება, მისი შედგენილობა ჩაქრობის კუთხის მიხედვით ლაბრადორის (N 55) უბასუხებს. ფერადი მინერალებიდან ქანში ბლომად არის მუქი ფერის ამფიბოლი, რომელიც გვხვდება კარგად განვითარებული პრიზმული კრისტალების სახით. მინერალს მკვეთრი პლაგიტონიზმი ახსიათებს. ის ხშირად შემოზრდილია პიროქსენზე (სურ. 15). ზოგიერთ კვეთში კარგად ჩანს ჭვარედინი ტკეჩვალება (კუთხე 124°). მინერალის კონსტანტები შემდეგია: პლაგიტონიზმი Ng—მურა-წითელი; Nm—ყავისფერი; Np—ჩალისფერი; აბსორბცია  $Ng > Nm > Np$ ,  $CNg = -13 - 16^\circ$ ,  $2V = -78 - 83^\circ$ ,  $Ng - Np = 0,022 - 0,023$ . ამ თვისებების მიხედვით ეს მინერალი ბარკეზიკიტს წარმოადგენს (სურ. 16).


სურ. 12. ჭრილი სოფ. გენდუშითან

1. ქვედა ნეოკომური კირქვები, მაიკოპის წყება,
2. ჩოკრაკული ქვიშაქვები,
3. ტეშენიტის დაიკი,
5. ტეშენიტის შრეძარლვები,
6. ნაყარი

პიროქსენების ჭგულიდან ქანი ლია ვარდისფერ ტიტანიტის შე-იცავს ( $C_{\text{Ng}} = 46 - 51^\circ$ ,  $2V = 51 - 53^\circ$ ,  $\text{Ng} - \text{Np} = 0,020 - [0,021]$ ). ზოგან კარგად ჩანს ქვიშის სათათის სტრუქტურა. მასზე ხშირად ბიოტიტი არის წა-




სურ. 13. გენდუშის დაკის ცენტრალური ნაწილის კრისტალურ-მარცვლოვანი სტრუქტურა. ნიკ. გამ.



სურ. 14. გენდუშის დაკის ცენტრალური ნაწილის ღფიტური სტრუქტურა. ნიკ. +

ზრდილი. ბიოტიტის მცირე ზომის ფურცლები, ტკეჩვადობის გასწვრივ კვეთ-ზი ძლიერ პლიოქროულია.  $\text{Ng}$ —მუქი ყავისფერი,  $\text{Nm}$ —ყავისფერი,  $\text{Np}$ —ჩა-ლისფერი. აბსორბცია ნორმალური.

იშვიათად გვხვდება კალიუმის მინდვრის ჟპატი მცირე ზომის მარცვლების სახით. აპატიტი გვხვდება 2 გენერაციის. 1 გენერაციის აპატიტი მოკლე იდიომორფული პრიზმების სახით გვხვდება აქცესორებთან ერთად. II გენერაციის აპატიტის გრძელი ნემსისებური კრისტალები ჰქვეთს ძირითადი მასის მინერალებს (სურ. 17).



სურ. 15. პიროქსენის ფენოკრისტალების შემოზრდა  
ბარკევიკიტით. ნიკ. გამ.


აქა იქ უფერო გამჭვირვალე რაღიალურ-სხივოსნური დანაგროვების სახით ჩანს ტომსონიტი. ჭარბი რაოდენობით არის ანალციმი — წყლისებრ-გამჭვირვალე იზოტროპული, უმეტესად ავსებს კრისტალთაშორის არეებს. ძირითად მასაში, ზოგიერთ უბანზე, ჩანს მაღალი რელიეფის მქონე სხვა ფელდ-შპატონიდებიც.

მეორადი პროდუქტებიდან გვხვდება ქლორიტი, რომელიც ძირითად ბიოტიტის და პიროქსენის ხარჯზე არის წარმოშობილი და, იშვიათად, ეპიდოტის მარცვლები. მაღალი მინერალებიდან ქანი ტიტანო-მაგნეტიტის შეიცავს.

აღწერილიდან ჩანს, რომ გენდუშის დაიკის ქანი ტიპიურ ბარკევიკიტიან ტენიტის წარმოადგენს.

მინერალოგიური შედგენილობით ამავე ტიპისაა ზემოხსენებული შრეძარ-ლვული ქანებიც. შრეძარლვის ცენტრალური ნაწილიდან აღებული ქანის მიკროსტრუქტურა კრისტალურ-მარცვლოვანია. პლაგიოკლაზი შედგენილობით ლაბრადორს (N 60) უპასუხებს. ბარკევიკიტი გვხვდება კარგად განვითარებული კრისტალების სახით ( $CNg = 13 - 15^\circ$ ,  $2V = 76 - 78^\circ$ ,  $Ng - Np = 0,022 - 0,023$ ). აბსორბცია —  $Ng > Nm > Np$ . ტიტან-ავგიტი ცვალებადი ზომის მარცვლებს იძლევა ( $CNg = 42 - 44^\circ$ ,  $2V = 52 - 54^\circ$ ,  $Ng - Np = 0,022 - 0,023$ ). გვხვდება აგრეთვე ბიოტიტი, აპატიტი, დიდი რაოდენობით ანალციმი. მეორადი პროდუქტებიდან ქლორიტი და, აქა იქ, კალციტი. ზოგიერთ შრეძარლვში მკვეთრად განსხვავებულია პერიტერიული ნაწილების ქანის სტრუქტურა. აქ ქანი შედგება მიკროლითუ-

რი ფლუიდური ძირითადი მასისაგან, რომელშიც აქა იქ პლაგიოკლაზის პორფირული გამონაყოფებიც შეიმჩნევა. ქანი მაკროსკოპიულად განსხვავდება (შავი ფერისაა) შრეძარლვის ცენტრალური ნაწილის ქანისაგან. მისი სიმძლავა 30-60 სმ-ის ფარგლებში იცვლება. გადასვლა შრეძარლვის ცენტრალური ნაწილის ქანში მევეთრია. მიკროსკოპი, კონტაქტურ ზოლში, კარგად ჩანს პერიფერიული ქანით ცენტრალური ნაწილის ქანის „შეჭმა“ და ქსენოლითები



სურ. 16. ბარკევიკიტის და პლაგიოკლაზის ფენოკრისტალები  
ანალციმის ბაზისში. ნიკ. +



სურ. 17. აპარატის პრიზმები ანალციმის ბაზისში. ნიკ. გამ.

გასში (სურ. 18). ქიმიურად ეს ორი ქანი თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. შედარებისათვის მოგვყავს ქიმიურ შედგენილობათა ცხრილი (№ 1).

ტეშენიტების ქიმიური შედგენილობა

ცხრილი 1

№	SiO <sub>2</sub>	TiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO	MnO	MgO	CaO	Na <sub>2</sub> O	K <sub>2</sub> O
I	45,21	1,95	15,73	5,27	4,31	0,15	5,76	8,98	4,0	1,8
II	45,72	1,86	17,05	5,58	3,59	0,13	6,71	7,99	3,2	1,8
III	45,63	1,88	15,90	5,02	3,44	0,13	5,00	6,98	5,0	1,7
IV	46,50	1,89	17,15	3,80	5,05	0,11	3,90	8,82	4,34	1,89

რიცხვითი მახასიათებლები ზაგარიცების მიხედვით

№	a	c	b	s	m'	f'	c'	n	Q
I	12,22	5,09	26,18	56,32	40,00	35,27	24,72	77,38	17,7
II	10,46	7,08	24,61	57,85	40,70	36,21	14,07	71,8	12,3
III	14,62	4,21	23,34	57,82	39,27	39,27	21,52	81,82	17,8
IV	13,10	5,80	22,02	58,90	32,55	40,60	26,88		

I. გენდუშის ტეშენიტი (დაიკი), II. შრეძარლვის ცენტრალური ნაწილის ქანი, III. შრეძარლვის პერიფერიული ქანით ცენტრალური ნაწილის ქანი, IV. შრეძარლვის პერიფერიული ქანი.



სურ. 18. გენდუშის შრეძარლვის პერიფერიული ქანით ცენტრალური ნაწილის ქანის გავვთა — „შეჭრა“

ამრიგად, ზოგიერთ ურეძარლვის ორი მკვეთრად განსხვავებული სტრუქტურის ქანის არსებობა და, აგრეთვე, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი მიგვითოთებს, რომ აქ მაგმის შემოჭრის ორ იმპულსთან უნდა გვქონდეს საქმე.

ამავე დროს, როგორც გენდუშისა და უოშხის შრეძარლვების მინერალო-გიური და ქიმიური ჟედგენილობა და ასევე მათი განლაგების გეოლოგიური პი-რობები გვიჩვენებს, ისინი, როგორც ჩანს, შრეებრივობის გაწვრივ გვერდით ქანებში ჟეჭრილ გენდუშის დაიყის პოფიზებს წარმოადგენენ.

ჟესტავლილი ქანები ღიად მინერალოგიურ და ქიმიურ (ცხრ. 1) მსგავსე-ბას იჩენს ჰყვიშის ტეშენიტებთან. ამასთან ისინი სიგრცობრივად ერთი და იმა-ვე ნაოჭის ჩრდილო და სამხრულ ფრთას უკავშირდება და მრიგად, რო-გორც ჩანს, გენეტურადაც დაკავშირდებულია. აღნიშნული სინკლინური ნაოჭი, რომლის ფრთებშიც გვაქვს ტეშენიტის გამოსავლები, როგორც ა. ჭანელიძემ აღ-ნიშნა (1940), ამ ნაწილში საკმაოდ გაშლილია და მის გულში სარმატული ნალე-ქები თითქმის ჰორიზონტულად არის განლაგებული, მაშინ, როდესაც, უფრო აღმოსავლეთით (მდ. ასკისწყლის ხეობაში) და დასავლეთითაც, ეს ნაოჭი ძლიერ არის შეკუმშული და მისი ორივე ფრთა ციცაბოა. ამავე დროს სოფ. გენდუშ-თან ის მერიდიანული მიმართულებით აზევებასაც განიცდის. ბუნებრივია, რომ ეს მოვლენა აქ სიღრმეში მკვრივი სხეულის არსებობით აიხსნას. ნ. სხირტლაძე ფიქრობს, რომ ეს სხეული შესაძლებელია ტეშენიტის ინტრუზია იყოს (1943). ჩვენი მონაცემები ადასტურებს ამ მოსაზრებას და მიგვითოთებს, რომ გენდუში-სა და უოშხის ტეშენიტები, როგორც ჩანს, ამ ინტრუზის პერიფერიულ, პო-ფიზურ ნაწილებს წარმოადგენს.

საინტერესოა ამ ტეშენიტების ასაკის საკითხიც. რაჭა-ლეჩხუმის სინკლი-ნის ტეშენიტები კარაგანულის ჩათვლით თითქმის ყველა ნალექს ჰქვეთს (პა-ტარა ონში და ქვედა შავრაში ტეშენიტის შრეძარლვი კარაგანულ შრეებშია შემოჭრილი). ამრიგად, ეს ტეშენიტები, საერთოდ, - კარაგანულზე ახალგაზრ-დაა. რაც შეეხება ზედა საზღვარს, ამ საკითხის გადასაწყვეტად უშუალო სა-ბუთები აქ არ არსებობს.

## ტექტონიკა

### შესაბალი

ტექტონიკურად შესწავლილი რაიონი რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთას წარმოადგენს.

ამ ზოლის დეტალურ დახასიათებამდე, უპირველეს ყოვლისა, ზოგადად, საჭირო იქნება მთელი სინკლინის ბუნების გარკვევა.


რაჭა-ლეჩხუმის სინკლინი კავკასიონის გასწვრივი რთული ასიმეტრიული ნაოჭია, რომელსაც ციცაბო, და დასავლურ ნაწილში სამხრეთისკენ გაღმობრუნებული ჩრდილო ფრთა და შედარებით დამრეცი სამხრული ფრთა აქვს. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სინკლინი დაახლოებით 60 კმ-ზე ვრცელდება.

ჩრდილოეთიდან ამ სინკლინს ლიასის თიხაფიქლებით და ქვიშაქვებით აგებული სორის ანტიკლინი საზღვრავს. დასავლურ ნაწილში, სოფ. ქულბაქთან, ის ძლიერ მაღლაა აზიდული და დასავლეთისკენ ვიწრო და იზოკლინური წაფლისკარვის სინკლინის სახით გრძელდება (ა. ჯანელიძე, 1940). ამ უკანასკნელის ჩრდილო ფრთა, სოფ. ქულბაქის დასავლეთით, ჩრდილოეთიდან შემოცოცებული ბაიოსის პორფირიტული წყებით არის გადაფარული (ე. ვახანია, 1953; გრ. გუგაბიძე, 1955), ხოლო აღმოსავლეთისკენ რაჭის სინკლინის ცარცული ნალექები სოფ. შემერთან გადარეცხილია და უფრო აღმოსავლეთით აღარ ჩანს.

საკუთრივ რაჭა-ლეჩხუმის სინკლინი დასავლურ ნაწილში (ლეჩხუმის ფარგლებში) ფართოა და მისი სამხრული ფრთა რამდენიმე დამატებითი ნაოჭით არის გართულებული (სურ. 19). ამიტომ ის აქ სინკლინორიუმს უფრო წააგავს, ვიდრე მარტივ დიდ სინკლინს. აღმოსავლეთით რაჭის სინკლინი ამ „სინკლინორიუმის“ ჩრდილო ყველაზე მეტად დაძირული ღერძული ზოლის უწყალო გაგრძელებას წარმოადგენს. მდ. ლაჯანურსა და ს. გენდუშს შუა სინკლინი ძლიერ არის შეკუმშული, რაც მის სამხრულ ფრთაში დამატებითი ირიბი მიმართების (NO) ლაპეჭინის ანტიკლინის (6-6) არსებობით არის გამოწვეული. ეს უკანასკნელი ჩრდილოეთისაკენ არის გადახრილი და მის გულში ქვედანეოკომური კირქვები შიშვლდება. ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით ლაბეჭინის ანტიკლინი იძირება და სოფ. გენდუშთან ქრება. ჩრდილო-დასავლეთიდან ამ ანტიკლინს დაახლოებით ასეთივე მიმართების გაშლილი ნასპერის სინკლინი (5-5) საზღვრავს. სოფ. ნასპერთან, სამრატულ ნალექებში კარგად ჩანს ამ სინკლინის სამხრული ფრთა (დაქ. NW 340°, დაქ. კუთხე 30-35°) და ჩრდილო ფრთა (დაქ. SW 190°, დაქ. კუთხე 25-30°).

ნასპერის სინკლინის ჩრდილოეთით მცირე ზომის ლასურიაშის ანტიკლინი (4-4) შეიმჩნევა, რომელიც დასავლეთისაკენ თანდათან ქრება და მის ჩრდილოეთით არსებულ წიფერჩ-ლესინდის სინკლინის (3-3) სამხრულ ფრთას ერწყმის. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მკაფიოდ მდ. ცხენისწყლის დასავლეთით არის გამოსახული, მის აღმოსავლეთით კი თანდათან იშლება და მდ. ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე ქრება. სოფ. წიფერჩთან ამ

ნაოჭის გულში ჩოქრაკულია გაშიშვლებული, უფრო დასავლეთით კი, მდ. ჯონოულის მარჯვენა ნაპირზე, ის ქვედაცარცულ კირქვებში არის გამოხატული.



სურ. 19. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ტექტონიკის სქემა.

1. სინკლინის მოხაზულობა ქვედა ცარცის ფუძის მიხედვით,
2. სინკლინური ნაოჭები
3. ანტიკლინური ნაოჭები.
4. რღვევის წაზები,
5. კიდური შეცოცება,
6. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ზოლი,
7. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრული ფრთის ზოლი

წიფერჩ-ლესინდის სინკლინის ჩრდილოეთით დეხვირის ანტიკლინური მოჰყვება, რომელიც აღმოსავლეთით, ისევე ჩრდილო ზემოთ აღნიშნული ნაოჭები, მდ. ლაგანურის მარჯვენა ნაპირზე იშლება და ქრება, ხოლო დასავლეთით კი, სოფ. ბარდნალის და ჩქუმის გავლით მდ. ჭონოულის მარჯვენა ნაპირზე გადის, სადაც წიფერჩ-ლესინდის სინკლინის მსგავსად ქვედაცარცულ კირქვებში სუსტადაა გამოხატული.

მეორე რიგის რამოდენიმე ნაოჭი შეიმჩნევა რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრულ ფრთაში ლაბეჭინის ანტიკლინის სამხრეთითაც. ასეთია საირმის სინკლინი (7-7), რომელიც სამხრეთ-დასავლეთისკენ თითქმის მდ. რიონა-მდე გრძელდება, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით სოფ. ჭყვიშის მახლობლად იძირება და ქრება. სამხრეთიდან საირმის სინკლინის ძლიერ შეკუმშული ზოგიშის ანტიკლინი ეკვრის. შეგუჩაძის მიხედვით, ამ ანტიკლინის უშუალო გაგრძელებას ქვედა შავრის ანტიკლინი წარმოადგენს, რომელიც აღმოსავლურ ნაწილში სამხრეთისკენ არის გადმოხრილი და გრძელდება თითქმის მდ. რიცეულის ხეობამდე. ზოგი შექვედა შავრის ანტიკლინს (8-8) სამხრეთით ღვარდის სინკლინი (9-9) მოჰყვება. ეს უკანასკნელი დასავლეთით აზევებულია და მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე თანდათან ქრება. ამ ნაოჭის სამხრეთით ჩრდილო-აღმოსავლური მიმართების მოძღვე პატარა ონის ანუ ღადიშის (10-10) ანტიკლინი არის განვითარებული, რომელიც ძლიერ შეკუმშულია და ჩრდილოეთისკენ არის გადახრილი. სამხრეთით მას გაშლილი აბანოეთის სინკლინი (11-11) და შემდეგ კი, ჩრდილოეთისკენ გადახრილი ლემანეურის ანტიკლინი (12-12) მოჰყვება. ამ უკანასკნელს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დაძირული ხორევის სინკლინი (13-13) ესაზღვრება.

#### 4. ე. გამყრელიძე

ამრიგად, ზემოთ აღწერილ რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის სამხრული ფრთის ნაოჭებს ზოგადად ჩრდილო აღმოსავლური მიმართება აქვს (სურ. 19) და უმეტესად ჩრდილოეთისკენაა გადახრილი. როგორც ქვემოთაც დავინახავთ, სულ სხვაგვარი სურათია რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში, რომელიც სამხრეთისკენაა გადმობრუნებული და დამატებით ნაოჭებს აქ ჩრდილო-დასავლური კავკასიონური მიმართება აქვს (სურ. 19). ამგვარად, აქ ცხადად ჩანს კავკასიონური მიმართებით გაწოლილი სამხრეთისკენ გადმობრუნებული ჩრდილო ფრთის ზოლი და ჩრდილო-აღმოსავლური მიმართების მქონე და ჩრდილოეთისკენ გადახრილი სამხრული ფრთის ნაოჭების ზოლი.

უნდა ვითიქროთ, რომ რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის სამხრული ფრთის ნაოჭების ასეთი მიმართება (NO) და მათი ჩრდილო-დასავლეთისკენ გადახრა სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს ბელტის ამოზიდული ნაწილის, ძირულის მასივის, არსებობით არის გამოწვეული, ხოლო ჩრდილო ფრთაში კი სამხრეთისკენ მომართული, კავკასიონური მოძრაობა-ჭარბობს და ამიტომ სტრუქტურების განვითარებაც შესაბამისია.

ამრიგად, როგორც ა. ჯანელიძემ (1940) აღნიშნა, რაჭა-ლეჩეუმის სინკლინი ერთგვარ ბუფერს წარმოადგენს, სადაც ერთმანეთს ხვდება ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ძალები ანტიკავკასიონისა და კავკასიონისა.

ამავე დროს საყურადღებოა, რომ გადასვლა ერთი უბნიდან მეორეში საქმაოდ მკვეთრია: სამხრული ფრთის ნაოჭები ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით თითქმის აწყდება სინკლინის ჩრდილო ფრთის ზოლს (სურ. 19). ეს მოვლენა გვაფიქრებინებს, რომ ამ ორ გეოტექტონიკურად განსხვავებულ უბანს შუა, როგორც ჩანს, თავიდანვე არსებობდა მკვეთრი გამყოფი ზედაპირი სილრმული რღვევის სახით, რომელიც ერთგვარი „სახსრის“ ტოლს ასრულებდა და შესაძლებელია, თავის ღროწე, რაჭა-ლეჩეუმის დეპრესიის ჩასახვასაც აპირობებდა.

ამრიგად, გავარკვეით რა ზოგადად რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ტექტონიკური ბუნება, შეიძლება მისი ჩრდილო ფრთის დეტალურ განხილვას შევუდგეთ.

### აღწერითი ნაწილი

რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ტექტონიკის პირველ დეტალურ სქემას ბ. მეფერტი (1930) იძლევა, რომელიც აღნიშნავს, რომ: „Северное крыло Лечхумо-Рачинской синклинали сопровождается крупными разрывами и перемещениями шарьяжного типа, надвинувшими частью юру на мел, а равно весь мел и палеоген на миоцен (нижний сармат) с перекрыванием всей аутохтонной части северного крыла синклинали“.

სრულიად სხვაგვარი კონცეპცია, რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის აგებულების შესახებ, წარმოადგინა ა. ჯანელიძემ (1934, 1940), რომელიც გამოიკვენ ამ ზოლის ტექტონიკის თავისებური ბუნება და აღნიშნა კიდური (კროზისიშემდგომი) დანაოჭების წამყვანი როლი მის ჩამოყალიბებაში.


შემდგომად კვლევებმა ა. ჯანელიძის შეხედულებები საკეთო დაადასტურა.

რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ტექტონიკურ განვითარებას ზოგადად ერთი ხასიათი აქვს. მაგრამ ამ ზოლში მაინც გაირჩევა მეტად თუ ნაკლებად განსხვავებული მონაკვეთები, რომელთა განვითარების თავისებურებაზე, ამ უბნებში, კონკრეტული გეოლოგიური პირობების არსებობითაა გამოწვეული. ამის გამო ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ ქულბაქ-ორბელის, ორბელ-თაბორის, თაბორ-ტოლის, ტოლა-ლვიარის და ლვიარა-შესის მონაკვეთებს.

ქულბაქ-ორბელის მონაკვეთი  
(სურ. 27)

რაჭა-ლეჩუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა ქულბაქ-ორბელის მონაკვეთზე ჟველაზე უკეთ მდ. ცხენისწყლის ხეობაში არის გაშიშვლებული. ექვემდებარებული არის გარეთ ფრთის ბაიოსის პორფირიტული წყება და ცარცული და პალეოგენური კირქვები.

ბაიოსის პორფირიტული წყება, რომელიც ზედა ნაწილში ტუფ-ქვიშაქვებისა და პორფირიტების მორცევებით არის წარმოდგენილი, ცხენისწყლის ხეობაში ყირაზე დგას. ქვედაცარცულ კირქვებთან მიახლოებისას მაში კარგად ჩანს ღამინება: SO 155°, დაქ. კუთხე 85°. ამ წყებას უშუალოდ ეხება ასევე და-ქანებული (SO 150°, დაქ. კუთხე 85°) ქვედანეოკომური ტლანქშრებრივი გა-დოლომიტებული კირქვები (სურ. 20). მდინარის მარჯვენა ნაპირზე კარგად




სურ. 20. ჭრილი მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირის გასწრები,  
მურის კლდეკარში

1. ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. ტლანქშრებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედა ნეოკომი), 3. ტლანქშრებრივი კრისტალური კირქვები (ბარემი), 4. თხელშრებრივი კელიტომორფული ჰილებები (აპტი), 5. მერგელები და თიხები (ალბ-სენომანი), 6. თხელშრებრივი კაუიანი კირქვები (ტურონ-კამპანი), 7. ტლანქშრებრივი, რუხი კრისტალური კირქვები (მასტრიიტული) 8. ტლანქშრებრივი თეთრი ფერის კირქვები, (დანიური), 9. ტლანქშრებრივი ფერის კირქვები (ბალეოცენი), 10. მომწვნო ქვიშიანი კირქვები (შუალცენი), 11. მაიკობის წყება

ჩანს ცარცის და ბაიოსის შეხების ზოლი, სადაც არც ტექტონიკური მოძრაობის კვალი და არც რაიმე გადარეცხვის ნიშანი შემჩნევა. დაახლოებით 180-200 მეტრის შემდეგ ქვედანეოკომური კირქვები თხელშრებრივი ხდება. ამავე დროს აქა იქ კარგად ჩანს მერგელოვანი კირქვების შუაშრებებიც. მომღევნო თხელ-შრებრივი ბარემული კირქვები ასევე ყირაზე დგას, მაგრამ მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, მდინარის კალაპოტიდან დაახლოებით 40-50 მეტრით მაღლა, კარგად ჩანს, რომ ამ კირქვებს თავები სამხრეთისკენ აქვს გადახრილი. უფრო სამხრეთი შრების გადახრა სულ უფრო და უფრო დაბალ პიფსონეტ-რიულ დონეზე ხდება და ალბ-სენომანურ თიხიან-მერგელოვან წყებასთან მიახლოებისას შრები სამხრეთისკენ თითქმის მდინარის კალაპოტის დონეზე იღუნება. ალბ-სენომანური წყება უშუალოდ ხევშია დაფარული, მაგრამ კარგად ჩანს ოდნავ აღმოსავლეთით, მურისლელები. მდ. ცხენისწყლის კალაპოტის დონეზე მისი სიმძლავრე 40-50 მეტრს არ აღემატება. პიფსონეტ-რიულად უფრო მაღლა, მდინარის დონიდან დაახლოებით 200-250 მეტრზე, მარჯვენა ნაპირზე, სოფ. გვესოდან ჩრდილოეთით მიმავალ საურმე გზის პირას ამ წყების სიმძლავ-

რე 150 მეტრამდე აღწევს. ამასთან მისი ზედა ნაწილი უკვე მთლიანად სამხრე-თისაენაა გადმობრუნებული და დაქანებულია NW 330°, დაქ. კუთხე 40°. ფფრო სამხრეთით ასეთივე დაქანება აქვს ზედაცალცულ და პალეოგენურ კირ-ქვებს (სურ. 21).



სურ. 21. ჭრილი სოფ. გვესოსთან

- 1 ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. ტლანქ-შრებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედა ნეო-კომი), 3. ტლანქშრებრივი კრისტალური კირქვები (ბარემი), 4. თხელშრებრივი კირქვები მერგელის შუა-შრებით (აპტი), 5. თიხები და მერგელები (ალბ-სე-ნომანი), 6. თხელშრებრივი კაუიანი კირქვები (ტუ-რონულ-კამპანური), 7. ტლანქშრებრივი კირქვები (მასტრიხტულ-დანიური), 8. კირქვები და მერგელები (პალეოცენ-ეოცენი), 9. მაიკონის წყება (ოლიგო-ცენი), 10. მთავარი შრეგასწვრივი ცოცვის სიბრტყე, 11. გვესოს მეზყერი

მოქცეული ფაუნისტური ნაშთების ძლიერი დეფორმაცია. ამგვარად, ალნიშ-ნული მოვლენები, როგორიც არის ალბ-სენომანური ოლასტიური წყების სიმ-ძლავრის მომატება ზედა ნაწილში (გამოწერება), კირქვებთან შედარებით



სურ. 22. მდ. ცხენის-წყლის ხეობა (მურის კლდეებარი). წახვეტის ნაო-შები ზედა ცარცის თხელ-შრებრივ კირქვებში (ჩა-ნახატი)

დროს ამ ფრთის თანდათან გადმობრუნებას სინკლინის გულისაკენ, რაც თავის მხრივ ამ მიმართულებით ნაკლები წინააღმდეგობის არ-სებობას მოწმობს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრეგასწვრივი

მდ. ცხენის-წყლის ხეობაში ჩანს სხვა საყურადღებო მოვლენებიც. კერძოდ, ზე-დაცალცულ კირქვებში მეტი ჩანს შრეგასწვრივი სხლეტვის სარკეები და ნაკაწრები. ამ კირქვებში მოქცეული მერგელოვანი შუა-შრები კი ძლიერ აზელილია და მათ გასწვრივ მოძრაობის კვალი კარგად შეიმჩნევა. ტურონულ-კამპანურ თხელშრებრივ კირქვებში კარგად ჩანს აგრეთვე წახვეტის ნაოშები (სკლადკი ვილიცენი) (სურ. 22)

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ კაჟის კონკრეციები, მოქცეული ზედა ცარცის ტლანქშრებრივ კირქვებში, ძლიერ დამსხვრეული და გაფხვიერებულია. შეიმჩნევა აგრეთვე აპტურ კირქვებში უფრო ფაუნის დეფორმაცია. ამგვარად, ალნიშ-ნული მოვლენები, არსებობას მოწმობს. ამავე დროს, როგორც ალ-ნიშ-ნულ იქნა, ამ წყებაში, განსაკუთრებით მის ზედა ნაწილში (სტრატიგრაფიულად), ადგილი აქვს ინტენ-სიურ შრეგასწვრივ მოძრაობას, რასაც თხელშრებ-რივი კირქვების დიფერენციალური დაწვრილნაოპე-ბაც ადასტურებს. ამასთან ცხადად ჩანს, აგრეთვე, მთელი წყების თანდათანი გადაყირავება სამხ-რეთისკენ.

ყველაფერი ეს მიგვითითებს იმაზე, რომ რაჭა-ლეჩუმის სინკლინის შექუმშევისას მის ჩრდილო ფრთაში აღილი აქვს სტრატიგრაფიულად ზედა დასტების ქვედათა მიმართ წაცოლებას და ამავე


დასტების ქვედათა მიმართ წაცოლებას და არ-სებობას მოწმობს. არ-სებობას მოწმობს. რომ შრეგასწვრივი

ცოცვისას წყების ზედა ნაწილები (სტრატიგრაფიულად) ქვედასთან შეღარებით უფრო დიდ შეფარდებით გადაადგილებას განიცდის, რაც კარგად არის გამოხატული მურის კლდეკარში, სადაც წყების ქვედა ნაწილში მოძრაობის კვალი თითქმის არ შეიმჩნევა. მაგრამ ცხადია, რომ მხოლოდ შრე გასწვრივი ცოცვა ვერ გამოიწვევს ამ წყების გადმობრუნებას სამხრეთისაკენ როგორც ზემოთ დავი ნახეთ, სინკლინის ჩრდილო ფრთის სამხრეთისაკენ გაღმობრუნება, ძირითადად, აპტური და ალბ-სენომანური პლასტიური წყებების თავზე ხდება, რაც უდავოდ ამ წყებების ძლიერი გამოწმერვით უნდა იყოს გამოწვეული. ბუნებრივია, რომ გამოწმერვას, უფრო მცირე მასშტაბით, სხვა წყებებიც უნდა განიცდიდეს. მურის კლდეკარის კირქვიან წყებებში, პლასტიური დინების დადგენის მიზნით, მათი მიკროსტრუქტურის შესასწავლად რამდენიმე ორიენტირებული ნიმუში ავილეთ. ნიმუშების შესასწავლა მეტად განელებული იყო შესასწავლი ქანების წვრილმარცვლოვნების გამო (კალციტის მარცვლების ზომა უმეტესად 0,1 მმ-ს არ აღმატებოდა). მაგრამ ზოგიერთ ნიმუშში (ზედაცარცული კრისტალური კირქვებიდან) მაინც მოხერხდა აპტიკურ ლერძთა ორიენტაციის დაგრამების შედგენა. ამ დრაგრამებმა გვიჩვენა მაქსიმუმების უსისტემო განაწილება და აპტიკურ ლერძთა გამოსავალი წერტილების ძლიერ გაბნეული განლაგება, რაც იმაზე მიგვითოვებს, რომ კირქვიან წყებებში პლასტიური დინება სუსტად არის გამოხატული და, ამრიგად, სინკლინის ჩრდილო ფრთის სიმბლავრის გაზრდა და გამოწმერვა, როგორც ჩანს, ძირითადად პლასტიური თიხიან-მერგელოვანი წყებებისა და შუაშრეების ხარჯზე ხდება.

მდ. ცხენისწყლის ხეობაში ონიშნული მოვლენები ცხადად არის გამოხატული უფრო აღმოსავლეთითაც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა სოფ. ჩხუტელის მიღამოები.


სოფ. ჩხუტელის ჩრდილოეთით, ცაგერიდან ორბელისკენ მიმავალ გზაზე, შემდეგი სურათი შეიმჩნევა (სურ. 23): უშუალოდ გზის პირას კარგად ჩანს კირქვის მაღალი ვერტიკალური კედელი, რომლის ზედაპირი დაფარულია ვერტიკალური ნაკაშრებით, მეტად დამახასიათებელი სხლეტვის საფეხურებით და ის ცხადად გამოხატულ სხლეტვის სიბრტყეს წარმოადგენს (იბ. სურ. 24). კირქვის მობრივალებულ კედელზე ძლიერ შეცემენტებული ძეველი დელუვიონი არის ზერჩენილი, რომელიც ცალკეული ლოდების სახით ამ ფერზე სხვაგანაც ვეხვდება. სხლეტვის სიბრტყეში შრეებრივობის გამკვეთია: შრეები და-ქანებულია NO 20°, დაქ. კუთხე 35-40°. ამავე დროს გზის პირას კარგად ჩანს

როგორ ეხება უშუალოდ ერთმანეთს ამ სიბრტყის გასწრივ პალეოცენური კირქვები და ზედაეოცენური ოქეზიანი მერგელები. ამრიგად, აშეარა სხლეტვის კვალის გარდა, ჭრილს აკლია (ამოვარდნილია) შუა ეოცენის წყება, რომლის სიმბლავრე უფრო აღმოსავლეთით, ლაჯანურის ხეობაში, 45-50 მ-დე აღწევს.



სურ. 23. კრილი სოფ. ჩხუტელის ჩრდილოეთით, ცაგერ-ორბელის სამანქანო გზასთან.  
1. ზედაცარცული კირქვები, 2. პალეოცენური კირქვები, 3. შუა ეოცენის კერძიანი კირქვები, 4. ზედაეოცენური თევზიანი მერგელები, 5. მაინც კოპის წყება, 6. რღვევის ხაზი

აღნიშნული ფაქტები აქ, უდავოდ, ვერტიკალური ნასხლეტის არსებობაზე მიგვითითებს, სადაც სამხრული ბაგე დაახლოებით 50-60 მეტრით მაღლა არის აწეული.



სურ. 24. ვერტიკალური სხლეტვის სიბრტყე სოფ. ჩხუტელის ჩრდილოეთით, ორბელ-ცაგერის სამანქანო გზის პირას

მეტად საყურადღებოა, რომ ამ უბანზე (იქ სადაც სხლეტვის ამპლიტუდი, როგორც ჩანს, მაქსიმუმს აღწევს) მესამეულ წყებებს, მეზობელ უბნებთან შედარებით, ჰითსომეტრიულადაც უფრო მაღალი დონე უჭირავს. აღმოსავლეთისკენ აღნიშნული ნასხლეტი დაახლოებით 300-350 მეტრზე გაიდევნება და ცაგერ-ორბელის გზაზე კარგად ჩანს ვერტიკალურად ამართული მოპრიალებული კედლის სახით. დასავლეთისკენ კი. ის შედარებით ძნელი გასაკვლევია და, როგორც ჩანს, თანდათან ქრება.


ჩხუტელის აღმოსავლეთით, მდ. ლაჯანურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფზე, კარგად არის გაშიშვლებული რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის უფრო ახალგაზრდა ნალექები: ოლიგოცენური თიხები და მიოცენური ქვიშა-ქვები, თიხები და კონგლომერატები. ქვედა ნაწილში, ისევე როგორც კირქვიანი წყებები, ეს ნალექები სამხრეთისკენაა გადმობრუნებული და დაქანებულია ჩრდილოეთისკენ (სურ. 25), მაგრამ კარაგანულ-კონკური და სარმატული ნალექები სინკლინის გულში უკეთ ყირაზე დგას. ეს კარგად ჩანს ჩხუტელის ღელეში. უფრო სამხრეთით კი, სინკლინის სამხრული ფრთა 45°-იანი კუთხით ნორმალურად ჩრდილოეთისკენ არის დაქანებული.

ამრიგად, ამ ჭრილში (სურ. 25) კარგად ჩანს რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის თანდათანი გადაბრუნება სინკლინის გულისაკენ. ამასთან გადაღუნვა სტრატიგრაფიულად უფრო ახალგაზრდა შრეებში სულ უფრო და უფრო დაბალ ჰითსომეტრიულ დონეზე ხდება.

აღნიშნულ ჭრილში (სურ. 25) ნათელი ხდება ზემოთ აღწერილი ჩხუტელის ვერტიკალური ნასხლეტის ბუნებაც. უდავოდ, რომ ეს წყვეტა, შრეგასწორივი ცოცვისას, ცოცვის სიბრტყის მიერ სამხრეთისკენ გადმობრუნებული შრეების გაყვეთით არის მიღებული.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა, ქულბაქ-ორბელის მონაკვეთზე, კარგად არის გაშიშვლებული აგრეთვე მდ. ცხენისწყლის დასავლეთით.

სოფ. გვესოს მიღამოების ჭრილი ზემოთა აღწერილი (სურ. 21). უფრო დასავლეთით, სოფ. სალეთოლიანის მერიდიანზე შემდეგი სურათი ჩანს (სურ. 26). კირქვიანი წყების ზედა ნაწილი (ზედა ცარცი და პალეოგენი) აქაც სამხრეთისკენ არის გადმობრუნებული (დაქ. N, დაქ. კუთხე 35-40°). მას მოჰყვება მაიკოპის წყება, რომელიც ძლიერ აშმუშვნილია და მასში მეორადი ნაოჭებიც შეიმჩნევა.




სურ. 25. ჭრილი სოფ. ჩხეტელთან

1. ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. ტლანქშრეებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედა ნეოკამი), 3. შრებრივი კირქვები (ბარემი), 4. თხელშრეებრივი კირქვები (აპტი), 5. მერგელები და თიხები (ალბ-სენომანი), 6. თხელ და სქელშრეებრივი კუიანი კირქვები, (ზედა ცარცი), 7. კირქვები და მერგელები (პალეო-ცენ-ეოცენი), 8. მაიკოპის წყება, (ოლიგოცენ-ქვედა მიოცენი), 9. ქვიშაქვები (ჩოკრაკი), 10. ქვიშაქვები, კონგლომერალები (კარაგან-კონი), 11. ქვიშაქვები, თიხიანი ქვიშაქვები (სარმატი), 12. მთავარი შრეასწვრივი ცოცხის სიბრტყეები, 13. წყვეტის ხაზი

ამ ნაოჭების არსებობა პირველად ე. ვახანიძე აღნიშნა (1953), მაგრამ ამ ავტორს ჩოკრაკული ქვიშაქვების გამოსავალი რუკაზე ბევრად უფრო სამხრეთით აქვს ნაჩენები, ვიდრე ეს ამ უბანზე ჩანს, მაიკოპის წყება ძლიერ ფართო ზოლს ჰქმნის და ზემოაღნიშნული ნაოჭები კი, მისი აზრით, დაახლოებით იმავე

სურ. 26. ჭრილი სოფ. სალე-თოდანოს მერიდიანზე

1. ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. ტლანქშრეებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედა ნეოკამი), 3. ტლანქშრეებრივი კრისტალური კირქვები (ბარემი), 4. თხელშრეებრივი კირქვები (აპტი), 5. მერგელები და თიხები (ალბ-სენომანი), 6. თხელ და სქელშრეებრივი კუიანი კირქვები (ზედა ცარცი), 7. კირქვები (პალეო-ცენ-ეოცენი), 8. მაიკოპის წყება (ოლიგოცენ-ქვედა მიოცენი), 9. ქვიშაქვები (ჩოკრაკი), 10. მთავარი ცოცხის სიბრტყეები




რიგისა და მსგავსი წარმოშობისაა, როგორც საერთოდ რაჭა-ლეჩხუმის სინკლინიზი არსებული მეორადი ნაოჭები. როგორც ირკვევა, მაიკოპის წყებაში მრავალი მცირე ზომის ნაოჭი შეიმჩნევა, რომელთა წარმოშობა, როგორც ეს ამ

ქრილშიც ჩანს (სურ. 26), მიოცენური ქვიშაქვების პლასტიურ მაკომურ წყებაზე წაცოცებით უნდა აიხსნას. მაგვარი წათრევის ნაოჭები ზემოთ აღინიშნა მურის კლდეკარში, სადაც დანაოჭებას თხელშრეებრივი ზედაცარცული კირქვები განიცდის.

სოფ. სალეთოდიანოს დასავლეთით რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის კირქვიანი წყებები კარგად არის განიშვლებული. სოფ. საკოპალიანოს ჩრდილოეთით, ორპირისლელეში კარგად ჩანს სამხრეთისკენ ძლიერ გადმობრუნებული ზედაცარცული (დაქ. NW 350°, დაქ. კუთხე 35°) და მის ქვეშ ნაკლებად, მაგრამ მაინც ასე გადმობრუნებული (დაქ. NW 350°, დაქ. კუთხე 50—60°) ქვედაცარცული კირქვები. ჩითი უნდა იყოს გამოწვეული აქ ჩრდილო ფრთის კირქვიანი წყების ქვედა ნაწილის ასეთი გადმობრუნება? ეს მოვლენა ნათელი გახდება თუ უფრო დასავლეთით გავიწევთ, სადაც ორპირისლელის მარჯვენა ნაპირზე კარგად ჩანს სინკლინის ჩრდილო ფრთის ცარცული ნალექების მიწყვეტა მიმართებით ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე (სურ. 27). ამრიგად სინკლინის ჩრდილო ფრთის კირქვიანი წყება აქ ბაიოსის პორფირიტული წყებით არის მოკვეთილი. ოდნავ სამხრეთით, ნამუკაშურის დელეში ზედაცარცული კირქვების მხოლოდ ვიწრო ზოლი არის შერჩენილი, რომელიც კარგად ჩანს მდ. ნამუკაშურის მარჯვენა ნაპირზე, იქ სადაც ამ მიმართ საურმე გზა გადაჭვეთს. კიდევ უფრო სამხრეთით, სოფ. ქულბაქთან კარგად მოჩანს მაღალი ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულების სერი, აგებული ყირაზე დამდგარი ქვედაცარცული კირქვებით, აღბ-სენომანური მერგელებით, თიხებით და მცირე სიმძლავრის თხელშრეებრივი ზედაცარცული კირქვებით. მთელი ეს წყება ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მესამეულ ნალექებს აწყდება და ამრიგად აქ NW მიმართების მქონე წყვეტის არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამ რღვევის გასწვრივ რამდენიმე ასეული მეტრით დასავლური ბავე არის აწეული. ეს წყვეტა ასაკობრივად უფრო ძველი უნდა იყოს ვიდრე NO მიმართების მქონე წყვეტა და ამით უნდა აიხსნას მის ჩრდილო ბაგში კირქვების უფრო ძლიერი წაკვეთი ბაიოსის პორფირიტული წყებით, სამხრულ ბაგესთან წედარებით, სადაც როგორც ჩანს, მხოლოდ ნეოკომის მცირე ნაწილია რღვევით გადაფარული.

სოფ. ქულბაქთან, მდ. ჯონოულის ხეობაში, სინკლინის ჩრდილო ფრთის ზემო აღნიშნული კირქვიანი წყება სამხრეთ-დასავლური მიმართულებით სინკლინის სამხრული ფრთის ბარემულ კირქვებს აწყდება და ამრიგად აქედანაც რღვევით არის შემოსაზღვრული (სურ. 27).

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის მოკვეთა დასავლეთიდან ბაიოსის პორფირიტული წყებით. პირველად ბ. მეფერტმა აღნიშნა (1930), მაგრამ ეს ავტორი სოფ. ქულბაქთან ქვედა ცარცის ნაცვლად ზედაცარცულის აღნიშნავდა და ამგვარად მთელი ქვედა ცარცი ბაიოსის „შემოცოცებით“ ჰქონდა გადაფარული. სინამდვილეში ს. ქულბაქთან ეს წყვეტა თითქმის ვერტიკალურ შესხელეტვას წარმოადგენს, ხოლო უფრო ჩრდილოეთით სინკლინის ჩრდილო ფრთის უფრო ძლიერი მოკვეთა და მისი უშეულო მიწყვეტა ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე ასაკობრივად უფრო ძველი გარდიგარდმო რღვევის არსებობით არის გაპირობებული. აღსანიშნავია, რომ აღწერილი უბნის აგებულება დაახლოებით ამგვარადვე აქეს წარმოადგენილი ე. ვახანიას (1955), მაგრამ ეს ავტორი სინკლინის ჩრდილო ფრთის გარდიგარდმო რღვევის უფრო ახალგაზრდად სთვლის. ვიდრე NO მიმართების მქონე შესხელეტვას. მართალია უშეულო საბუთები ამ ორი წყვეტის ასაკობრივი დამოკიდებულებისა ბუნებაში არ ჩანს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მდ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ გარდიგარდმო რღვე-



სურ. 27. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის დასავლური ნაწილის სქემატური გეოლოგიური რუკა. 1. ალუვიური ნალექები, 2. თიხები, თხელშრეებრივი ქვიშაქვები (სარ-მატი), 3. ქვიშაქვები, თიხები, კონგლომერატები (კარაგან-კონკი), 4. ქვიშაქვები, ქვიშიანი თიხები, კონგლომერატები (ჩოკავი), 5. ქვიშაქვები, ქვიშიანი თიხები და მაკობის წყება (ოლიგოცენ-ქვედა მიოცენი), 6. მერგელები, კირქვები, ქვიშიანი და კრისტალური კირქვები (პალეოცენ-ეოცენი), 7. კრისტალური და პელიტომორფული კირქვები, (მასტრიხიტულ-დანიუ-რივი კირქვები (აპტი), 8. შრეებრივი კაუანი პელიტომორფული კირქვები (ტურონულ-კამპანური), 9. მერგელები, თიხები, გლაუკონიტიანი ქვიშაქვების შეაშრეებით (ალბ-სენომანი), 10. თხელშრეებ-რივი კირქვები (აპტი), 11. შრეებრივი კაუანი კირქვები (ბაზარი), 12. ტლანჯურეებრივი გადოლომიტებული კირქვები (ვალანჯინურ-ჰოტრივული), 13. პორფირიტები, ტუფბრექჩიები, ქვიშაქვები და თიხაფიქლები (ბათოსი), 14. კილური ჟელოლება და შრეგაწვრივი ცოცვა, 15. რღვევის ხაზები, 16. მეწყრული ბელტები და ნაზვავები, 17. ტრანსგრესიული წყების ფუძე.


ვის უფრო ძველ ასაკს, სრულიად ბუნებრივი გახდება მისი ჩრდილო, უფრო წინ (ჩრდილოეთიკენ) გაწეული ფრთის მოკვეთა შემდგომი შესხლეტვით.

სოფ. ქულბაქის დასავლეთით, ორგორც აღნიშნული იყო, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინი მაღლაა აზიდული და ამ მიმართულებით ძლიერ ვიწრო წიფლის-კარგის სინკლინის სახით გრძელდება. ამ უკანასკნელის ჩრდილო ფრთა ს. ქულბაქის დასავლეთით, შემოცოცებული ბაიოსის პორფირიტული წყებით არის გადაფარული.

### ორბელ-თაბორის მონაკვეთი (სურ. 27)

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა ორბელ-თაბორის მონაკვეთზე მეორადი ნაოჭებით არის გართულებული, რომლებიც კარგადაა გაშიშვლებული მდ. ლაჯანურის ხეობაში.

მდინარის მარცხენა ნაპირზე (სურ. 21) ბაიოსის პორფირიტულ წყებას, რომლის ზედა ნაწილში აქ თიხაფიქლებისა, და ქვიშაქვების მცირე სიმძლავრის მქონე წყება გამოიყოფა, უშუალოდ მოჰყვება ყირაზე დამდგარი ტლანჯშრებრივი ქვედანეოკომური კირქვები და შემდეგ ბარემული წრეებრივი კაუიანი კირქვები. ამ უკანასკნელთ, ზედა ნაწილში, თავები უკვე სამხრეთისკენ აქვთ გადმოხრილი. მომდევნო აპტური თხელშრეებრივი კირქვები და მერგელები კიდევ უფრო მეტად იხრება სამხრეთისკენ და მათი ზედა ნაწილი 50°-იანი კუთხით ჩრდილოეთისკენ არის დაჭანებული. შემდეგ ალბური მერგელები და თიხები ხეობაში ცუდად არის გაშიშვლებული, მაგრამ უფრო სამხრეთით კარგად ჩანს ჩრდილოეთისკენ დაჭანებული (დაქ. კუთხე 30°—35°) თხელშრეებრივი კირქვები და მერგელები. მძრიგად, აქ ცხადად არის გამოხატული სინკლინური ნაოჭი, რომლის გულში ალბური მერგელები და თიხები გამოდის (სურ. 28). ეს უკანასკნელი,




სურ. 28. მდ. ლაჯანურის მარცხენა ნაპირი, მეორადი სინკლინი რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში (ჩანახატი)

1. აპტური კირქვები და მერგელები, 2. ალბური მერგელები და თიხები

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უშუალოდ ხეობაში ცუდადაა გაშიშვლებული, მაგრამ კარგად ჩანს უფრო ზევით, ლაჯანურის მარცხენა ფერდზე, ლეშაშის ციხესიან და აღმოსავლური მიმართულებით საკმაოდ შორსაც გაიღევნება.

აღნიშნული სინკლინის სამხრეულ ფრთაში, უფრო სამხრეთით, რამდენიმე მცირე ნაოჭი შეიმჩნევა, ხოლო იქ, სადაც მდ. ლაჯანურს ლაღმაურის ლელე ერთვის, მეაფიოდ არის გამოხატული ანტიკლინი, რომლის ფრთები აგებულია აპტური თხელშრეებრივი კირქვებით, მის გულში კი ბარემული კირქვები გამო-

დის, რომლებიც განსაკუთრებით კარგადაა გაშიშვლებული ლაღმაურის ლელე-ში. ამ ანტიკლინს სამხრეთით მოჰყვება ძლიერ დაკეცილი სინკლინი, რომლის




სურ. 29. ჭრილი მდ. ლაჯანურის მარცხნა ნაპირის გასწვრივ

1. ბაიოსის თიხაფიქლები და ქვიშაქვები, 2. ტლანქურებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედა ნეოკომი), 3. ზრებრივი კირქვები (ბარემი), 4. თხელშრებრივი კირქვები და მერგელები (აპტი), 5. მერგელები და თიხები (ალბი), 6. ქვიშიანი კირქვები (შუა ეოცენი), 7. მაიკოპის წყვება, 8. თხელშრებრივი ქვიშაქვები (ჩორაკი), 9. შესხლეტვა 10. ნაყარი

გულში ალბური მერგელებისა და თიხების მცირე ნაფლეთი არის შერჩენილი, და პატარა ანტიკლინი, აგრეთვე ძლიერ შეკუმშული და იზოკლინური (სურ. 30).

ანტიკლინის ყირჩხე დამდგარ სამხრულ ფრთაში, იქ, საღაც ორბელჭესის დახურული არხიდან მდ. ლაჯანურში წყალი არის გადმოგდებული, კარგად ჩანს შესხლეტვა, რომლის სამხრული ბაგე რამდენიმე მეტრით მაღლა არის აწეული.



სურ. 30. მეორადი ნაოჭები მდ. ლაჯანურის მარცხენა ნაპირზე (ჩანაბატი).

1. აპტური კირქვები, 2. ალბური მერგელები და თიხები



აღწერილი ნაოჭები კარგად ჩანს აგრეთვე უფრო ზემოთ, მდ. ლაჯანურის მარცხენა ფერდზე, სოფ. ლაჯანიდან ლეშაშის ციხისკენ მიმავალი გზის პა-

ჩას. მაგრამ აქ ძირითადად ერთი ანტიკლინია მკაფიოდ გამოხატული, რომელიც ლაღმაურის ხეობაში განვითარებული ანტიკლინის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო მის სამხრულ ფრთაში აღწერილი უფრო მცირე ზომის ნაოჭები აქ შედარებით სუსტად არის გამოხატული და, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით (აღმოსავლეთისკენ) თანდათან ქრება.

აღნიშნული მეორადი ნაოჭები რაჭა-ლეჩენის სინკლინის ჩრდილო ფრთაში კარგად ჩანს მდ. ლაჭანურის მარჯვენა ნაპირზე. მაგრამ დასავლური შიმართულებით ეს ნაოჭები საქმით სწრაფად იძირება და ამიტომ მდინარის მარჯვენა ნაპირზე ალბ-სენომანური წყების თავზე ზედაცარცული და ნაწილობრივ პალეოგენური კირქვებიც არის შეტენილი. ამ ნაპირზე კარგად ჩანს ცარცული ნალექების ვერტიკალური კონტაქტი ბაიოსის თიხაფიქლებთან და ქვიშაქვებთან. ეს უკანასკნელი დაქანებულია: NO 40-50°, დაჭ. კუთხე 45-50°. უფრო სამხრეთით, აპტურ, ალბ-სენომანურ და ზედაცარცულ წყებებში, შეიმჩნევა მკაფიოდ გამოხატული ნაოჭები (სურ. 31).

სურ. 31. ჭრილი მდ. ლაჭანურის ნაპირის გასწერილი.

1. ბაიოსის თიხაფიქლები და ქვიშაქვები, 2. ტლანქშრეებრივი გადაღლამიტებული კირქვები (ქვედა ნეოკომი), 3. შრეებრივი კირქვები (ბარემი), 4. თხელშრეებრივი კირქვები (ზედა ცარცი), 5. მერგელები და თიხები (ალბ-სენომანი), 6. თხელ-შრეებრივი კარანი კირქვები (ზედა ცარცი), 7. ჭრილური კირქვები (ვალეოცენ-ქვედაცენი), 8. ქვიშიანი კირქვები (შეუცვენი), 9. ბაიოპის წყება, 10. თხელშრეებრივი ქვიშაქვები (ჩოკრაკი)




სურ. 32. მდ. ლაჭანურის მარჯვენა ნაპირი, დაწვრილნაოჭებული ალბ-სენომანური და ზედაცარცული ნალექები (ჩანახატი)

1. აპტური კირქვები, 2. ალბური თიხები და მერგელები, 3. ტურონულ-კონიაკური თხელშრეებრივი კირქვები

ალბ-სენომანური პლასტიური წყება ძლიერ არის გამოწმერილი ქვედა და ზედა ცარცი შეუცვენის ფრთხებზე და დაწვრილნაოჭებულია. ზედაცარცული თხელშრეებრივი კირქვებიც ძლიერ არის აშმუშვნილი და დამოუკიდებლად დაწვრილნაოჭებული (სურ. 32).

ისევე როგორც მდ. ლაჯანურის მარცხენა ნაპირზე, აქაც ძირითადად ორი მთავარი ნაოჭი გამოიყოფა (სურ. 32): ჩრდილოეთით სინკლინი და სამხრეთით ანტიკლინი, რომლის სამხრელ ფრთაში, მარცხენა ნაპირის მსგავსად, დამატებითი შედარებით მცირე ზომის სინკლინი და ანტიკლინი გამოიყოფა. ეს უკანასკნელი კარგად არის გამოხატული ზედაცარცულ კირქვებში და სამხრეთისკენ არის გადახრილი (სურ. 33).

მდ. ლაჯანურის დასავლეთით რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის მეორადი ნაოჭების ზოლი პერიკლინურად ბოლოვდება, სწრაფად იძირება მესამეული ნალექების ქვეშ და ქრება. აღმოსავლური მიმართულებით კი თანდა-




სურ. 33. მდ. ლაჯანურის მარჯვენა ნაპირი სოფ. ორბელთან. მეორადი ანტიკლინი წალბ-სენომანურ მერგელებში, თიხებსა და ზედაცარცულ თხელ-შრებრივ კირქვებში

თან აზევებას განიცდის და სოფ. ლაილაშის მიღამოებში ძლიერ მაღლა არის აწეული (სურ. 34).

როგორც მოცემულ სქემაზეც ჩანს, ამ ზოლის დასავლეთისკენ დაძირვის კუთხე 25-30° აღწევს. როგორც ჩანს, ამით უნდა აიხსნას დასავლურ ნაწილში (მდ. ლაჯანურის დასავლეთით) ამ ზოლის ასეთი უეცარი ფლექსურისებური გა-

სურ. 34. ჭრილი მდ. ლაჯანურის მეორადი სინკლინის გასწორივ (დაძირვის სქემა)



1. ბაიოსის თიხაფიქლები, ქვიშა-ქვები და პორფირიტები, 2. ქვედანეოკამური კირქვები, 3. ბარემული კირქვები, 4. აპტური კირქვები, 5. ალბ-სენომანური თიხები და მერგელები, 6. ზედაცარცულ კირქვები, 7. ბალეოცენურ-ქვედაეოცენური კირქვები, 8. შუალეოცენური ქვიშიანი კირქვები, 9. ზედაეოცენური მერგელები, 10. მაიკოპის ჭყება


ღუნვა და გარდა ამისა აქვე, მდ. ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე, ზედაცარცული კირქვების ძლიერი აშმუშენა და მათში დანაოჭებული ზოლის მიმართ გარდიგარდმო მიმართულების მქონე მიკრონაოჭების გაჩენა. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით კარგად ჩანს ორბელიდან ცაგერში მიმავალი გზის პირას.

სოფ. ლაილაშის აღმოსავლეთით, ძლიერი აზევების გამო, ცარცული წყება გადარეცხილია და აქ ბაიოსის თიხაფიქლები და ქვიშაქვები შიშვლდება, რომლებიც, ისევე როგორც მათხე განლაგებული ცარცული კირქვები, ზოგადად დასავლეთისკენაა დახრილი და მათთვი ასევე კარგად ჩანს მეორადი სინკლინი (ჩრდილო ფრთის დაქ. S 180°, დაქ. კუთხე 45°, სამხრული ფრთის დაქ. NO40°, დაქ. კუთხე 35°) და უფრო სამხრეთით კი, ძლიერ შეკუმშული და სამხრეთისკენ გადმობრუნებული ანტიკლინი (სურ. 35).

ამ ანტიკლინის სამხრულ ფრთაში ქვედანეოკომური კირქვების, ბაიოსის თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების შეხება უდავოდ ტექტონიკურია: შეხების ზოლში კარგად ჩანს 1,5-2 მ სიმძლავრის ძლიერ მილონიტიზირებული და დამსხვერეული ქვიშაქვების შერე. კირქვები სამხრეთისკენაა გადმობრუნებული (სურ. 35). ამ ზოლის დასავლურ გაგრძელებაზე, ლაგანურის ანტიკლინის თაღურ ნა-

სურ. 35. ჭრილი სოფ. ლაილაშის აღმოსავლეთით.


1. ბაიოსის თიხაფიქლები და ქვიშაქვები, 2. ტლანქშრებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედა ნეოკომი), 3. შრეებრივი კირქვები (ბარემი), 4. თხელშრეებრივი კირქვები (აპტი), 5. მერგელები და თიხები (ალბ-სენომანი), 6. თხელშრეებრივი კაუნანი კირქვები (ზედა ცარცი), 7. ბალეოცენ-ქვედა ეოცენი, 8. შუა ეოცენი, 9. ზედა ეოცენი, 10. მაიკოსის წყება, 11. ჩრდილო კარაგანი, 12. კარაგანი, 13. დელუგიონი, 14. კიდური ზეცოცება, 15. ლაილაშის მეჭყრული ბელტი



წილში კირქვები ძლიერ აშმუშვნილი და დამსხვრეულია, რაც, როგორც ჩანს, იმაზე მიგვითოებს, რომ აქ ანტიკლინი თაღში გაწყვეტილია. მსგავსი მოვლენა კარგად ჩანს მდ. ლაგანურის ხეობაშიც, სადაც ამავე მოძრაობის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს მდინარის მარცხენა ნაპირზე აღნიშნული (სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართული) შესხელება (სურ. 29, 30).

სურ. 36. ჭრილი ლაილაშთან.

1. ბაიოსის თიხაფიქლები და ქვიშაქვები, 2. ტლანქშრებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედა-ნეოკომი), 3. შრეებრივი კირქვები (ბარემი), 4. თხელშრეებრივი კირქვები (აპტი), 5. მერგელები და თიხები (ალბ-სენომანი), 6. მაიკოსის წყება, 7. ქვიშაქვები (ჩრდილო), 8. თხელშრეებრივი ქვიშაქვები (კარაგანი), 9. შესლეტება



რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის მეორადი ნაოჭების აღწერილი ზოლი სოფელ თაბორთან გარდიგარდმო წყვეტით არის მოკვეთილი, რომელსაც უფრო დეტალურად ქვემოთ შევეხებით.

ამრიგად, სოფ. ორბელსა და სოფ. თაბორს შუა, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში კარგად ჩანს მეორადი ნაოჭები გამოსახული ბაიოსურ, ცარცულ და მესამეულ ნალექებში (ზედაცარცული და მესამეული ნალექები მხოლოდ ამ ნაოჭების დასავლურ, დაძირულ ნაწილშია ზერჩენილი). აღნიშნული

ნაოჭები აღმოსავლეთისკენ მაღლაა აზიდული და სამხრეთისკენ გაღმობრუნებას განიცდის. ამავე დროს მეორადი ანტიკლინი თაღურ ნაწილში გაწყვეტილია და მისი სამხრული ფრთა ჩრდილოშე არის წაცოცებული. ეს წაცოცება ყველაზე მკაფიოდ ეროზიით მოქვეთილ აღმოსავლურ ნაწილში არის გამოხატული, სა-დაც ის ტიპურ კიდურ შეცოცებას წარმოადგენს. ამრიგად, აქ გვაქვს ერო-ზიული შეცოცება ცარცული წყებისა ბაიოსის თიხაფიქლებზე და ქვიშაქვებზე, რომელიც დასავლეთით, მეორადი ანტიკლინის თაღში, სადაც ეროზია ბაიოსურ წყებამდე ვერ აღწევს, გამკვეთი ხდება და შესხელებული გადადის (სურ. 27).

აღწერილ რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის მეორადი ნაოჭების ზოლს სამხრეთით საკუთრივ რაჭა-ლეჩებუმის სინკლინი მოჰყვება, რომლის გულწი გამოდის ჩიკ-რაკული და კარაგანული სქელ და თხელშრებრივი ქვიშაქვები. ეს ნალექები სინკლინის ჩრდილო ფრთაში, ისევე როგორც კირქვიანი წყებები, სამხრეთისკე-ნაა გაღმობრუნებული, ხოლო სამხრულ ფრთაში კი, ნორმალურად ჩრდილო-ეთისკენ დაქანებული (დაქ. NO°, დაქ. კუთხე 50-55°). სოფ. ლაილაშთან და უფრო აღმოსავლეთით სინკლინის აღნიშნულ ნალექებზე ქვედაცარცული კირ-ქვების უზარმაზარი ბელტი დევს (სურ. 27 და 35), რომლის ზედაპირი პლატო-სებურია და დაახლოებით 2,5-3 კმ<sup>2</sup> ფართობი უჭირავს. სამხრულ კიდეზე, მდ. ხელეშურის მარჯვენა ნაპირზე, ეს ბელტი 175-180 მეტრის სიმაღლის ქარაფს ჰქმნის, რომელზეც სოფელ ლაილაშისკენ მიმავალი გზა მიემართება. აქ, ამ გზის გასწვრივ კარგად ჩანს როგორ უშუალოდ დევს ეს ბელტი რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის სამხრული ფრთის კარაგანულ ნალექებზე, რომელთა დაქანებაა NO 30°, დაქ. კუთხე 40°.

ლაილაშის ბელტი ძირითადად ქვედანეკუმური და ბარემული კირქვებით არის აგებული, მაგრამ ს. ლაილაშისკენ მიმავალ გზის გასწვრივ ბელტის ქვედა ნაწილში კარგად ჩანს ძლიერ აშმუშნილი და ზოგადად ჩრდილოეთისკენ დაქა-ნებული (დაქ. კუთხე 30°-40°) თხელშრებრივი მერგელოვანი კირქვები აპტური ფართით. ამრიგად ქვედაცარცული ნალექები აქ გადაყირავებულ მდგომარეობა-შია განლაგებული. აღსანიშნავია რომ ცარცული ნალექების ქვეშ აქა იქ კარ-გად ჩანს ძლიერ ჟეცემენტებული ძველი დელუვიონი.

როგორც ზემოთ მოყვანილი ლაილაშის მიღამოების ჭრილიდან ჩანს (სურ. 35) ლაილაშის გადაყირავებული ქვედაცარცული ბელტი. მის ჩრდილოეთით მაღლა აზიდულ და ასევე სამხრეთისკენ გაღმობრუნებულ ლაჯანურის მეორადი ანტიკლინის სამხრული ფრთის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს და უდავოდ მისგან არის მოწყვეტილი და სამხრეთისკენ დაცოცებული. ამრიგად ლაილაშის ბელტის წარმოშობა, ლაჯანურის ანტიკლინის ძლიერ აზევებულ და ამავე დროს ეროზიით წავეთილ ნაწილში, მისი სამხრული ფრთის წაცოცებით (კიდური წეცოცებით) და სამხრეთისკენ გადმობრუნებით უნდა აიხსნას. ვინაიდან სინ-კლინის გულის ჩბილი (ფხვიერი) მესამეული ნალექები სინკლინის ჩრდილო ფრთის კირქვიან წყებებთან ჟედარებით უფრო სწრაფად ირეცხებოდა, გადმო-ბრუნებისას, ამ უკანასკნელთ თანდათან საყრდენი ეცლებოდა, რამაც საბოლო-ოდ მათი ფრონტალური ნაწილის მოწყვეტა და მეშვეობული დაცოცება გამოი-წვაო.

ლაილაშის პლატოს მეწყრული ბუნება პირველად ა. ჯანელიძემ აღნიშნა (1934). წინააღმდეგ ბ. მეფერტისა, რომელიც ამ ნაწილში ე. წ. „ლეჩებუმის სამხრული შეცოცების“ გასწვრივ შარირებულ სინკლინის წარმოიდგენდა, ა. ჯანელიძემ დასაბუთა, რომ ეს ბელტი რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის სამხრეთის-კენ გადაბრუნებული ჩრდილო ფრთიდან არის მოწყვეტილი და დაცოცებული მესამეული ნალექების ეროზიული ზედაპირის გასწვრივ.

ალსანიშნავია, რომ ბ. მეფერტმა სწორად შენიშნა მეორადი სინკლინი მდ. ლაჭანურის ხეობაში, მაგრამ, ეყრდნობოდა რა მცდარ მოსაზრებებს რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ტექტონიკური აგებულების შესახებ, ის სთვლიდა, რომ ეს სინკლინი სამხრეთით „ლეჩეუმის სამხრული შეცოცების“ არსებობის გამო მთლიანად ფარავს რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთას და უშუალოდ ამ სინკლინის გულის მესამეულ ნალექებზე არის განლაგებული.


რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის მეორადი ნაოჭები მდ. ლაჭანურის ხეობაში შემდგომ პ. გამყრელიძემ (1946), ე. გახანიამ (1948), რ. ლექვინაძემ და ვ. ედილაშვილმა (1955, 1959) აღნიშნეს. ვ. ედილაშვილი ამ ნაოჭებს საკმაოდ დეტალურად ახასიათებს (1955, 1959), ამავე დროს ეს აგტორი ამ ნაოჭების ბაიოსის პორფირიტული წყების მიმართ მთელი ფუძის გასწვრივ ჩრდილოეთისკენ წაცოცებას — კიდურ შეცოცებას აღნიშნავს. მაგრამ როგორც ზრომის სტრატიგრაფიულ ნაწილშია აღნიშნული (იხ. ზემოთ პალეოგენური ნალექები) ეს ნაოჭები რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში ჯერ კიდევ შუა ეოცენის წინ ჩაისახა (ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მეორად სინკლინში ზედა ცარცი და პალეოგენი სრულია, ხოლო ანტიკლინის თაღში და სამხრულ ფრთაში ტურონულ-კანიაკურ ნალექებზე უშუალოდ შუა ეოცენი არის განლაგებული). ამასთან, როგორც ამას ვ. ედილაშვილიც აღნიშნავს (1959), ეს ნაოჭები კარგად არის გამოხატული ბაიოსის თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების წყებაში. რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ეროზიის შემდგომი შეკუმშვისას ეს ნაოჭები სინკლინის ჩრდილო ფრთაში უკვე არსებობს. ამავე დროს ვინაიდან ცარცოან ერთად აქ ბაიოსიც არის დანაოჭებული, ძნელი წარმოსადგენია ცარცული წყების ცოცვა (მთელი ფუძის გასწვრივ) ბაიოსური წყების მიმართ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, აქ, ამ ნაოჭების აღმოსავლურ ეროზით მოკვეთილ ნაწილში, შეცოცება ხდება მეორადი ანტიკლინის სამხრულ ფრთაში (სურ. 35), ხოლო უფრო დასავლეთით, იქ სადაც ეროზია ბაიოსურ წყებამდე ვერ აღწევს, ის გამკვეთი ხდება და შესხელებაში გადადის (სურ. 36).

აღწერილი უბნის აღმოსავლეთით რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა კარგად არის გაშიშვლებული სოფ. თაბორთან, მდ. საწისქვილელელში. აქ სინკლინის ჩრდილო ფრთაში ზემოთ აღწერილი მეორადი ნაოჭები არ შეიძლება: ისინი ამ მიმართულებით, ძლიერი აზევების გამო, ეროზითაა მოხსნილი. აქ ჩრდილო ფრთის კირქვიანი წყების ზედა ნაწილი ძლიერ არის სამხრეთისკენ გაღმობრუნებული, დაქ. NO  $30^{\circ}$ , დაქ. კუთხე  $40^{\circ}$  (სურ. 37). ასევეა გაღმობრუნებული მასთან უშუალო შეხებაში მყოფი ჩოკრაკული ქვიშაქვების ქვედა ნაწილი, მაგრამ ოდნავ სამხრეთით ჩოკრაკი უკვე ნორმალურად სამხრეთისკენ არის დაქანებული.

უფრო აღმოსავლეთით, მდ. საწისქვილელელის მარცხნა ფერდზე, სოფ. თაბორის ჩრდილოეთით, სინკლინის ჩრდილო ფრთის ქვედაცარცული ნალექები მიმართებით ბაიოსის პორფირიტულ წყებას აწყდება და აქ გარდიგარდომ მიმართების მქონე რღვევის არსებობა ეჭვს არ იწვევს (სურ. 37). ეს რღვევა განსაკუთრებით კარგად ჩანს მდ. საწისქვილელელის მარცხნა ფერდზე, აღმოსავლეთისკენ მიმავალ საურმე გზის გასწვრივ. აქ განედური მიმართების მქონე მაღალი სერის დასავლურ ნაწილს ქვედანეოკომური კირქვები იგებს, ხოლო აღმოსავლურს კი—ბაიოსის პორფირიტული წყების ქანები. ამ სერის სამხრეთით, როგორც ჩანს, რბილი ქანები გამოდის და აქ პატარა ტაფობი არის შექმნილი, რომელიც მთლიანად დაფარულია ჩრდილოეთიდან ჩამომეტყრილი ბაიოსის მასალით და აგრეთვე კირქვის ნაყარით. ამიტომ ამ ნაწილის აგებულებაზე გარ-

კვევით არაფრის თქმა არ შეიძლება. შესაძლებელია აქ ნაყარით სინკლინის ჩრდილო ფრთის კირქვიანი წყებები იყოს დაფარული, თუმცა ოდნავ დასავლეთით, სოფ. თაბორთან, მათი ზედა ნაშილი ჩრდილო ჩრდილო არის გადარეცხილი




სურ. 37. ჭრილი ს. თაბორის დასავლეთით მდ. საწისჟევილებულის მარჯვენა ფერდის გასწვრივ.  
1. ბაიოსის თიხაფიქლები და ქვიშაქვები, 2. ტლანქშრებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედა ნეოკომი), 3. შრეებრივი კირქვები (ბარემი), 4. თხელშრებრივი კირქვები (აპტი), 5. თიხები და მერგელები (ალბ-სენომანი), 6. თხელშრებრივი კაჟიანი კირქვები (ზედა ცარცი), 7. ქვიშიანი კირქვები (შუა ეოცენი), 8. ზედა ეოცენი, 9. მაიოპის წყება, 10. თხელშრებრივი ქვიშაქვები (ჩოკრაკი), 11. თხელშრებრივი ქვიშაქვები (კარაგანი). 12. მთავარი ცოცვის სიბრტყეები, 13. ლაილაშის მეწყრის ფუძე

და ამრიგად არც ის არის გამორიცხული, რომ აქ ბაიოსის პორფირიტულ წყებას უშუალოდ ჩრდილო ეხებოდეს. მით უმეტეს, რომ ოდნავ სამხრეთით, ს. თაბორიდან ს. გენდურისკენ მიმავალ გზაზე, უკვე სამხრეთისკენ ნორმალურად დაქანებული (დაქ. SO 190°, დაქ. კუთხე 15°) ჩრდილო ქვიშაქვები შიშვლდება.

### თაბორ-ტოლის მონაკვეთი (იხ. სურ. 42)

ამ მონაკვეთზე რაჭი-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა კარგად არის გაშევლებული მდ. ასკისწყლის ხეობაში. მდ. ასკისწყალი გარდიგარდმო მიმარ-



სურ. 38. ჭრილი მდ. ასკისწყლის მარცხნა ნაპირის გასწვრივ.  
1. ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. ფერადი წყება (თიხები თაბაშირის და კირქვის შუაშრებით), 3. ტლანქშრებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედა ნეოკომი), 4. შრეებრივი კირქვები (ბარემი), 5. თხელშრებრივი კირქვები მერგელის შუაშრებით (აპტი), 6. მერგელები და თიხები (ალბ-სენომანი), 7. თხელშრებრივი კაჟიანი კირქვები (ზედა ცარცი), 8. პალეოგენური კირქვები, 9. მაიოპის წყება, 10. თხელშრებრივი ქვიშაქვები და თიხები (მიოცენი), 11. კიდური შეცოცება


თულებით ჰევეთს სინკლინის ჩრდილო ფრთის ნალექებს და ორივე ნაპირზე თითქმის უწყვეტ გაშიშვლებებს ჰქმნის. განსაკუთრებით მკაფიო სურათია მდინარის მარცხენა ნაპირზე (სურ. 38). აქ ბაიოსის პორფირიტულ წყებას, რომლის ზედაპირი 65°-იანი კუთხით სამხრეთისკენ არის დაქანებული, ქვედანეოკო-მური კირქვები ეხება. ამავე ფერდზე, პიტკომეტრიულად უფრო ქვევით, ქვედა-ნეოკომურ კირქვებსა და ბაიოსის პორფირიტებს შუა, კარგად ჩანს ძლიერ აშ-შეშვინილი და სხლეტვის სიბრტყებით დასერილი ფერადი წყება. კარგად ჩანს, რომ ფერადი წყების სიმძლავრე პიტკომეტრიულად უფრო დაბლა თანდათან მატულობს, ხოლო ზევით კი ეს წყება ისოლება. ძლიერ აშშუცნილი და მეორა-დად დაწვრილნაოჭებულია ქვედაცარცული კირქვებიც. ეს მიკრონაოჭები ქვედა-ნეოკომურ კირქვებში კარგად ჩანს სოფ. ტოლიდან მდ. ასკისწყლის სათავისა-კენ მიმავალ საურმე გზის გასწვრივ, მათი ბაიოსთან კონტაქტის ახლოს.

ბარემული კირქვები აქ სამხრეთისკენაა გადმობრუნებული, ხოლო უფრო სამხრეთით თითქმის ჰორიზონტულად არის განლაგებული და გაშლილ სინკლინის ჰქმნის, შემდეგ კი, მკაფიოდ გამოხატულ ანტიკლინს, რომლის სამხრულ ფრთა-ში ეს კირქვები ყირაზე დგას. სინკლინის გულში კარგად ჩანს ძლიერ დაკეცილი და დაწოლილი მეორადი ნაოჭები, გამოხატული აპტური თხელშრეებრივ მერგე-ლოვან კირქვებში. ანტიკლინის სამხრული ფრთის ყირაზე დამდგარ ბარემულ კირქვებს სამხრეთით აპტური, ალბ-სენომანური და ზედაცარცული წყებები მო-ჰყვება. სოფ. ტოლის ჩრდილოეთით ეს წყებები კარგად არის გაშიშვლებული, სადაც კარგად ჩანს ჩრდილოეთისკენ დაქანებული აპტური თხელშრეებრივი კირქვები (დაქ. NO 10°, დაქ. კუთხე 40°), რომელთაც ქვეშ უდევს ალბ-სენომა-ნური თიხები, მერგელები და გლაუკონიტიანი ქვიშაქვები, ტურონულ-კონიაჟუ-რი თხელშრეებრივი კაჟიანი კირქვები და მცირე სიმძლავრის შუალეოცენური ქვიშიანი კირქვების დასტა. ალსანიშნავია, რომ ამ ნაწილში, ჩვეულებრივთან შედარებით, გაზრდილია ალბ-სენომანური მერგელების, თიხებისა და აპტური თხელშრეებრივი მერგელოვანი კირქვების სიმძლავრე (ალბ-სენომანის სიმძლავ-რე 70 მეტრამდე აღწევს, ხოლო აპტისა კი—60 მეტრამდე). მთელი ეს სამხ-რეთისკენ ძლიერ გადმობრუნებული წყება (ეოცენში დაქ. კუთხე 15° არ აღ-მატება) საქმაოდ მოზრდილ შვერილს ჰქმნის და სამხრეთით ფარავს მის ქვეშ გაშიშვლებულ მაიკოპის წყებას, რომელიც, თავის მხრივ, აგრეთვე სამხრეთის-კენ არის გადმობრუნებული და სოფ. ტოლასთან უშუალოდ ედება ყირაზე დამ-დგარ შუალეოცენურ ქვიშაქვებს (სურ. 38). უფრო სამხრეთით, მდ. ასკისწყლის ხეობაში, სოფ. ჭრებალოსთან კარგად არის გაშიშვლებული რაჭა-ლეჩხუმის სინ-კლინის სამხრული ფრთის მიოცენური ნალექები, დაქანებული NO 30°, დაქ. კუთხე 40°.


დაახლოებით ასეთივე სურათი ჩანს მდ. ასკისწყლის მარჯვენა ნაპირზეც, სადაც მდინარის პატარა მარჯვენა შენაედში კარგად არის გაშიშვლებული სინ-კლინის ჩრდილო ფრთის ზემოთ ალნიშნული მეორადი ანტიკლინი, რომლის გულში ქვედა ნეოკომური კირქვები გამოდის (სურ. 39). მდინარის ამ ნაპირ-ზე, ჩრდილოეთით, კარგად ჩანს, აგრეთვე, ციცაბოდ დაქანებული ბაიოსის პორ-ფირიტული წყების ზედაპირი და სამხრეთით კი მეორადი სინკლინი. ალსანიშ-ნავია, რომ მდინარის ამ ნაპირზე, უფრო ჩრდილოეთით, ბაიოსის მასიურ ტუფ-ბრექჩიებს შორის შეიმჩნევა ტუფქვიშაქვის დასტებიც, რომელთა მიხედვით ბაიოსური წყება ამ ნაწილში 30°-იანი კუთხით ჩრდილოეთისკენ არის დაქანებუ-ლი (დაქ. NO 15°, დაქ. კუთხე 25-30°).

აღწერილი მეორადი ნაოჭები კარგად გაიკვლევა მდ. ასკისწყლის აღმრავ-ლეთით და დასავლეთით. დასავლეთისკენ ეს ნაოჭები თანდათან სუსტდება და

იძირება, მაგრამ ამ ზოლის უშუალო გაგრძელებაზე სოფ. გენდუშთან კარგად ჩანს შემდეგი სურათი: აქ რაჭა-ლეჩხუმის სინკლინ მცირე გარდიგარდმთ აზე-ვებას განიცდის და ამიტომ ამ ნაწილში მაკოპის წყების საქმაოდ ფართო გამოსავალი შეიმჩნევა (სურ. 42). ამ ერთგვაროვან თიხიან წყებაში ძნე-ლია ნაოჭების გაკვლევა, მაგრამ ოდნავ დასავლეთით კარგად ჩანს განე-დური მიმართების მქონე ანტიკლინი და სინკლინი მკაფიოდ გამოხატული ოლი-გოცეულ და ჩოკრაცულ ნალექებში (სურ. 40), აღნიშნული ანტიკლინის თაღ-ში, სოფ. გენდუშთან, ტეშენიტის დაიყი არის შემოჭრილი (იხ. ზემოთ).



დასავლეური მიმართულებით ეს ნაოჭები თანდათან იძირება და რაჭა-ლეჩ-ხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში ქრება.



იკოპის წყება, 10. თხელშრეებრივი ქვიშაქვები (ჩოკრაკი), 11. კიდური შეცოცება

მდ. ასკისწყლის აღმოსავლეთით აღწერილი ნაოჭები კარგად ჩანს აღბ-სენომანურ და ზედაცარცულ ნალექებში (სურ. 42). აქ სოფ. ტოლიდან ჩრდი-ლოეთისაკენ მიმავალი საურმე გზა ჰქვეთს ჯერ სამხრეთისეკენ გად-მობრუხებულ ანტიკლინს, რომლის გულში აპტური თხელშრეებრივი კირქვები, ხოლო ორივე ფრთაში აღბ-სენომანური თიხები, მერგელე-ბი და გლაუკონიტიანი ქვიშაქვები გამოდის. უფრო ჩრდილოეთით კი, კარგად ჩანს როგორ უხვევს აღბ-სენომანური მერგელების და თიხების გამოსავალი აღმოსავლეთისაკენ და გარს უვლის აქ შექმნილ ფართო სინკლინის გულში გა-შიშვლებულ ზედაცარცულ თხელშრეებრივ კირქვებს. სინკლინის ჩრდილო ფრთა აქ, ისევე როგორც მდ. ასკისწყლის მარცხენა ნაპირზე (სურ. 38), სამხრე-თისკენ არის გადმობრუნებული და დაქანებულია NO 15°, დაქ. კუთხე 50°. სოფ. ტოლა მეორესთან ამ სინკლინის გულში შუალენური ქვიშიანი კირქვე-

სურ. 39. ჭრილი მდ. ასკის-წყლის მარჯვენა ნაპირის გასწვ-რივ.

1. ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. ფერადი წყება, 3. ტლანქ-შრეებრივი გადოლომიტებული კირქვები (ქვედანეკომი), 4. შრე-ებრივი კირქვები (ბარემი), 5. თხელშრეებრივი კირქვები (აპტი) 6. თიხები და მერგელები (აღბ-სენომანი), მაკოპის წყება, 8. თხელშრეებრივი ქვიშაქვები (ჩო-კრაკი), 9. კიდური შეცოცება

სურ. 40. ჭრილი სოფ. გენდუშთან, ასკისწყლის მეორადი ნაოჭების დასავ-ლეურ ნაწილში.

1. ბაიოსის პორფირი-ტული წყება, 2. ფერადი წყება, 3. ტლანქ-შრეებრივი გადოლომიტებული კირ-ქვები (ქვედა ნეკომი), 4. შრეებრივი კირქვები (ბა-რემი), 5. თხელშრეებრივი კირქვები (აპტი), 6. მერგე-ლები და თიხები (აღბ-სე-ნომანი), 7. ზედა ცარცი, 8. პალეოცენ-ეოცენი, 9. მა-


ბი გამოდის. ამავე დროს აქ კარგად ჩანს, რომ აღნიშნული ნაოჭები (ანტიკლინი და სინკლინი) მკვეთრად იძირება აღმოსავლეთისკენ და უფრო აღმოსავლეთით სარმატულ ნალექებში სუსტად არის გამოხატული.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, თაბორ-ტოლის მონაცემთშე რაჭა-ლეჩუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ცარცულ და მესამეულ ნალექებში კარგად ჩანს მეორადი ნაოჭები. ამავე დროს, როგორც ზემოთ იყო ნახვენები, ეს ნაოჭები არ შეიმჩნევა ბაიოსის პორფირიტულ წყებაში, რომელიც აქ ჩრდილოეთისკენ არის დაქანებული (ცარცული ნალექები კი შეხების ზოლში სამხრეთისკენაა დაქანებული). თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე იმას, რომ ქვედანეოკომური კირქვები უწუალოდ აწყდება ბაიოსის პორფირიტული წყების სამხრეთისკენ დაქნებულ ძეველ ერთზოულ ზედაპირს და, ამავე დროს, შეხების ზოლში კირქვები ძლიერ აშმუშნილია და მათში უდავოდ წათრევის მიკრონაოჭები არის გაჩენილი, გასაგები გახდება, რომ რაჭა-ლეჩუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ამ ნაწილში ცარცულ და მესამეულ წყებებში მეორადი ნაოჭების გაჩენა მათი ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე წაცოცებით უნდა აიხსნას. სინკლინის შეკუმშვის დროს, რომლის ჩრდილო ფრთაში აქაც, ისევე როგორც მის სხვა ნაწილებში, ცარცული და მესამეული შრეები ეროზით მოკვეთილია, ისინი მიცოდავენ ჩრდილოეთისკენ შედარებით დამრეც ბაიოსის პორფირიტუ-

სურ. 41. სქემატური ჭრილი

მდ. ასკისწყლის მარცხენა ნაპირის  
გასწრივ ტოლის ღელესთან.

1. თხელურებრივი კაუიანი  
კირქვები (ხედა ცარცი), 2. ქვი-  
შიანი კირქვები (შუა ეოცენი), 3.  
მაიკობის წყება, 4. თხელურე-  
ბრივი ქვიშაქვები (ჩოკრაკი)




ლი წყების ზედაპირზე. ამ ნაწილში ეს პროცესი შედარებით გაადვილებულია შათ საგებში პლასტიური ფერადი წყების არსებობის გამო, რომელიც ცოცვისას ერთგვარი „საცხის“ როლს ასრულებს. უდავოა, რომ არსებული ხელუნის და აგრეთვე თვით მოცავი წყების სიმძიმის ძალა აფერხებს, ხელს უშლის ჩრდილოეთისკენ წაცოცებას და ამ წყებების შენაოჭებასა და აღწერილი მეორადი ნაოჭების გაჩენას იწვევს. ამავე დროს, ვინაიდან შედარებით პლასტიური აპტური და ალბ-სენომანური წყებები, შენაოჭებისას, მეორადი ანტიკლინის თაღში გამოშერვას და გასქელებას განიცდის, ისინი სამხრეთისკენ იწყებენ გაღმოხრას და ანტიკლინის სამხრულ ფრთაში დამატებითი უჯუნაოჭი ჩნდება (სურ. 38). ეს ნაოჭი შემდეგ კიდევ უფრო ვითარდება გრავიტაციული ძალების არსებობის გამო, რასაც, როგორც ჩანს, სამხრეთით უფრო ფხვიერი მიოცენური ნალექების უფრო სწრაფი ეროზია უწყობს ხელს. ვინაიდან ამ ნაწილში ანტიკლინის თაღიც ირცხება, მისი სამხრული ფრთა თანდათან მთლიანად ყირავდება სამხრეთისკენ და სიმძიმის ძალის გავლენით უშუალოდ ედება მიოცენური ნალექების ერთზიულ ზედაპირს. აღსანიშნავია, რომ გრავიტაციული „დაჭღომისას“ ეროზია, როგორც ჩანს, საქმაოდ შორს არის წასული, თანამედროვე რელიფი ძირითადად ჩამოყალიბებულია. ამ მოსაზრებას შემდეგი ფაქტი აღასტურებს: მდ. ასკისწყლის ხევში, იქ საღაც მას ტოლისღელე ერთვის, კარგად ჩანს ზედაცარცული და შუაეოცენური კირქვები, რომლებიც სამხრეთისკენაა გადმობრუნებული და უშუალოდ ედება და ფარავს ყირაზე დამდგარ მაკოპურ თხებს (სურ. 41).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავსი მოვლენა კარგად ჩანს მდ. ასკისწყლის ამავე ნაპირზე, მაგრამ ჰიფსომეტრიულად ბევრად უფრო მაღლა (სურ. 38). ამ-რიგად, უშუალოდ ხევში შრეების გადალუნვა ბევრად უფრო დაბალ ჰიფსომეტ-რიულ დონეზე ხდება, ვიდრე ოდნავ აღმოსავლეთით, მდინარის მარცხენა ფერ-დზე. ეს იმაზე მიგვითოვბს, რომ გამობრუნებისას, შრეები დასავლეთით, მდ. ასკისწყლის ხევში ბევრად უფრო ღრმად იყო ეროზით მოკვეთილი, ვიდრე უფრო აღმოსავლეთით, მდინარის მარცხენა ფერდზე.

### ტოლაღვიარის მონაკვეთი (სურ. 42)

სოფ. ტოლის აღმოსავლეთით რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ცარცული ნალექები ტრანსგრესიული ოლიგოცენის ქვეშ იფარება და უფრო აღმოსავლეთით ეს უკანასკნელი მდ. ლომიშურისა და ორდელესშუას ხევებში, უშუალოდ ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე განლაგებული.

საყურადღებოა, რომ მდ. ლომიშურისა და ორდელესშუას წყალგამყოფი სერი მთლიანად ბაიოსის მასალით არის აგებული და სარმატულ ნალექებს შუა მოქცეულ გრძელ ენას ჰქმნის. მისი ზედაპირი მდ. რიონისკენ არის დახრილი. ამ სერის ამგები ბაიოსური მასალის განლაგებაში გარკვევით ჩანს კანონზომიერი მთრიგეობა მსხვილ და წვრილმარცვლოვანი სუსტად დამუშავებული ნატე-ხებისა, რაც იმათზე მიგვითოვბს, რომ ეს სერი მთის მდინარის გამონაზიდი მასალით არის შექმნილი. მტრიგად, აქ გვაძეს ქველი მთის მდინარის ხეობა, რომელიც ბაიოსის გამონაზიდი მასალით არის ამოვსებული. მდ. ორდელესშუას მარჯვენა ფერდზე კარგად ჩანს, რომ ეს მასალა უშუალოდ ყირაზე დამდგარ სარმატულ თხელშრეებრივ თიხიან ქვიშაქვებზე და თიხებზე არის განლაგებული (სურ. 43).



სურ. 43. ღვარნალექებით აგებული სერის გასწორივი კრილი.


1. ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. თიხები, ქვიშაქვები. კონ-გლომერატები (სარმატი), 3. ღვარნალექები

აღმოსავლეთით, მდ. ორდელესშუას მარცხენა ნაპირის სარმატულ ნალე-ქებში კარგად ჩანს რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ორივე ფრთა. ჩრდილო ფრთა დაქანებულია S, დაქ. კუთხე 75°, ხოლო სამხრული N, დაქ. კუთხე 30°. ჩრდი-ლო ფრთის შრეები ბაიოსის პორფირიტულ წყებასთან მიახლოებისას თანდა-თან სამხრეთისკენ იხრება და კონტაქტთან ახლოს 60°-იანი კუთხით ჩრდი-ლოეთისკენ არის დაქანებული. სარმატულ ნალექებსა და ბაიოსის პორფირი-ტულ წყებას შუა კარგად ჩანს ძლიერ აშმუშვნილი მაკობის თიხების ვიწრო ზოლი.

მეტად რთული სურათია უფრო აღმოსავლეთით, სოფ. ხვანჭკარის მიღა-მოებში (სურ. 42). აქ სინკლინის ჩრდილო ფრთის სარმატული ნალექები ძლი-ერ არის სამხრეთისკენ გადმობრუნებული (დაქ. NO 15-20°, დაქ. კუთხე 20-25°). მათ ჩრდილოეთით აშმუშვნილი და აზელილი მაიკოპური თიხების ვიწრო

სურ. 42. ჩატა-ლეჩის სინკლინის ჩრდილო ფრთის აღმოსავლური ნაწილის სქემატური გოლოგიური რუკა.

1. ალუვიური ნალექები, 2. ქვიშაქვები, თიხები, კონგლომერატები (სარმატი), 3. ქვიშაქვები, თიხები (კირაგან-კონი), 4. ქვიშაქვები, ქვიშანის თიხები (ჩოხაცი), 5. მაკების წყება (ოლიოცენი), 6. ქვიშანი კირქვები კრისტალური კირქვების შეუშრეებით (შეა ეოცენი), 7. შრეებრივი კავიანი კირქვები (სანტონურ-კამპანური), 8. შრეებრივი კავიანი კირქვები (ტურონულ-კონიაური), 9. მერგელები, თიხები გლაუკონიტიანი ქვიშაქვები შეუშრეებით (ალ-სენიანური), 10. თხელშრეებრივი კირქვები (ალ), 11. შრეებრივი კავიანი კირქვები (ბარემი), 12. ტლანქშრეებრივი გადოლომიტებული კირქვები (ვალ-ნეინურ-პოტრივული), 13. ფერდადი წყება — ფერდა თიხები არკაზული ქვიშაქვები, კირქვები თაბაშირის შეუშრეებით (კომერიჯულ-ტიტონური), 14. ქვიშაქვები, კირქვები (ლუზიტანი), 15. ქვიშაქვები, თიხები (ოქსფორდი), 16. ქვიშაქვები, თიხები, მიკროკონგლომერატები (კლოვიური), 17. პორფიროტული წყება (ბიანი), 18. კილური შეცოცება, 19. რღვევები, 20. მწყურულ ბულტები და ნაზავები, 21. ტრანსგრესიული წყების უზე.



ზოლი მოჰყვება, ხოლო კიდევ უფრო ჩრდილოეთით კარგად ჩანს ზოგადად გარაზე დამდგარი ცარცული კირქვები. ეს უკანასკნელნი მდ. ხვანჭკარისლელის მარჯვენა ფერდზე მერიდიანული მიმართებისაა და მათში ძლიერ შეკუმშული და თაღურ ნაწილში გატეხილი ნაოჭი შეიმჩნევა. ამ ნაოჭის დასავლურ ფრთაში კარგად ჩანს მცირე სიმძლავრის ქვედანეოკომური ტლანქშრებრივა კირქვები, ბარემული და აპტური შრეებრივი ჰელიტომორტული კირქვები და ძლიერ აშშუშნილი და აშვრილნაოჭებული ალბ-სენომანური თიხები და მერგელები. ეს წყებები ყირაზე დგას და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ არის მიმართული (მიმართ. NO 40°). ნაოჭის ამავე ფრთაში, ოდნავ აღმოსავლეთით, შიშვლდება ზედაცარცული კირქვებიც, რომლებიც სამხრეთისკენ ნაოჭის ღერძან მიახლოებისას თანდათან გაღმობრუნებას იწყებს და ზედა ნაწილში მცირე კუთხით ჩრდილოეთისკენ არის დაქანებული (დაქ. N, დაქ. კუთხე 30°). ნაოჭის აღმოსავლურ ფრთაში ზედაცარცული კირქვები ყირაზე დგას და ჩრდილოეთისკენ არის მიმართული. ისინი კარგად არის გაშიშვლებული მდ. ხვანჭკარისლელის მარჯვენა ნაპირზე.


ხვანჭკარისლელის ამავე ნაპირზე, უფრო ჩრდილოეთით, კარგად ჩანს ნაოჭის ამ ფრთის ზედაცარცული შრეების შერწყმა დასავლური ფრთის შრეებიან. შერწყმის ადგილას ყირაზე დამდგარი ნაოჭის თაღი გატეხილია.

აღმოსავლეთით, მდ. ხვანჭკარისლელის გასწვრივ, მთელი ზოლი მდინარით ჩამოტანილი ბაიოსის პორფირიტული წყების მასალით არის დაფარული და ამიტომ აქ არ ჩანს როგორ ებმის აღწერილი ნაოჭის აღმოსავლური ფრთა რაჭალეჩუმის სინკლინის ნორმალურ ჩრდილო ფრთას.

ამრიგად, აღწერილი ნაოჭის ფრთები ქვედა ცარცით არის აგებული, ხოლო გულში კი ზედაცარცული კირქვები გამოდის, ე. ი. აქ რაჭა-ლეჩუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში გვაქვს მერიდიანული მიმართების მქონე მეორადი სინკლინი. მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ დავინახეთ, მთლიანად სამხრეთისკენ არის გაღმოყირავებული და ამრიგად ბუნებაში ჰქმნის ანტიკლინის შთაბეჭდილებას. აღსანიშნავია, რომ სამხრეთით ეს ნაოჭი არ არის გამოსატული ოლიგოცენურ და სარმატულ ნალექებში, რომლებიც აქ მხოლოდ სამხრეთისკენ გადმობრუნებას განიცდის. მეტად საყურადღებოა აგრეთვე, რომ ჩრდილოეთით აღწერილი ნაოჭი სრული არ არის და მისი ორივე ფრთა მიმართებით მაღლა აზიდულ ბაიოსის პორფირიტულ წყებას აწყდება. ამგვარად ეს ნაოჭი ჩრდილოეთიდან ბაიოსის პორფირიტული წყების შემოსხლეტვით არის მოკვეთილი. ეს წყებები კარგად ჩანს უფრო აღმოსავლეთითაც, ბარემულ კირქვებას და ბაიოსის პორფირიტულ წყებას შუა. აქ ბარემული კირქვები სამხრეთისკენ არის გაღმობრუნებული (დაქ. NO 30°, დაქ. კუთხე 60-65°), ხოლო ბაიოსის პორფირიტულ წყებას ჩრდილოეთით ჰიფსომეტრიტულად ბევრად უფრო მაღალი ღონე უჭირავს. შეხების ზოლში კარგად ჩანს ცარცული კირქვებისა და ბაიოსური წყების 3-4 მეტრი სიმძლავრის ძლიერ მილონიტიზირებული ზონა. ეს მოვლენები სინკლინის ჩრდილო ფრთაში კარგად ჩანს თითქმის სოფ. დიდ ჩორჯომდე, ხოლო უფრო აღმოსავლეთით ცარცული კირქვები ქვედა ნაწილში უკვე ნორმალურად სამხრეთისკენ არის დაქანებული და ამრიგად აღნიშნული წყებები აქეთ აღარ უნდა გრძელდებოდეს. აღსანიშნავია, რომ აღწერილ მონაკვეთზე და უფრო აღმოსავლეთითაც, მდ. ღვიარისლელემდე, ბარემულ კირქვებას და ბაიოსის პორფირიტულ წყებას შუა არ ჩანს საემაოდ მძლავრი (200 მეტრამდე) ქვედანეოკომური კირქვები. როგორც შრომის სტრატიგრაფიულ ნაწილშია აღნიშნული, ქვედანეოკომური კირქვების არარსებობა ამ მონაკვეთზე პირველადი მოვლენაა და ქვედა ცარცის დაგვიანებული ტრანსგრე-

სიით არის გამოწვეული. მაგრამ რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ამ ნაწილში საკმაოდ მძლავრი ქვედანეოკომური კირქვების ამგარი გამოსოლება, შესაძლებელია, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ძლიერ შეკუმშული სინკლინის უკვე სამხრეთისკენ გადმობრუნებულ ჩრდილო ფრთაში ბაიოსის პორფირიტული წყების სამხრეთისკენ შემოსხლეტვას (სურ. 44).

აღწერილი უნის აღმოსავლეთით სინკლინის ჩრდილო ფრთის შრეები უკვე ნორმალურად სამხრეთისკენ არის დაქანებული: მდ. ლვიარისლელის მარჯვენა ნაპირზე ქვედაცარცულ კირქვებში—დაქ. SW  $200^{\circ}$ , დაქ. კუთხე— $70^{\circ}$ . ამ-რიგად ცხადია, რომ ბაიოსის პორფირიტული წყების შემოსხლეტვა ამ მიმართულებით სავსებით ქრება, მაგრამ ღვიარისლელები ჩანს სხვა საყურადღებო მოვლენები. მართალია, როგორც აღნიშნული იყო, მდინარის მარჯვენა ნაპირზე




სურ. 44. ს. წვანელის მი-  
დამოების გეოლოგიური აგებუ-  
ლების ბლოკდიაგრამა.

1. ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. ქვედანეოკომური კირ-  
ქვები, 3. შრეებრივი კირქვები  
(ბარემი), 4. თხელშრეებრივი პე-  
ლიტომორფული კირქვები (აპტი),  
5. მერგელები და თიხები (ალ-  
სენომანი), 6. შრეებრივი კაუიანი  
კირქვები (ზედა ცარცი), 7. კრი-  
სტალური და ქვიშანი კირქვები  
(შუა ეოცენი), 8. მარცობის წყება,  
9. შუა მიოცენი (?), 10 თიხები,  
თხელშრეებრივი ქვიშაქვები და  
კონგლომერატები (სარმატი), 11.  
რღვევის ხაზები

ჩრდილო ფრთის შრეები სამხრეთისკენაა დაქანებული (სურ 45 ბ), მაგრამ სულ სხვა სურათია მდინარის მარცხენა ნაპირზე (სურ. 45 ა): ქვედანეოკომური ტლანქშრეებრივი კირქვები, რომლებიც ამ ნაპირზე უკვე მთელი თავისი სიმძლავრით ჩნდება, ყირაზე ღვას, ხოლო ბარე-მული თხელშრეებრივი კირქვები და, განსაკუთრებით მკაფიოდ კი, აპტუ-რი და ალბ-სენომანური წყებები სამხრეთისკენაა გადმობრუნებული (დაქ. NO  $30^{\circ}$ ). დაქანების კუთხე ბარემულ კირქვებში და აპტური მერგელოვანი კირ-ქვების ქვედა ნაწილში  $45-50^{\circ}$ -მდე აღწევს, ხოლო უფრო ზევით ალბ-სენომა-ნური ასაკის თიხებში, მერგელებში და გლაუკონიტიან ქვიშაქვებში  $30^{\circ}$ -მდე მცირდება. მთელი ეს გადმობრუნებული წყება უშუალოდ თავზე აღევს ყირაზე დამდგარ ზედაცარცულ შრეებრივ კაუიან კირქვებს. უფრო აღმოსავლეთით, მდ. რიცეულის ხეობისაკენ, აღნიშნულ წყებებში გადმობრუნება თანდათან კლებულობს და მდ. რიცეულის მარჯვენა ნაპირზე უკვე ყველა წყება ნორმა-ლურად სამხრეთისკენაა დაქანებული (დაქ. კუთხე  $70^{\circ}$ ).

ამრიგად, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, სოფ. ღვიარის აღმოსავ-ლეთით რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ბარემული, აპტური და ალბ-სენომანური წყებები სამხრეთისკენ არის გადმობრუნებული. ეს მოვლენა აღმოსავლური მიმართებით, მდ. რიცეულის ხეობამდე, თანდათან ქრება, მაგრამ დასავლეთისკენ გადასვლა ნორმალურად დაქანებულ ფრთაში მეტად მკვეთრია:

მდ. ლვიარისლელის მარცხენა ნაპირის გადმობრუნებული წყებები მის მარჯვე-  
ნა ნაპირზე ნორმალურად სამხრეთისკენაა დაქანებული. ეს მოვლენა იმით უნდა  
აიხსნას, რომ რაჭა-ლეჩხუმის სინჯლინის შეკუმშვისას, მაშინ, როდესაც მისი  
ჩრდილო ფრთის ეროზიით მოკვეთილი შედარებით პლასტიური წყებები გამო-  
წერვას განიცდიდა, იმ ნაწილში, სადაც ისინი სამხრეთისკენაა გადმობრუნებუ-  
ლი, ყირაზე დამდგრად ზედაცარცული კირქვები, როგორც ჩანს, უფრო ღრმად,  
ჰიფსომეტრიულად უფრო დაბლა იყო ეროზიით მოკვეთილი და, ამრიგად, ა-  
ტურ და ალბ-სენომანურ წყებებს აქ გადმობრუნების საშუალება მიეცა. შეტად



სურ. 45. ა. ჭრილი მდ. ლვიარისლელის მარცხენა ნაპირის გასწერივ,  
ბ. ჭრილი მდ. ლვიარისლელის მარჯვენა ნაპირის გასწერივ

1. ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. ტლანიშრეებრივი გადოლომიტუ-  
ლული კირქვები (ქვედა ნეკომი), 3. თხელშრეებრივი კირქვები (ბაზემი),  
4. თხელშრეებრივი მერგელოვანი კირქვები (აპტი), 5. მერგელები, თიხები  
და გლაუკონიტუანი ქვიშაქვები (ალბ-სენომანი), 6. თხელშრეებრივი კირ-  
ქვები (ტურონ-კონიაკი), 7. თხელშრეებრივი კაფიანი კირქვები (სანტონ-  
კამანი), 8. მაკობას წყება, (ოლიგოცენ-ქვედა მიოცენი), 9. თხელშრეე-  
ბრივი ქვიშაქვები (ჩორაკი), 10. თხელი და სქელშრეებრივი ქვიშაქვე-  
ბი (კარაგან-კანკური), 11. თიხები, ქვიშაქვები, კონგლომერატები (სარ-  
მატი), 12. მდ. ლვიარისლელის დონე

საყურადღებოა აგრეთვე, რომ მდ. ლვიარისლელის მარჯვენა ნაპირზე ყირაზე  
დამდგარი კირქვანი წყების ზედა ნაწილში ქვედანეოკომური კირქვების სიმბ-  
ლავრე უმნიშვნელოვა (ის თანდათან სიღრმეში მატულობს), ამიტომ ბარემული  
ნორმალურად სამხრეთისკენ არის დაქანებული (სურ. 45 ბ), ხოლო მარცხენა  
ნაპირზე ქვედა ნეკომი უკვე მთელი თავისი სიმბლავრით ჩნდება, რაც ბარემუ-  
ლი და მომდევნო წყებების აყირავებას იწვევს (სურ. 45 ა) და ბუნებრივია,  
რომ მათი სამხრეთისკენ გადმობრუნება სწორედ აქ ხდება.

#### ლვიარ ა-წესის მონაკვეთი (სურ. 42)

სოფ. ლვიარის აღმოსავლეთით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცარცუ-  
ლი და მესამეული წყებები უკვე ნორმალურად სამხრეთისკენაა დაქანებული და

აქ კიდური დანაოჭების მოვლენას აღგილი არა აქვს. მაგრამ მდინარე რიცეულის ხეობაში ქვედანეოკომური კირქვები ძლიერ აშმუშვინილი და დამსხვრეულია, მათში კარგად ჩანს შრეგასწვრივი მოძრაობის კვალი და, აგრეთვე, შესხლეტვა მიმართული სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ამრიგად აქ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აქვს აღგილი შრეგასწვრივ მოძრაობებს.

მდ. რიცეულის აღმოსავლეთით რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა კიდევ უფრო დამრეცი ხდება. მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე სამხრეთისკენ დაქანებული ქვედანეოკომური კირქვების ზედა ნაწილში კარგად ჩანს მათი ანტიკლინური გადაღუნვა ჩრდილოეთისკენ.

სოფ. წესის აღმოსავლეთით, სოფ. მუხლთან, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა გარდიგარდმო რღვევით არის გაწყვეტილი. იქ სადაც მდ. რიონს ჩრდილოეთიდან მდ. ლუხუნისწყალი ერთვის, ძველ ეკლესიასთან, კარგად ჩანს ბაიოსის პორფირიტული წყების მიწყვეტა აღმოსავლური მიმართულებით კალოვიურ თიხიან ქვიშაქვებზე. ეს წყვეტა მკაფიოდ არის გამოხატული აგრეთვე უფრო სამხრეთით, სოფ. მუხლისა და ჭონიშის მიდამოებში, სადაც მის გასწვრივ ქვედაცარცული კირქვებია გარღვეული და გადაადგილებული.

აღწერილი რღვევა ნაწევ-ნასხლეტის ბუნების არის და მისი დასავლური ფრთა დაახლოებით 150-200 მეტრით მაღლა უნდა იყოს აწეული.

### ცოცვითი მეწყრები და ნაზვავები რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში

როგორც ზემოთ აღინიშნა, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა, სოფ. ქულბაქიდან თითქმის სოფ. ღვარამდე, უმეტესად სამხრეთისკენ არის გადმობრუნებული. ვინაიდან სინკლინის გულში გაშიშვლებული რბილი და ფხვეური მესამეული ნალექები, ჩრდილო ფრთის კირქვიან წყებებთან ზედარებით, უფრო სწრაფად ირეცხება, კირქვიანი წყებები, შესაფერის პირობებში, ირღვევა და სიმძიმის გავლენით ცოცვას იწყებს სინკლინის გულის დეპრესიული ნაწილისკენ.

ქვედაცარცული ნალექების ამგვარი მეწყერი ზემოთ იყო აღწერილი სოფ. ლაილაშთან.

მსგავსი სურათი ჩანს, აგრეთვე, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის დასავლურ ნაწილში, სოფ. გვესოსთან (სურ. 22), სადაც სამხრეთისკენ გადმობრუნებული ჩრდილო ფრთის კირქვიანი წყებიდან ბარემული კირქვების საქმაოდ მოზრდილი ( $300 \times 200$  მ) ბელტი არის მოწყვეტილი და დაცოცებული. ეს ბელტი ამჟამად გადაყირავებულ მდგომარეობაში ოლიგოცენურ თიხებზე განლაგებული და მასზე გვესოს ძველი ციხის ნანგრევები არის შერჩენილი.


ამგვარი, მხოლოდ უფრო მცირე ზომის მეწყრული ბელტები კარგად ჩანს სოფ. გვესოს დასავლეთითაც. სოფ. სალეთოდიანოსთან მაიკობურ წყებაზე ზედაცარცული კირქვები არის განლაგებული.

აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში ზოგან, იქ სადაც მაღლა აზიდულ ბაიოსის პორფირიტული წყების სამხრეთით, სხვა-დასხვა შიზეზების გამო, არ ჩანს ცარცული წყებები და მას უწუალეოდ მესამეული ნალექებით შექმნილი დადაბლებული ზოლი ესაზღვრება, ბაიოსის პორფირიტული წყების ქანები, კირქვიანი წყებების მსგავსად. ირღვევა და სიმძიმის გავლენით სამხრეთისკენ იწყებს ცოცვას.


ამგვარი მოვლენა კარგად ჩანს სოფ. ტოლა II-ს ჩრდილოეთით. აქ ბაიო-სის პორფირიტულ წყების ტრანსგრესიული მაიკობის წყება ფარავს და ამრიგად სამხრეთიდან მას დადაბლებული უბანი ესაზღვრება. ამის გამო მაღლა აზი-დულ პორფირიტულ წყების საკმაოდ მოზრდილი ბელტი მოსწყვეტია და და-ოცებულა. ამჟამად ის მესამეულ ნალექებზე არის განლაგებული (სურ. 42).

ამ შერივ საინტერესოა, აგრეთვე, სოფ. პატარა ჩორჯოს მიდამოები. აქ მაღ-ლა აზიდული ბაიოსის პორფირიტული წყების სამხრეთით, ცარცულ კირქვებში საკმაოდ ღრმა ჩორჯოსწყლის ხევია გაჭრილი. ხევის მარცხენა ნაპირზე ცარ-ცული წყებაა გაშიშვლებული, ხოლო მარჯვენა ფერდი მთლიანად დამსხვრეული და აშმუშვნილი ბაიოსის პორფირიტული წყების უზარმაზარი ლოდებით არის აგებული. კიდევ უფრო დასავლეთით, ჩორჯოსწყლისა და ხვანჭკარისღელას წყალგამყოფი სერის აღმოსავლურ ფერდზე, სინკლინის ჩრდილო ფრთის კირქვიანი წყებები ისევ ჩნდება. ამრიგად აქ სინკლინის ჩრდილო ფრთის კირ-ქვიან წყებაში ძლიერ აშმუშვნილი და დამსხვრეული ბაიოსის პორფირიტული წყება არის მოქცეული. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ბაიოსის პორფირიტული წყების დიდძალი მასალა აქ ჩრდილოეთიდან არის მოწყვეტილი და ჩამოზვავებული ჩორჯოსწყლის ქველ ხეობაში (სურ. 46). ეს მოვლენა კიდევ უფრო ცხა-დად ჩანს ამ უნის აეროფოტოზე. აქ კარგად ჩანს, რომ ბაიოსის ნაზვავთან მო-ახლოებისას მდ. ჩორჯოსწყალი მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისკენ და მის აღმოსავლურ კიდეზე შედარებით ვიწრო და ღრმა ხევს ჭრის.

სურ. 46. პატარა ჩორ-  
ჯოს ნაზვავის გარდიგარ-  
დმო და გასწვრივი  
ჭრილები



1. ბაიოსის პორფირი-  
ტული წყება, 2. ჩამოზვავე-  
ბული ბაიოსის პორფირი-  
ტული წყების მასალა, 3.  
ქვედანეოკამური კირქვები,  
4. ბარემული კირქვები, 5.  
აპტი, 6. ალბ-სენომანი, 7.  
ზედა ცარცუ, 8. მაიკობის  
წყება, 9. მიოცენი, 10.  
რღვევის ხაზი, 11. ნაზვავის  
ფუძე



აღსანიშნავია, რომ ნაზვავი მასალა სამხრეთ ნაწილში მესამეულ ნალექებზე არის განლაგებული და ის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმართულ გრძელ ენას ჰქმნის (სურ. 42).

ცოცვითი მეწყრები რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში შეიმჩნევა მის აღმოსავლეთ ნაწილში, იქ სადაც ის უკვე ნორმალურად სამხრეთისკენ არის დაქანებული და ჩრდილოეთით კი ზედაპირული ნალექების დაღა-

ლებული ზოლი ესაზღვრება. აქ, საელიოს ქედის ჩრდილო ფერდზე კარგად ჩანს მოზრდილი ბელტი, რომელიც სამხრეთისკენ დაქანებული ქვედანეოკომური კირქვებიდან არის მოწყვეტილი, დაცოცებულია ჩრდილოეთისკენ და ამჟამად ზედაიურული ნალექების ერთზის ზედაპირზე არის განლაგებული.

### ტექტონიკური განვითარების ისტორია და კილური დანაოჭება

ზემოთ აღმოჩენილი ფაქტიური მასალის განხილვა გვიჩვენებს, რომ რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში სპეციფიური პირობები საკმაოდ გვიან, როგორც ჩანს, მხოლოდ სარმატულის შემდეგ იქმნება, ამიტომ ბუნებრივია ამ ზოლის ტექტონიკური განვითარება ამ ღრომდე საერთოდ მთელი სინკლინის განვითარებას დავუკავშიროთ და შასთან ერთად განვიხილოთ.

საერთო დაძირვა და წყალქეშა ვულკანური პროდუქტების დაგროვება, რომელიც ბაიოსური ღროს უმეტეს ნაწილს მოიცავს, ბაიოსის ბოლოს მთელ დასავლეთ საქართველოში რეგრესით იცვლება. აღმავალი მოძრაობა კიდევ უფრო ძლიერდება ბათურ ღროს, როდესაც ზღვა მთლიანად ტოვებს არა მარტო საქვლევ ზოლს, არამედ მის მოსაზღვრე რაიონებსაც.

ბათური ორთვენ ტური ფაზის მოქმედება ოკრიბასა და რაჭაში მთელი რიგი სტრუქტურების ჩასახვას იწვევს, რომელთა უმრავლესობას ამ ღროიდან დაწყებული აზევების ტენდენცია აქვს. ასეთია სორის ანტიკლინი რაჭაში და ოკრიბის მთელი რიგი აზევება. ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ამ აზევებებს ზუა რაჭა-ლეჩხუმის დეპრესიის ჩასახვაც, რომელიც წესამჩნევ დაძირვას ზედა იურაში იწყებს.

კალოვიური ტრანსგრაფურია ახალი ზედაიურული სედიმენტაციური ციკლის დასაწყისს მოაწავებს. ზედა ურის განმავლობაში ზღვის ვიწრო ზოლი რაჭა-ლეჩხუმის დეპრესიაში თანდათან დასავლეთისკენ მიიწვევს. ვინადან დეპრესიის ღერძი ამ ღროს აღმოსავლეთისკენ არის დახრილი, ზღვა, როგორც ჩანს, შორს ვერ იჭრება და მის დასავლეთ ნაწილში სანაპირო ხასიათის ნალექები იწყებს დაგროვებას (ამ მიმართულებით ზედაიურული ნალექების სიმძლავრის შემცირებასთან ერთად კალოვიურ-ოქსფორდული ქვიშიანი მასალა მატულობს, ხოლო ლუზიტანურის კირქვიან ფაციესს ქვაშიანი სცვლის).

ზედა იურის ბოლოს ზოგად დაძირვას აზევება მოჰყვება, რაც ვერტიკალური მიმართულებით ფაციესის ცვლაში კარგად არის გამოხატული: კალოვიურ-ოქსფორდულის და ლუზიტანურის ქვედა ნაწილის ფაუნით მდიდარი ზღვიური ნალექები ზევით, თანდათან, მარჯნიან კირქვებში, ხოლო უმდევ კიმერიკულ-ტიტონურ თბაშირიან წყებაში გადადის. კიმერიკული რეგრაფურია აქ ლაგუნური ნალექების დაგროვებას იწვევს, მაგრამ ეს აზევება ემერსიამდე ვერ აღწევს და, როგორც ჩანს, უკვე ტიტონურში კვლავ დაძირვა იწყება. ის დასაწყისში საკმაოდ სუსტია — მხოლოდ გამოძახილია სამხრული ფერდის გეოსინკლინის ტიტონური ტრანსგრესიისა, ამიტომ ეს დაძირვა ძირითადად არ სცვლის აუზის ხასიათს და აქ რეგრესიული (ლაგუნური) ნალექების დაგროვება ჯერ კიდევ გრძელდება. მაგრამ სანაპირო ზოლი ამ ღროს, როგორც ჩანს, მცირე შეფარდებით დაძირვას მაინც განიცდის და ლაგუნას, რაჭა-ლეჩხუმის დეპრესიაში, დასავლეთისკენ შეკრის (გადაღვრის) საშუალება. ეძლევა. შესაბამისი ნალექები, რომლებიც ამჟამად რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის მხოლოდ რამდენიმე პუნქტში წიშვლდება (მდ. რიცეულისა და ასკისწყლის ხეობები) უფრო სამხრეთით, სინკლინის გულში, შესაძლებელია უფრო მძლავრიც იყოს.

ტიტონურში დაწყებული მოძრაობის სრული გამოხატულება გვაქვს მხოლოდ ვალანჯინურში, როდესაც რაჭა-ლეჩეუმის დეპრესია ინტენსიურ დაძირვას იწყებს. ვალანჯინური ნალექები სინკლინის უმეტეს ნაწილში უთანხმოდ ფარავს ბაიოსის პორფირიტულ წყებას. ვინაიდან ამ დროს რელიეფი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის მთლიანად მოსწორებული, ზოგიერთი, შედარებით მოზიდული უბანი ზღვით უფრო გვიან, ზედა პოტრივულში, იფარება( ტოლა-ლვიარის მონაკვეთი).

ქვედა ცარცის განმავლობაში ნალექების უწყვეტი დაგროვება მიმღინარეობს.

ალბურსა და სენომანურში რაჭა-ლეჩეუმის დეპრესიის რეგრესიის ნიშნები შეიძინება. ეს რეგრესია, ომელიც სინკლინის სამხრულ ფრთაში მსხვილ-მარცვლოვანი გლაუკონიტიანი ქვიშაქვების დაგროვებას იწყებს, დეპრესიის ჩრდილო ნაწილში უფრო სუსტად არის გამოხატული, თუმცა მაინც შეიძინება და განსაკუთრებით მკაფიოდ ტოლა-ლვიარის მონაკვეთზე, სადაც სენომანური მთლიანად წარმოდგენილია გლაუკონიტიანი ქვიშაქვებით, რომლებიც ზედა ნაწილში მიკროკონგლომერატში გადადის (სხვაგან სენომანურის მერგელოვან წყებაში გლაუკონიტიანი ქვიშაქვის მხოლოდ რამდენიმე მცირე სიმძლავრის მქონე შრე შეიძინება).

აღნიშნული რეგრესია რაჭა-ლეჩეუმის დეპრესიის ფარგლებში ემერსიამდე ვერ აღწევს და მომდევნო ტურონული კირქვები, რომლებიც ახალ ზედაცარცულ სედიმენტაციურ ციკლს იწყებს, სენომანურ წყებაზე ტრანსგრესიულად, მაგრამ უხარვეზოდ არის განლაგებული.

ზედა ცარცის განმავლობაში რაჭა-ლეჩეუმში უწყვეტი სედიმენტაციის პირობები არსებობს. ცარცის ბოლოს იწყება აზევება, რომელიც სუსტია დეპრესიის დასავლურ ნაწილში, სადაც (ს. ორბელის დასავლეთით) ის დანიურის ზედა ნაწილში მცირე სიმძლავრის კონგლომერატების გაჩენაში გამოიხატა მხოლოდ და შედარებით ძლიერია უფრო აღმოსავლეთით, სადაც დეპრესიის ჩრდილო ნაწილი ამ დროს ინტენსიურ გადარეცხვას განიცდის. ამავე დროს აქ ამ პერიოდში ზოგან, აზევებასთან ერთად, მეორადი ნაოჭები იწყებს ჩასახვას (ანტიკლინი მდ. ლაჯანურის ხეობაში). ამიტომ პალეოცენში დაწყებული ტრანსგრესიული ნაწილში და მეორადი ანტიკლინის თაღში მაქსიმუმს მხოლოდ შუა ეოცენში აღწევს.

ასეთივე სურათია ოლიგოცენური ტრანსგრესიის პერიოდში. რაჭა-ლეჩეუმის დეპრესიის ღერძი ამ დროსაც დასავლეთისკენ არის დახრილი, რაზეც აღმოსავლეთისკენ ოლიგოცენის სულ უფრო და უფრო ძველ ნალექებზე განლაგება მიგვითოთებს. ამასთან დეპრესიის ჩრდილო ნაწილში, ტოლა-ლვიარის მონაკვეთზე, რომელიც აზევების ტენდენციას უფრო აღრეც (ზედაიურული და სენომანური რეგრესიის პერიოდში) იჩენს, ოლიგოცენური ნალექები, სოფ. ტოლის აღმოსავლეთით, უშუალოდ ბაიოსის პორფირიტულ წყებაზე განლაგებული. როგორც ა. ჯანელიძე აღნიშნავს, დეპრესიის აღმოსავლურ ნაწილში, ოლიგოცენის ძველ ნალექებზე განლაგება პალეოცენური ტრანსგრესიის ჯმურ ეფექტს გამოხატავს და ამიტომ ოლიგოცენურმა ტრანსგრესიამ შესაძლებელია მხოლოდ ზედა ეოცენი გადარეცხა. დეპრესია ამ დროს მაინც დასავლეთისკენ რომ არის დახრილი, ამაზე ის მიგვითოთებს, რომ დასავლურ ნაწილში ოლიგოცენის ქვეშ ზედა ეოცენი არის შერჩენილი.

ოლიგოცენური დროიდან რაჭა-ლეჩხუმის აუზში ტერიგენული ნალექების დაგროვება იწყება. მიოცენის განმავლობაში დეპრესიის ღერძული ზოლი ინტენსიურ დაძირვას განიცდის და აქ საკმაოდ მძლავრი (800 მეტრამდე) ნალექები გროვდება. ქვედა მიოცენის განმავლობაში დეპრესიის ჩრდილო ნაწილში ფსკერის დიფერენციალურ მოძრაობას აქვს ადგილი: მაღლა იწევს დეპრესიის ჩრდილო ბორტის ცენტრალური ნაწილი (ლაგანურის მეორადი ნაოჭების ზოლი), სადაც შემდგომ ჩოქრაჟული ნალექები ტრანსგრესიულად ფარავს უფრო ძველ წარმონაქმნებს, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი აზევება, როგორც ჩანს, განიცადა ტოლა-ღვიარის მონაკვეთმა, რომელიც ზღვით უფრო გვიან, მხოლოდ ქვედა სარმატში იფარება.

სარმატული დროიდან რაჭა-ლეჩხუმის დეპრესიის ღერძი ზოგადად დასავლეთისკენ იწყებს დასრულას. აღმოსავლური ნაწილის უპირატესი აზევება კიდევ უფრო მკაფიოა სარმატის შემდეგ (ამაზე ქვემოთ), როდესაც ზღვა საბოლოოდ ტოვებს რაჭა-ლეჩხუმის სედიმენტაციურ აუზს, შემდგომი ოროგენეტური ფაზისების მოქმედება კი ამ ზოლის შეკუმშვას იწვევს და რაჭა-ლეჩხუმის სინკლინ თანამედროვე სახეს აძლევს.

როგორია რაჭა-ლეჩხუმის დეპრესიის სარმატულის შემდგომი ისტორია. იწყება თუ არა მისი შეკუმშვა და სინკლინის ფორმირება მაშინვე, როგორც კი ამ ზოლს ზღვა ტოვებს, თუ ეს უფრო გვიანი მოვლენა? ამის უშუალო საბუთები აქ თითქოს არ ჩანს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ შეკუმშვისას, უკვე ზედაცრაციდან დაწყებული, დეპრესიის ჩრდილო ბორტი უფრო დიდ შეფარდებით აზევებას განიცდის.

ამავე დროს რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა ამ დროს, როგორც ჩანს, უკვე არაერთგვაროვანი აგებულებისაა და მისი სხვადასხვა ნაწილი განსხვავებული ბუნების არის. კერძოდ, აღმოსავლური ნაწილი ზოგადად უფრო მაღლაა აზიდული, განსაკუთრებით კი ტოლა-ღვიარის მონაკვეთი, რომელიც მეზობელ უბნებთან შედარებით აზევების ტენდენციას სინკლინის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ინარჩუნებს (აქ გვაქვს ცარცის წინა აზევება—ცარცის დაგვიანებული ტრანსგრესია, სენომანური აზევება—მსხვილმარცვლოვანი გლაუკონიტიანი ქვიშაქვები, ოლიგოცენამდელი აზევება—ოლიგოცენის უშუალო განლაგება ბაიოსურ წყებაზე, შუამიოცენისწინა აზევება — წუა მიოცენის დაგვიანებული ტრანსგრესია).


განსხვავებული აგებულებისა თრბელ-თაბორის მონაკვეთი, სადაც მეორადი ნაოჭებია ჩასახული და თაბორ-ტოლის მონაკვეთი, სადაც როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. ძალვული სხეულები), სინკლინის შეკუმშვა გაძნელებულია სილრმეში მკვრივი სხეულის — ტეშენიტური ინტრუზის ასებობის გმრთ და ამიტომ ჩრდილო ფრთა შედარებით დამრეცად არის სამხრეთისკენ დაქანებული. დასავლურ ნაწილში კი (ს. ორბელის დასავლეთით) ლეჩხუმის სინკლინი შედარებით ღრმადა დაძირული და მისი ჩრდილო ფრთა უფრო ციცაბოდ არის დაქანებული.

მაგრამ სინკლინის ტექტონიკურ განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ, როგორც ჩანს, უკვე პლიოცენური ღროისთვის რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა იმდენად არის აზევებული, რომ იწყება მისი ინტენსიური გადარეცხვა (აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს პლიოცენური აუზის სანაპირო ზოლის გასწვრივ, პონტური სართული კონგლომერატებით არის წარმოდგენილი, რომლებშიც მძლავრი კირქვიანი კონგლომერატების დასტები ჭარბობს). ამავე დროს სინკლინის ჩრდილო ფრთის შრეები

სამხრეთისკენ რამდენიმე ნაოჭის ჰქმნის, როგორც ფაქტიური მასალის ვანხილვა ვიჩვენებს, არ არის სუბსტრატს მთლიანად მოწყვეტილი. კერძოდ, ლაბეჭინის ანტიკლინი, მართალია უთანხმოდ, არამთლიანად, მაგრამ მაინც ბაიოსურ ნაოჭზე არის მორგებული. ამრიგად რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში მაღლა აზიდული და ერთხით მოკვეთილი შრეები სამხრეთისკენ შეიძლება დამაგრებულად მივიჩნიოთ. ამიტომ შემდგომი შეკუმშვისას რაჭა-ლეჩეუმის სინკლინში დანაოჭების პირობები ჩვეულიბრივისგან განსხვავებულია.

როგორც ცნობილია, მიწის ქერქში ელემენტური ნაოჭის წარმოქმნის ილუსტრაციის დროს, ჩვეულებრივ, წარმოიდგენ ხოლმე უსასრულო გავრცელების მქონე ან ბოლოებში უძრავად დამაგრებულ შრეების დასტას. აღვილი შესამჩნევია, რომ ვინაიდან თითოეული შრე დამოუკიდებელ შექანიკურ ერთეულს წარმოადგენს და მათ შუა გაადვილებული ცოცვის (სხლეტვის) ზედაპირები არსებობს, დანაოჭების დროს მათ ურთიერთგადაადგილებას (გასრიალებას) აქვთ ადგილი. ამასთან თითოეული შრე წყვილძალის მოქმედებას განიცდის. სხვაგვარად წარიმართება ეს მოვლენა, თუ შრეების დასტა არ არის დამაგრებული, ერთ მხარეს მაინც თავისუფალია და დანაოჭებისას შეუძლია ადგილუდ, წინააღმდეგობის გარეშე, იმოძრაოს საგების მიმართ. ამ შემთხვევაში დასტის ყოველი ზედა შრე თავისუფლად მიცოცავს ქვედას მიმართ. მართალია თითოეული შრე, ხახუნის გამო, ამ შემთხვევაშიც განიცდის წყვილძალის მოქმედებას, მაგრამ მისი ის მდგრენელი, რომელიც ნაოჭის ფრთაში შრეების დაჭანების საწინააღმდეგოდ არის მიმართული, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია დაქანების მიმართულებით მოქმედ მდგრენელზე (სურ. 47). ამრიგად თავისუფალ ბოლოში შრეთაშორისი შეფარდებითი გადაადგილება ბევრად უფრო დიდია, ვიდრე დამაგრებულ, დაბმულ ბოლოში. ამასთან ბუნებრივია, რომ შრეების წვრილი გადაადგილება ბევრად უფრო იოლი იქნება თუ შრეებსა ან შრეთა დასტებს შუა, პლასტიური შუაშრის სახით, რამე „საცხი“ არსებობს.

თუ ახლა რაჭა-ლეჩეუმის სინკლინის ჩრდილო ფრთას დავუბრუნდებით, დავინახვთ, რომ აქ დანაოჭების სწორედ ასეთი პირობები გვაქვს: სინკლინის ჩრდილო ფრთა მორეცხილია — ერთხით არის მოკვეთილი, ხოლო სამხრეთით შრეები დამაგრებულია, დაბმულია. ამავე დროს, სინკლინის ჩრდილო ფრთაში არის შედარებით პლასტიური შუაშრეები და მთელი წყებები, როგორიცაა: ალბ-სენომანური თიხიან-მერგელოვანი, ოლიგოცენის თიხიანი და, ზოგან, კიმერიკულ-ტიტონური, თიხიან-თაბაშირიანი ნალექები, რომლებიც თავის შხრივ ხელს უწყობს შრეთა დიფერენციალურ მოძრაობებს. ამრიგად სინკლინის ჩრდილო ფრთაში გვაქვს ყველა პირობა ზემოთ აღწერილი მოვლენის წარმოსაქმენელად. მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სინკლინის ჩრდილო ფრთა ერთგვაროვანი აგებულების არაა და ამიტომ ბუნებრივია, რომ შრეების წყებათაგასწვრივი) ცოცვის პირობები მის სხვადასხვა უბანზე მეტ-ნაკლებად



სურ. 47

განსხვავებულია. კერძოდ დასავლურ ნაწილში, ქულბაქ-ორბელის მონაკვეთზე. საღაც სინკლინი შედარებით ღრმად არის დაძირული, ეროზია, როგორც ჩანს, ზინკლინის საკმაოდ ციცაბოდ დაჭანებულ ჩრდილო ფრთას ჰქვეთს, რის გამო შემდგომი შეკუმშვისას შრეებს ციცაბო ზედაპირზე უხდებათ წაცოცება. გარდა ამისა აქ გვაქვს ობ-სენომანური და ოლიგოცენური პლასტიური წყებები და ცოცვას, ძირითადად, მათ გასწვრივ აქვს ადგილი მაშინ, როდესაც ცარცული წყების ქვედა ნაწილში, ბაიოსის ეროზიული ზედაპირის მიმართ იყი გაძნელებულია, რადგან აქ (ქულბაქ-ორბელის მონაკვეთზე) არსად ჩანს კიმერიულ-ტიტონური პლასტიური წყება, რომელიც სხვაგან (ამაზე ქვემოთ) ერთგვარი „საცეის“ როლს ასრულებს. ამიტომ სინკლინის ამ ნაწილში გადაადგილების კვალი ცარცისა და ბაიოსის საზღვარზე არც შეიძნევა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან სინკლინის ჩრდილო ფრთის შრეები სამხრეთით რამდენიმე მეორად ნაოჭს პქმნის, შეკუმშვის დროს წყებების წაცოცება სინკლინის მთელი ფუძის გასწვრივ როდი ხდება, არამედ მიცოცავს სინკლინის ჩრდილო ფრთის მხოლოდ ნაწილი და არა მთელი სინკლინი, ე. ი. ჩრდილოეთისკენ გადაადგილება ხდება იმდენად, რამდენადაც სინკლინი იკუმშება. ამავე დროს შეკუმშვის გარკვეულ სტადიაზე სინკლინის ჩრდილო ფრთა ყირაზე დგება, პლასტიური წყებები და შუაშრეები კი, წნევის გამო, გამოწმერვას და ზედა ნაწილში გასქელებას განიცდის, რის გამო ეს ფრთა შემდგომი გრავიტაციის გავლენით სამხრეთისკენ, სინკლინის გულისკენ იწყებს გადმობრუნებას. ამასთან ბუნებრივია, რომ სამხრეთისკენ გადმობრუნება სტრატიგრაფიულად ზევით მდებარე წყებებში მატულობს და სულ უფრო დაბალ ჰიფსომეტრიულ დონეზე ხდება.

ამრიგად რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის დასავლურ ნაწილში (ქულბაქ-ორბელის მონაკვეთზე) ასე ვითარდება ნაოჭი, რომელსაც შეიძლება კიდური უკუნაოჭი (კრაევი ითვირთ, კრაევა იმუტაცია) ვუწოდოთ.

სხვაგვარი პირობები არსებობს სინკლინის ჩრდილო ფრთაში უფრო აღმოსავლეთით, ობბელ-თაბორის მონაკვეთზე, საღაც მეორადი ნაოჭები არის ჩასახული (ლაჭანურის მეორადი ანტიკლინი და სინკლინი). ამ ნაოჭების შემდგომ შეკუმშვას, აქ, ბაიოსის პორფირიტული წყების ზედა ნაწილში თხელშრეებრივი თიხიან-ქვიშიანი წყების არსებობაც უწყობს ხელს. ამავე დროს მათი შეკუმშვა ეროზიის შემდეგაც გრძელდება. აღმოსავლურ ნაწილში, აქ სადაც ეს ნაოჭები ძლიერ მაღლა აზიდული, ეროზია ლაჭანურის ანტიკლინის თაღში ბაიოსურ წყებამდე აღწევს, რის გამოც ანტიკლინის სამხრული ფრთის კირქვები, შემდგომში შეკუმშვისას, ბაიოსის თიხიან-ქვიშიანი წყების გასწვრივ იწყებს წაცოცებას. უფრო დასავლეთით კი, ეროზია ბაიოსურ წყებამდე ვერ აღწევს და ლაჭანურის ანტიკლინის თაღი, როგორც ჩანს, მხოლოდ ნაწილობრივ არის ერთით წაკვეთილი. ამიტომ აღნიშნული შრეებასწვრივი მოძრაობა აქ წყებების გამკვეთი ხდება და შესხლეტვაში გადადის (იხ. ზემოთ).

აღსანიშნავია, რომ ლაჭანურის ანტიკლინის სამხრული ფრთის შეცოცება განსაკუთრებით ინტენსიურია აღმოსავლურ ნაწილში. რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის უფრო ძლიერი შეკუმშვის გამო, რასაც სინკლინის ჩრდილო ფრთასთან ლაბეჭინის ანტიკლინის მიხლოება განაპირობებს.

წაცოცებული ფრთის სამხრეთისკენ გადაბრუნება და სინკლინის გულში კი, შედარებით ფხვიერი მესამეული ნალექების საკმაოდ სწრაფი ეროზია იწვევს კირქვიანი წყების ფრონტალური ნაწილის მოწყვეტას და შემდეგ, სიმძიმის გავლენით, მის დაცოცებას სინკლინის გულის დაღაბლებული ნაწილისაკენ. ასეთი

წარმოშობისაა ცარცული კირქვების უზარმაზარი ბელტი, რომელზეც სოფ. ლაილაში არის გაშენებული.

უფრო აღმოსავლეთით (თაბორ-ტოლის მონაკვეთზე), როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, რაჭა-ლეჩუმის სინკლინი ნაკლებად არის. შეკუმშული და ეროზიით მოკვეთილი ჩრდილო ფრთა შედარებით დამრეცი ზედაპირის გასწვრივ მიცოცავს. ამავე დროს სინკლინის შეკუმშვის დროს ამ ფრთის კირქვიანი წყებების ჩრდილოეთისკენ წაცოცებას პლასტიური ფერადი წყება უწყობს ხელს, მაგრამ წეცოცების გარკვეულ სტადიაზე წინააღმდეგობის არსებობა ხახუნის ძალისა და თვით შეცოცებული წყების სიმძიმის სახით მის შენაოჭებას იწვევს. ამგვარად გაჩენილი მეორადი ნაოჭები შემდგომ კიდევ უფრო როულდება: პლასტიური აპტური და ალბ-სენომანური წყებები წენაოჭებისას მეორად ანტიკლინის თაღში გამოწერვა-გასქელებას განიცდის და სამხრეთისკენ იწყებს გადმოხრას. ამრიგად ანტიკლინის სამხრულ ფრთაში დამატებით უკუნაოჭი ჩრდება. შრების სამხრეთისკენ გადმოხრა უფრო გვიან თანდათან ძლიერდება უკვე გრავიტაციული ძალების გავლენით, რასაც სამხრეთით ჩრდილი და ფხვიერი მიოცენური ნალექების შედარებით სწრაფი ეროზია უწყობს ხელს. მაგრამ, ვინაიდან გადმობრუნებული შრები არსად ერთმანეთს დაცილებული არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ გადმობრუნებება (გრავიტაციული „დაჯდომა“) თანდათანი იყო და თან სდევდა ეროზის პროცესს.

განსხვავებული პირობები არსებობს სინკლინის ჩრდილო ფრთაში კიდევ უფრო აღმოსავლეთით, ტოლა-ხვანჭეარის მიღამოებში. აქ მაღლა აზიდული ბაიოსის პორფირიტული წყების სამხრეთით აკისწყლის კიდური ნაოჭების დაძირული ნაწილი გვაქვს. ოდნავ აღმოსავლეთით კი, სოფ. ხვანჭეარის მიღამოებში, ეს ნაოჭები, როგორც ჩანს, მთლიანად ქრება და რაჭა-ლეჩუმის სინკლინი აქ ძლიერ არის შეკუმშული. ამგვარად თუ დაგვაკირდებით შევამჩნევთ, რომ ამ ნაწილში სინკლინის ჩრდილო ფრთის კირქვიან წყებებზე, სინკლინის შეკუმში სას, როგორც ჩანს, ირიბად მიმართული ძალა მოქმედებს, რაც იწვევს სწორედ ამ ნაწილში მათ გარდიგარდმო მიმართულებით შენაოჭებას. ამავე პროცესის უშუალო გაგრძელება უნდა იყოს, აგრეთვე, ამ ნაოჭების შემდგომი მოკვეთა ბაიოსის პორფირიტული წყების შესხლეტვით (იხ. ზემოთ).

მეტად საინტერესოა და თავისებური რაჭა-ლეჩუმის სინკლინის უკიდურეს დასავლურ ნაწილში არსებული სურათიც, სადაც სინკლინის ჩრდილო ფრთა ბაიოსის პორფირიტული წყების შესხლეტვით არის მოკვეთილი. აქ სურათი ძალიან როულია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სოფ. ქულბაქის დასავლეთით რაჭა-ლეჩუმის სინკლინი ძლიერ შეკუმშულია და აქ მისი ჩრდილო ფრთა ბაიოსის შესხლეტვით არის გადაფარული, მაშინ სოფ. ქულბაქთან, იქ სადაც სინკლინი აღმოსავლეთისკენ უეცრად ფართოვდება, მისი ჩრდილო ფრთის მოკვეთა ბაიოსის შესხლეტვით, გასაგები ხდება. ამავე დროს, როგორც ზემოთაც აღნიშნა, სინკლინის ჩრდილო ფრთის ასეთ მოკვეთას აქ უფრო ძველი გარდიგარდმო ნაწევის არსებობა განაპირობებს. ამგვარი ნაწევი რაჭა-ლეჩუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში გვაქვს აგრეთვე სოფ. თაბორთანაც.

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე, რაჭა-ლეჩუმის კიდური დანაოჭების შესახებ შეიძლება შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

1. პლიოცენური და შესაძლებელია უფრო ახალგაზრდა ტექტონიკური მორაბები რაჭა-ლეჩუმის სინკლინის შეკუმშვისას მის ჩრდილო ეროზიით მოკვეთილ ფრთაში იწვევს ინტენსიურ შრეგასწვრივ ცოცვას. ამავე დროს პლასტიური წყებების გამოწერვა და გრავიტაციული ძალების მოქმედება აპირობებს კიდური (ეროზიისშემდგომი) ნაოჭების წარმოქმნას.

2. შრეების შეცოცება ხდება როგორც ეროზიული, ისე დაშრევების ზედაპირის მიგართ.

3. ეროზიულ ზედაპირზე შეცოცებას (კიდურ შეცოცებას) მცოცავი წყების ძირში პლასტიკური საფენის, „საცხის“ არსებობა განაპირობებს. პლასტიკური შუაშრეების და წყებების არსებობა ხელს უწყობს აგრეთვე შრეგასწვრივ ძალაობას.

4. კიდური ნაოჭების ფორმას და ხასიათს მცოცავი წყების საგების დაქანება განსაზღვრავს (დიდი დაქანების შემთხვევაში შრეგასწვრივი ცოცვა, პლასტიკური წუაშრეების და წყებების გამოწერვა და გრავიტაციული ძალების გავლენით შრეების თავისუფალი თავების გადმობრუნება კიდური უკუნაოჭის წარმოქმნას იწვევს. თუ შრეები შედარებით დამრეც ზედაპირზე მიცოცავს, მაშინ, შეცოცების დროს არსებული ხახუნის და ასევე თვით შრეების სიმძიმის გავლენით ისინი შენაოჭებას განიცდიან და თავისუფალ ბოლოში რამდენიმე კიდური ნაოჭი ჩნდება).

5. კიდური დანაოჭების და შეცოცების ხასიათს განსაზღვრავს აგრეთვე შრეების ეროზიული წაკვეთის დონე. მისი ცვალებადობა, რაც გეოლოგიურ პირობებზეა დამკიდებული, ხშირად მიმართებაზე კიდური შეცოცებისა და დანაოჭების მოვლენის შესუსტებას ან ჩაქრობას იწვევს (ზოგჯერ კიდური შეცოცება იმ ნაწილში, სადაც ეროზია წყებების ფუძეს ვერ აშინებლებს მიმართებაზე შესხევაში გადადის. რომელშიც გადადგილების მიმართულება ემთხვევა კიდური შეცოცების ან შრეგასწვრივი ცოცვის მიმართულებას).

6. კიდური დანაოჭების მოვლენა ზოგიერთ უბანზე, მეტად თავისებური და რთული გეოლოგიური პირობების არსებობის ვამო, ძლიერ არის შენილბული სხვა ტექტონიკური პროცესებით.

## კიდური (ეროზიული შეცვლილებები) დანაოჭების თავისებურების შესახებ

ჯერ კიდევ 1891 წელს ა. ჰეიესმა (Hayes, 1891) აპალაჩის მთებში, ჯორჯიას შტატში, აღწერა შეცოცებები, რომელთა წარმოქმნის მთვარ მიზეზად ის ეროზიას სთვლის (hypothesis of erosion prior to thrust). აღსანიშნავია, რომ ა. ჰეიესი ახალგაზრდა შრეების უფრო ძველ შრეებზე ეროზიულ შეცოცებასაც აღნიშნავს.

შემდგომ, ისევ აპალაჩებში, ეროზიული შეცოცებები აღნიშნა ბ. უილისშა (B. Willis, 1904), რომელიც თვლიდა, რომ ასეთი შეცოცებები მიწის ქერქის ისეთ უბნებში ვითარდება, სადაც ქანები დიდი წნევის გავლენით ერთგვარ პლასტიკურობას იძენს. ასეთი წნევის მიზეზად კი უილისს ნალექების წონა მიაჩნია.

1925 წელს ბ. შატსკიმ ჩრდილო კავკასიაში, წინამთების ზოლში, მდ. თერგსა და სულავს შუა მეტად სანტერესო სტრუქტურები აღნიშნა. ბ. შატსკი აქ აღწერს მთელ რიგ შეცოცებებს, რომელთა გასწვრივ კვასიონის წინა როვის მესამეული წყებები სამხრეთისკენ იმავე მოძრაობებით შექმნილ ახალგაზრდა ქედზე არის შემოცოცებული. ამასთან ის მიუთითებს, რომ „...эрозию (размыв третичных пород на юге) следует рассматривать наряду с горизонтом склонования так же, как одно из необходимых условий для образования этих дислокаций“.

ეროზიის როლი ზოგი სტრუქტურის განვითარებაში, პროვანსში (საფრანგეთი), აღნიშნეს აგრეთვე გოგელმა (J. Goguel, 1925), აბუენმა (J. Aubouin, 1953) და ლუტომ (G. Lutaud, 1953). ეს ავტორები აღწერენ ეროზიის შემდგომ შეცვლებებს, რომლებიც ტრიასის თაბაშირიანი წყების პლასტიური გამოწერვით არის გართულებული. მსგავსი მოვლენა სამხრეთ ამერიკის კორდილიერებში, აკონკაგუას რაიონში, აღწერა აგრეთვე გ. გერტმა (Г. Герт, 1959).

ეროზიის შემდგომი ტექტონიკური პროცესების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ჯანელიძის გამოკვლევებს, რომელმაც პირველად დაადგინა კიდური დანაოჭების მოვლენა და მეაფიოდ აღწერა ეს მეტად თავისებური ტექტონიკური პროცესი (ა. ჯანელიძე, 1933, 1940).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მთიან მხარეში კიდური ეროზიის შემდგომი დანაოჭების მსგავს მოვლენებს გრავიტაციული დანაოჭების სახელწოდებით აღნიშნავენ (Harrison J., Falcon N., 1934, 1936—მთიან ირანში, ა. ბოგდანოვი და ბ. კელერი, 1947—სამხრეთ ურალზე, დ. რეზვოი, 1947, ო. რიუკოვი, 1953; ი. ზუბოვი, 1949—ფერგანის ბრახინაოჭების გავრცელების ზოლში, Gese, de Sitter, Trümpy, 1952—მონტან ნუარში, დე სიტერი, 1960—პირენეებში, ზ. მიშუნინა, 1960—ალბანეთში და სხვ.).

ყველა ჩამოთვლილ ავტორს დანაოჭების მიზეზად, მეტად თუ ნაკლებად, დახრილ ზედაპირზე შრების დაცოცება, დაცურება მიჩნია. უდავოა, რომ გრავიტაცია არ არის შემთხვევითი ძალა ტექტონიკაში. დე სიტერი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „...она существует всегда и оказывает влияние на любые структурные формы независимо от того, представлены они складками, надвигами или структурами скольжения“ (Л. де Ситтер, 1960).


როგორც ზემოთ დავინახეთ, გრავიტაციის როლი უდავოდ დიდია კიდური ნაოჭების წარმოქმნის დროსაც, მაგრამ ეს არის არა პასიური გრავიტაციული დაცოცება და შენაოჭება, არამედ—გრავიტაცია დანაოჭების პროცესში, ინტენსიური შრეგასწვრივი ცოცების არსებობის პირობებში. ამით განსხვავდება კიდური დანაოჭება ცნობილ და აღწერილ გრავიტაციული დანაოჭებისგან.

აქ ნათქვამის გათვალისწინება ეჭვის ქვეშ აყენებს ზემოხსენებული ზოგიერთი სტრუქტურის წმინდა გრავიტაციული წარმოშობის შესაძლებლობას.


ი. პარისონმა და ნ. ფალკონმა (1934, 1936) მთიან ირანში მეტად საინტერესო მოვლენები აღწერეს. ეს ავტორები გამოკიყოფენ (300—1000 მეტრამდე) კირქვების სამ მძლავრ წყებას, რომლებთანაც შედარებით პლასტიური მერგელოვანი წყებები მორიგეობს. ამ წყებებზე განლაგებულია ე. წ. ფარსის (მიოცენი) ქვიშაქვების, მერგელების და ანკიდრიდების წყება (სიმძლავრე 3,5 კმ), რომელიც აქ განვითარებული სინკლინის გულშია გაშიშვლებული, ხოლო ყველაზე ძველი (ალბურისწინა) მასიური გადოლომიტებული კირქვების წყება მეზობელი ანტიკლინის თაღში შიშვლდება. ავტორების აზრით, ანტიკლინის თაღური ნაწილის ეროზია ნაოჭის ფრთაში იწვევს შრების „თავისუფალ“ გრავიტაციულ დაცოცებას სინკლინის გულისაკენ, რასაც მოსდევს „ნაოჭების კასკადის“, „დაკიდული სტრუქტურების“ (მთლიანად დაწოლილი ნაოჭი) და აგრეთვე ცალკეული „დაცოცებული ფირფიტების“ გაჩენა (სურ. 48 და 49).

როგორც მოყვანილი კრილებიდან ჩანს, ამ სტრუქტურების წარმოშობა ბევრად უფრო იოლად აიხსნება ნაოჭის ფრთაში გრავიტაციასთან ერთად ერთ-ზოგის შემდგომი შრეგასწვრივი შეცვლების არსებობით. საყურადღებოა, რომ სინკლინის ფრთის შედარებით ციცაბი ნაწილში, პლასტიური წყებების გასქელების „გაბერვის“ გამო, შრები სინკლინის გულისკენაა გადმობრუნებული.


(იხ. ნახ. 48 (b) და ნახ. 49 I და II), ხოლო დამრეცი ზედაპირის შემთხვევაში შრეები მეორადად არის ნაოჭებული (ნახ. 48).



სურ. 48. ჭრილები (a) „დაკიდული“ სტრუქტურა და დაცოცებული ფირფიტა, (b) დაკიდული სტრუქტურა და (c) ნაოჭების კასკადი




1. აღბურისწინა კირქვები, 2. ალბი, 3. შუა ცარცის კირქვები, 4. სენონ-ეოცენის მერგელოვანი წყება, 5. ასმარის კირქვები, 6. ფარსის წყება (პარისონი და ფალკონი, 1936)



აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტრუქტურების (მათი ყველა სახის) წმინდა, გრავიტაციულ წარმოშობას ეჭვის ქვეშ აყენებს დე სიტერიც (1960), რომელიც აღნიშნავს, რომ „структурების სამართლებრივი მიმართულება“ მომდევნობის სამართლებრივი მიმართულებას განისაზღვრავს. ასეთი სტრუქტურების განვითარების მიმართულება და მიმართულება მათ შემთხვევაში, რომ აღნიშნული სტრუქტურების გადმოყირავება მაშინ, როდესაც შუა ცარცის კირქვები არ არის დაძრული. ჭრილი I. ასმარის კირქვების გადმოყირავებულია მაშინ, როდესაც ასმარის კირქვები, ამ შემთხვევაში, ხელუხლებელია.

თანამდებობის მიზნით გადამდებრებული და გადმოყირავებული სტრუქტურების განვითარების მიმართულება და მიმართულება მათ შემთხვევაში, რომ აღნიშნული სტრუქტურების გადმოყირავებულია მაშინ, როდესაც ასმარის კირქვები, ამ შემთხვევაში, ხელუხლებელია. ასეთი სტრუქტურების განვითარების მიმართულება და მიმართულება მათ შემთხვევაში, რომ აღნიშნული სტრუქტურების გადმოყირავებულია მაშინ, როდესაც ასმარის კირქვები, ამ შემთხვევაში, ხელუხლებელია.



სურ. 49. ჭრილი I. ასმარის კირქვების გადმოყირავება მაშინ, როდესაც შუა ცარცის კირქვები არ არის დაძრული. ჭრილი II. პირველი ჭრილიდან 4 მილის დაშორებით ჩრდილო-დასავლეთისკენ. შუა ცარცის კირქვები გადმოყირავებულია მაშინ, როდესაც ასმარის კირქვები, ამ შემთხვევაში, ხელუხლებელია.

1. აღბურისწინა კირქვები, 2. ალბური მერგელები, 3. შუა ცარცის კირქვები, 4. სენონ-ეოცენის მერგელები, 5. ასმარის კირქვები, 6. ფარსის წყება (პარისონი და ფალკონი, 1936).

1947 წელს ა. ბოგდანოვმა და ბ. კელურმა დასავლეთ ურალის ფლიშურ როფში აღწერეს ზედაპირობონულ ნალექებში განვითარებული ნაოჭები, რომლებიც მათ ქვეშმდებარე წყებაში არ არის გამოსახული (სურ. 50, 51).

როგორც მოყვანილი ჭრილებიდან ჩანს ეს ნაოჭები დიდ მსგავსებას იჩენს კიდურ ნაოჭებთან და, როგორც ჩანს, მსგავსი წარმოშობის უნდა იყოს.

კიდური დანაოჭების მოვლენებთან შესაძლებელია დაკიდულებული იყოს აგრეთვე უეზის, დე სიტერის და ტრიუმპის მიერ მონტან-ნუარში (საფრანგეთის

ცენტრ. პლატო) ოღვერილი სტრუქტურები, სადაც თვით ავტორებს ამ სტრუქტურების წარმოშობაზე სხვადასხვა აზრი აქვთ (Gese, de Sitter, Trümpler, 1952) და აგრეთვე დე სიტერის მიერ აღწერილი პირენების სამხრული ფერ-დის მეორადი ნაოჭები (1960).

სურ. 50. გადაყირავებული ნაჭიკი, რომელიც  
მონაკლინისგან ვითარდება. ბოგადნოვის და გვილე-  
რის მიხედვით

1. ტერიგენული წყება, 2. კირქვები, 3. ქვედა  
ტერიგენული წყება, 4. კირქვები

აღნიშნულის გარდა, მეტად საყურადღებოა, აგრეთვე, ერთი ფაქტი. კერძოდ, გრავიტაციული ნაოჭების აღწერისას აღნიშნავენ მოვლენას, რომელიც აუხსნელი რჩება; უფრო სწორი ასნაც არსებობს, მაგრამ ის მეტისმეტად ხელოვნურია. როგორც გ. აკ-გირეი აღნიშნავს (1956) ძალიან ხშირად ნაოჭები, რომელთაც გრავიტაციული ნაოჭების სახელწოდებით გამოჰყოფენ, ასიმეტრიულია. ამასთან მათი ის ფრთა, რომელიც ამაღლების სკენ, აზევებული ნაწილისკენ (ან ანტი-


სურ. 51. იმავე გადმობრუ-  
ნებული ნაოჭის გეოლოგიური  
მდებარეობა პროფილში მდ. მა-  
ლიაიაკას მარჯვენა ფერდოზე (ბო-  
გდანწყვი ლა კილერი, 1947).

1— $P_1^S$  საკმარულის სართულის  
ზედა ნაშილის ტერიგენული წყება,  
2— $P_{1S1-2}$  საკმარული სართუ-  
ლის კორექციის, 3— $C_3$  ზედა კარ-  
ბონის ტერიგენული წყება, 4— $C_2$ ,  
შუა კარბონი, კირქვები, 5— $C_2$ ,  
შუა კარბონი, ტერიგენული წყება,

$-C_1$  ქვედა კარბონი, კირქვები, 7— $C_1$  ქვედა კარბონი, ტერიგენული წყება, 3— $D_{3-2}$  ზედა  
და შუა დევონი, კირქვები, 9— $D_1^2$  შუა და ქვედა დევონი, კვარციანი ქვიშაქვები

კლინისკებ) არის მიმართული, უფრო ციცაბოა. ასეთ ნაოჭებს ღრმულს, მაგალი-  
თად, ი. ზუბოვი (1949) ფერგანის დეპრესიაში, რასაც ნაოჭის გრავიტაციულ ჩა-  
მოქვეთას (ძირის მოქმედებების და მათ გამოყენების მიზანის მიხედვით) აღინიშნება, რომ ამ ფაქტის  
ასეთი ახსნა მეტად არაბუნებრივი ჩანს, მაშინ როდესაც გრავიტაციასთან ერთად  
საწინააღმდეგოდ მიმართული შეცოცების დაშვების შემთხვევაში, სწორედ ასე-  
თი სურათი უნდა გვქონდეს. აღსანიშნავია, რომ ამავე პროცესს უკავშირებენ  
აგრეთვე ისეთი შეცოცებების (ქვეშეცოცებების — პარალელური და დამოუკიდებელი მოვლენების სიბრტყე) დეპრესიისკენ (ან სინკლინისკენ) არის მიმართული (სურ.  
52).

ამგვარი „ქვეშცოცებების“ ახსნა, როგორც ეს მოყვანილ ჭრილშიც ჩანს, სრულიად წარმოუდგენელია გრავიტაციული დაცოცებით და ბუნებრივი ხდება მასთან ერთად საწინააღმდეგოდ მიმართული ცოცვის — შეცოცების დაშვების შემთხვევაში.



ამრიგად, როგორც განხილული ფაქტიური მასალა გვიჩვენებს, კიღური (ეროვნისშემდგომი) დანაოჭება მეტად თავისებური ტექტონიკური მოვლენაა,



სურ. 52. ნაოჭები კაცვასილ-  
ნის წინამთხვეში. დაღესტრის ან-  
ტიკლინის გეოლოგიური აგებუ-  
ლების სქემა (ა. ბროდის შინება-  
ვით). პუნქტირით აღნიშვნულია  
„ძველშეცოცხაბები“

კიდური ნაოჭები დიდ მსგავსებას იჩენს გრავიტაციულ ნაოჭებთან, მაგრამ გენეზისით ერთგვარად განსხვავდება მათგან. ბუნებრივია ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

СТРОЕНИЕ СЕВЕРНОГО КРЫЛА РАЧИНСКО-ДЕЧХУМСКОЙ СИНКЛИНАЛИ

Резюме

## ВВЕДЕНИЕ

Исследованный район расположен в полосе южных предгорий Большого Кавказа, захватывая часть среднего течения р. Цхенисцкали и бассейнов правых притоков р. Риони—Ладжанури, Аскиесцкали, Рицевулы и Лухунисцкали.

Первые сведения о его геологическом строении встречаются в трудах Г. Абиха, Э. Фавра, Э. Фурнье, С. Е. Симоновича, Л. Ф. Бацевича и А. И. Сорокина. Затем район изучался Б. Ф. Меффертом (1930). Исследования А. И. Джанелидзе (1926, 1933, 1940) значительно видоизменили прежние представления о строении района, в частности, им был впервые расшифрован своеобразный тектонический характер северного крыла Рачинско-Лечхумской синклинали.

Впоследствии стратиграфия развитых здесь отложений уточнялась и детализировалась И. В. Качарава (1944), М. С. Эристави (1946), А. Л. Цагарели (1946, 1951), Е. К. Вахания и Д. Ю. Папава (1955, 1956, 1957), А. Г. Лалиевым (1959) и Г. Д. Ананиашвили (1962).

Район изучался также Р. Д. Леквинадзе и В. Я. Эдилашвили (1956), которыми были внесены некоторые коррективы в его стратиграфию и тектонику.

## СТРАТИГРАФИЯ

## Юрские отложения

Байос. Порfirитовая свита байоса, прослеживающаяся непрерывной полосой вдоль всего северного крыла Рачинско-Лечхумской синклиналии, представлена, в основном, роговообмаковыми, андезиновыми и лабрадоровыми порфиритами и их пирокластолитами.

В западной части этой писссы (между р. Ладжанури и с. Табори) выделяются терригенные отложения, представленные в верхах свиты

главным образом, слюдистыми песчаниками и сланцами с редкими прослойками маломощных микроконгломератов. Эти отложения к западу и востоку, по простирианию, постепенно сменяются типичной порфиритовой свитой. Южнее изученного района, в Окрибе, аналогичная терригенная фация байоса А. И. Джанелидзе (1940) отнесена к верхнему байосу, но сильное сокращение мощности байосской свиты в западной части Рачинско-Лечхумской синклиналии дало основание И. Р. Қахадзе (1947) допустить наличие домового размыва верхней ее части, что не позволяет относить терригенную свиту к верхнему байосу. Вместе с тем не исключена возможность и переничного сокращения мощности байосской свиты в западном направлении. Из-за отсутствия фауны, а также других каких-либо дополнительных данных, этот вопрос пока что не поддается однозначному решению.

Верхняя юра. Верхнеюрские отложения, полностью представленные лишь в восточной части изученной полосы, начинаются трансгрессивным келловеем и заканчиваются регрессивными осадками лагунной пестроцветной свиты. Пестроцветная свита постепенно сменяет здесь лузитанские отложения и без каких-либо следов несогласия переходит кверху, в известняки нижнего неокома. Таким образом, она должна быть отнесена к кимеридж-титону. Вместе с тем западнее, в ущельях рек Рицела и Аскиецкали, верхняя часть пестроцветной свиты трансгрессивно залегает на байосской порфирировой свите. Следовательно, пестроцветная свита, выражая регрессию, в верхней части содержит трансгрессивные отложения, которые в начале погружения имеют такой же характер, как и подстилающие их образования, соответствующие поднятию (регрессии). Исходя из этого маломощная пачка пестроцветной свиты ущелий рек Рицела и Аскиецкали, трансгрессивно залегающая на байосской порфирировой свите и согласно переходящая в известняки нижнего неокома, должна быть связана с началом трансгрессии и отнесена к титону.

### Меловые отложения

